როგორ განაწილდება ცენტრსა და აჭარას შორის საბიუჯეტო შემოსავლები? A4

ენერგეტიკის მონიტორინგი A8

მალხაზა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 13 დეკემბერი, 2004 წელი. №295 (844)

ფასი 50 თეთრი

ახალი ეპოქა „დიდ საქადრაკო დაფაზე"

ბჟეზინსკიმ შესანიშნავად იცის, რომ რუსები არც ისე "დებილები" არიან, როგორც ზოგიერთს ეჩვენება და სწორედ ამიტომ ურჩევს ადმინისტრაციას, საქართველოს პოლიტიკურ ფიგურებს მარადიულ "საჭადრაკო დაფაზე" მეტი ყურადღება მიაქციონ.

გიო ლებანიძე
ვაშინგტონი-თბილისი

- ვიმედოვნებ, უკრაინელ ხალხს ეყოფა პოლიტიკური კულტურა და პასუხისმგებლობა, რათა საქმე უსისხლოდ და გამარჯვებით დაასრულოს.

ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელსაც ამერიკელები სულ უფრო ხშირად უწოდებენ "დიდს", აშკარად შეშფოთებული ჩანს. რაღაცნაირი მოუსვენრობა (არ მინდა ვთქვა შიში) ეტყობა. არაჩვეულებრივია თვით ის ინტერესი და ყურადღება, რომლითაც მან ამჯერად საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიიღო და უყვება ლიტვაში ვიზიტის შესახებ, სადაც პრეზიდენტ ადამკუსთან უკრაინის მოვლენები განიხილეს.

ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას წინა ვიზიტისას მან ქართველ ჟურნალისტებს ინტერვიუზე უარი უთხრა. პრემიერთან საუბარი მაშინ სულ ნახევარ საათს გაგრძელდა და უფრო მეტად სიმბოლური ხასიათი ჰქონდა – ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, ტრადიციისამებრ, პატივისცემის ნიშნად, ზურაბ ჟვანიას თავისი საყვარელი ფრანგული კონიაკი შესთავაზა და მეგობრულად ესაუბრა.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველო-აზერბაიჯანი

"პრობლემები სამუშაო წესით გადაწყდება"

როგორც ჩანს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებული სკანდალი ნელ-ნელა აქტუალობას კარგავს. ამის პარალელურად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ის კონკრეტული პრობლემები, რომელიც აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს აქვთ, სამუშაო წესით, ყოველგვარი ხმაურისა და პოპულისტური განცხადებების გარეშე უნდა გადაწყდეს.

თამარ მჭედლიშვილი

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის სპიკერმა მურთუზ ალესკეროვმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საქართველოში 500 ათასამდე აზერბაიჯანული წარმოშობის მოქალაქე ცხოვრობს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნათვობსადენის მშენებლობაზე კი მათი დასაქმება არ ხდება და "საქართველომ უნდა იცოდეს, რომ მისი, როგორც სუვერენული

გაგრძელება A3 გვერდზე

ახალი გუბერნატორი გამგებლებს ცვლის და საკრებულოებს თითს უქნევს

მაია მოსიაშვილი
რუსთავი

ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულად ზურაბ მელიქიშვილის დაბრუნების პირველივე დღეს ექვსივე რაიონის გამგებლებმა განცხადებები დაწერეს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

წინასწარი არაოფიციალური ინფორმაციით, სამსახურს დაატოვებინებენ ბოლნისის რაიონის გამგებელს ზვიად ვეშაპიძეს. უკვე სახელდება მისი შემცვლელის ვინაობაც - გია არევაძე - ადამიანი, რომელმაც თბილისელებს კარგად დაამახსოვრა თავი სანიტარიულ დეპარტამენტში მომხდარი არეულობით. არევაძემ თითქმის მთელი შაბათი დღე ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გაატარა. ამბობენ, რომ მას ბოლნისთან აქამდე შეხების წერტილი არ ჰქონია, თუმცა ქვემო ქართლის ყველაზე მდიდარი და რთული რაიონის გამგებლობა მაინც "დაიმსახურა". არ არის გამორიცხული, არევაძის ამ თანამდებობაზე

გაგრძელება A2 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გეძნებათ პოზიცია!

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

რუსეთი საქმეს იმარტივებს

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო ამ ქვეყნის შემადგენლობაში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის შესვლის გამარტივების შესახებ კანონპროექტს განიხილავს. როგორც ყოველთვის, კრემლს არ ადარდებს ფაქტი, რომ სხვა სახელმწიფოს - ამ შემთხვევაში საქართველოს - შიდაპოლიტიკაში ხელის ფათურს განაგრძობს და საერთაშორისო ნორმებს არღვევს.

დიდი ზეგავლენის არმქონე, თუმცაღა მუდმივად კრემლის "რუპორმა," ფრაქცია "როდინამ" რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი შეიტანა, რომელიც სურვილის შემთხვევაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ავტონომიების რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის პროცესს ამარტივებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს ალარაფერს უთანხმებენ?

"24 საათის" შეკითხვებს პასუხობს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი, ფრაქცია "როდინას" თავმჯდომარე დმიტრი როგოზინი.

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

- რუსეთის კონსტიტუციის თანახმად, ახალი სუბიექტების მიღებას იმ სახელმწიფოს თანხმობა სჭირდება, რომლის შემადგენლობაშიც საერთაშორისო სამართლის თანახმად არაღიარებული რესპუბლიკები ითვლებიან. რა იურიდიული ნორმებით აპირებთ მანიპულირებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის სუბიექტებად მიღებისათვის?

გაგრძელება A3 გვერდზე

იუშენკო მოწამლეს - საკითხავია ვინ?

ვენაში მყოფი უკრაინის ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშენკო აცხადებს, რომ დარწმუნებულია თავის საბოლოო გამარჯვებაში. შეგახსენებთ, "ნარინჯისფერი" კიევის ზეწოლის შედეგად, 26 დეკემბერს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის განმეორებითი კენჭისყრაა დანიშნული. მანამდე კი პრეზიდენტობის კანდიდატი ვენაში გამოკვლევის დასასრულებლად იყო ჩასული. შაბათს ავსტრიელმა ექიმებმა საბოლოო დასკვნა გამოიტანეს – იუშენკო დიოქსინით იყო მოწამლული.

უკრაინის ოპოზიციის ლიდერის ვიქტორ იუშენკოს ავადმყოფობის მიზეზი დიოქსინებით მოწამვლა გახდა. ამის შესახებ ავსტრიის კლინიკის "რუდოლფინერ-ჰაუსის" ხელმძღვანელმა მიხაელ ციმპფერმა შაბათს პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მედიკოსებმა იუშენკოს სისხლის ანალიზებზე მუშაობა დაასრულეს და ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს იყო დიოქსინებით მოწამვლის მცდელობა.

"უკრაინის ოპოზიციის ლიდერის სისხლში დიოქსინის კონცენტრაცია 1000-ჯერ აღემატებოდა ნორმას," - თქვა ციმპფერმა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ კლინიკის ექიმები იუშენკოს დაავადების მიზეზის დადგენის საკითხს "დიდი სიფრთხილით" მოეკიდნენ.

თავად პრეზიდენტობის კანდიდატმა დიდი მადლობა გადაუხადა ექიმებს გაწეული დახმარებისთვის და აღნიშნა - "ბედნიერია, რომ გადარჩა".

გაგრძელება A5 გვერდზე

უცხოეთი

არჩევანი პრემიერ-მინისტრსა და დედაქალაქის მერს შორის

რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა დაფიქსირდა.

A5

საზოგადოება

ავდრისწინა მშვიდობა

პატარა ლიახვის ხეობაში, ჯერჯერობით, მშვიდობაა, მაგრამ მოსახლეობა მაინც დაძაბულია.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

	13/12	14/12
თბილისი	2	5
ქუთაისი	7	8
ბათუმი	8	9
სოხუმი	3	4
ფოთი	7	8
თელავი	1	4
ზუგდიდი	7	7
გორი	1	2
ახმეტა	2	4
ჭიათურა	4	4
გაგრა	2	1
სამტრედია	7	8

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7700
ევრო	2.3380
გირვანქა სტერლ.	3.3790
რუბლი	0.0629

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მალხაზა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

რეგიონი

კახელი მეწარმეები ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დიდი მცდელობის მიუხედავად, ღვინის ფალსიფიკაცია კვლავ "აქილევსის ქუსლად" რჩება. მინისტრი შერვაშიძე ირწმუნება, რომ პირველი იანვრის შემდეგ ქართული ღვინის წარმოებაში ახალი ერა იწყება. ფალსიფიკაციის წინააღმდეგ კახელმა მეწარმეებმა "ღვინის ხარისხისა და სისტემის ჩამოყალიბების ფონდიც" დააფუძნეს.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

უკვე რამდენიმე წელია, რაც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა "კანონი ღვინისა და ვაზის შესახებ". კანონმა ქართულ მეღვინეობაში შექმნილი პრობლემები უნდა არეგულიროს, თუმცა ყველა მექანიზმის ამოქმედება ისევ შეზღუდული ბიუჯეტის გამო დღემდე ვერ მოხერხდა. ქართული ღვინის ფალსიფიცირების პრობლემა თითქმის ყოველი წლის შემოდგომაზე, რთვლის დაწყების დროს, აქტუალური ხდება. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აღნიშნული საკითხის მოგვარება ამთავითვე დაიწყო და იმედიანი განცხადებები წინასაახალწლოდ გააკეთა.

წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გერმანელი სპეციალისტების და კახელი მეწარმეების საქმიანი შეხვედრის მთავარი თემა ღვინის ფალსიფიკაცია და მასთან ბრძოლის შესაძლებლობების განხილვა იყო. ამ კუთხით უმთავრესი აქცენტი ღვინის ადგილწარმოშობაზე კეთდებოდა. როგორც მეღვინეების უმრავლესობა აცხდებს, "ხვანჭკარას", რომელიც მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა, ფალსიფიკაცია სამშობლოშივე უთხრის ძირს, რადგან სწორედ ადგილწარმოშობის ცენზის დაუცველობის გამო, ამ სახელით ღვინის სხვადასხვა სახეობა ისხმება. იგივე პრობლემის წინაშე დგას "მუკუზანი" და "წინანდალი". ამ ყველაფრის მიზეზად კი სამტრესტის არასახარბიელო მუშაობა სახელდება.

"სამტრესტი ვალდებულია, რომ სეზონის დაწყების წინ წარმოადგინოს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ რამდენ ყურძენს ამზადებს ადგილწარმოშობის დასახელების ზონაში. სეზონის შემდეგ კი ყველა მეწარმემ სამტრესტს უნდა წარუდგინოს, სად რა ღვინოს დაამზადებს. შემდეგ, ღვინის რეალიზების დროს, უნდა შემოწმდეს ქარხნები, რის საფუძველზეც გაიცემა შესაბამისობის სერთიფიკატი, ამ პროცედურით ვლინდება, თუ რა რაოდენობის ღვინო იქნა დამზადებული და რეალიზებული. ეს არის მეწარმეების დოკუმენტურად გაკონტროლების აუცილებელი მექანიზმი, რომელსაც სამტრესტი ვერ ახორციელებს," - ამბობს "ჯი-ვი-ეს"-ის წარმომადგენელი მერაბ ჯაფარიძე. ამასთან დაკავშირებით სამტრესტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე თემურ გეგეშიძე აღნიშნავს, რომ საქმიანობის სრულფასოვნად წარმოება, რომელიც ქარხნების ადგილზე შემოწმებას, ვენახების დათვალიერებას და აღრიცხვიანობის კონტროლს ითვალისწინებს, მწირი ბიუჯეტის გამო ვერ ხერხდება და ისიც, რასაც დღემდე აღნიშნული სამსახურის წარმომადგენელები აკეთებენ, გეგეშიძის თქმით, ენთუზიაზმით ხდება. **"აქ გამოთქმული პრეტენზიები სამართლიანია, მაგრამ უნდა აღინიშოს ისიც, რომ ჩვენი სამსახური დღესდღეობით რეფორმის სტადიაშია,"** - ამბობს სამტრესტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სამტრესტს ფინანსურ მხარდაჭერას ღვინის მწარმოებლები გაუწევენ, რათა სამტრესტი იყოს არა ხელოვნური ორგანო, როგორც აქამდე იყო, არამედ რეალურად გაუძღვეს თავის საქმეს და აღმოფხვრას ფალსიფიკაციის პრობლემა. მეწარმეების აზრით, ეს სასარგებლო იქნება მათი ბიზნესის განვითარებისთვის.

კანონპროექტი "ღვინისა და ვაზის შესახებ" დამტკიცებისთანავე რომ ამოქმედებულიყო, როგორც პროექტის ავტორი ედუარდ ლეკიაშვილი აღნიშნავს, მეღვინეს ფალსიფიკაციასთან და ადგილწარმოებასთან დაკავშირებით პრობლემა არ ექნებოდა. **"კანონპროექტზე მუშაობის პროცესში ჩვენ შევისწავლეთ არა მარტო ევროპის ქვეყნების, არამედ ჩილეს, ურუგვაის, ახალი ზელანდიის და სხვათა კანონები. მათი გათვალისწინებით ადგილწარმოშობის დასახელება შემოვიღეთ. ადგილწარმოშობის მიხედვით ღვინის მარკების დადგენაში ჩვენი ღვინოების რეკლამაც დაგვეხმარა. მიმაჩნია, რომ ადგილწარმოშობის განსაზღვრა მეღვინეობის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა,"** - ამბობს კანონპროექტის ავტორი.

საგულისხმოა ისიც, რომ ფალსიფიკაციასთან ბრძოლას მეღვინეები მათი დაფუძნებული "ღვინის ხარისხის და სისტემის ჩამოყალიბების ფონდითაც" შეეცდებიან. ფონდში მეწარმეების მიერ უკვე ჩადებულია განსაზღვრული თანხები, რომლის ნაწილიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამტრესტის რეფორმას მოხმარდება. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის GTZ-ის მხარდაჭერით კი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ხარისხის ლაბორატორია ამოქმედდება, რომელიც ფალსიფიცირებულ ღვინოსთან ბრძოლის ძირითადი ბერკეტი იქნება.

თოვლი იმერეთში

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ქუთაისში ბოლო ორი დღის განმავლობაში მოსულმა თოვლმა მოსახლეობას მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა. მართალია, თოვლის საფარის სიმაღლე 10-20 სანტიმეტრს არ ასცილებია, მაგრამ სველმა და მძიმე თოვლის მასამ 5 მაღალი ძაბვის ელექტროსადენი გაწყვიტა და ერთი ელექტრონძა წააქცია. რითიც ისედაც ჩაბნელებული ქუთაისი წყვდიადში თითქმის სრულად მოაქცია. თოვლისგან მიყენებული ზარალის შედეგად ნახევარ ქალაქზე მეტი უშუქოდ დარჩა. დენის შეწყვეტამ უწყლობაც გამოიწვია, გუშინ მეოთხე დღე გახდა, რაც ქალაქის ძირითად ნაწილს სასმელი წყალი არ მიწოდებია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში თოვლი მოულოდნელად სულაც არ მოსულა, ვერ ვიტვით, რომ ქუთაისის მთავრობა ზამთარს მომზადებული შეხვდა. გზები არავის გაუწმენდია, რის გამოც ფეხით მოსიარულეები ტროტუარზე ვეღარ ახერხებდნენ გადაადგილებას და გზის ცენტრალურ ნაწილზე ავტომობილებთან ერთად მოძრაობდნენ. ეს იმ პირობებში ხდება, როდესაც ქუთაისში ავტოინსპექცია კარგა ხანია, აღარ არსებობს. პატრული კი 25 დეკემბრიდან აპირებს გამოჩენას. აღნიშნულმა გარემოებამ ფეხით მოსიარულეთა სიცოცხლეს მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა. ქალაქის ხელისუფლება კი ტროტუარების გაწმენდას იმ შემთხვეაში აპირებს, თუკი თოვლის საფარი კიდევ უფრო მოიმატებს. ამინდის პროგნოზით, თოვლს დასავლეთ საქართველოში უახლოეს დღეებშიც ელიან. გზების გაწმენდა ალაგ-ალაგ დაიწყეს, მაგრამ ცოტა დააგვიანდათ, ამის მიზეზია ის, რომ გამწმენდი ტექნიკა, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ის კი არა, ქუთაისში "დტ"-ს მოდელის ტრაქტორიც არ აღმოჩნდა, რომ სოფელ ბანოჯაში ჩამოვარდილი დენის მაღალი ძაბვის ხაზამდე გზა გაგვეწმინდა," - აცხადებს რწმუნებულის მოადგილე ზურაბ ქაჯაია.

დიდთოვლობის გამო ყველაზე რთული მდგომარეობა ტყიბულში შეიქმნა, სადაც თოვლის საფარმა ერთ მეტრს გადააჭარბა. ამჟამად ტყიბულისკენ მისასვლელი გზები ჩაკეტილია. შეფერხებებია დენის მინოდების მხრივაც, რადგანაც თოვლის საფარმა ელექტროსადენები გაწყვიტა. ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნება, რომ ტყიბულში სადენების აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. რაიონს დახმარება ჯერჯერობით არც სურსათ-სანოვაგით ესაჭიროება. "თუ თოვა გაძლიერდა, რაც პროგნოზით მოსალოდნელიცაა, ქუთაისი მზადაა, რომ სურსათი რაიონებსაც მიაწოდოს," - აცხადებს ზურაბ ქაჯაია.



მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში თოვლი მოულოდნელად სულაც არ მოსულა, ვერ ვიტყვით, რომ ქუთაისის მთავრობა ზამთარს მომზადებული შეხვდა.

დიდი თოვლი მოვიდა ჭიათურაშიც, თუმცა, ტყიბულისგან განსხვავებით, თოვლის მასას ერთ მეტრამდე არ მიუღწევია. გარკვეული პერიოდი შეწყვეტილი იყო მიმოსვლა ჭიათურა-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე. ელექტროგადამცემი ხაზები სამტრედიაშიც დაზიანდა. შუქის მიწოდებას რაიონისათვის საღამოსთვის ვარაუდობდნენ. თოვლით ყველაზე ნაკლებად წყალტუბო დაზარალდა. რაც ძირთათად მისი კლიმატური პირობებიდან გამომდინარეობს. იქ ნალექი მინიმალური რაოდენობით მოვიდა. კვლავაც რთული მდგომარეობაა რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების კუთხით. თოვლს სადენებიც რომ არ დაეზიანებინა, რაიონების უმეტესობას შუქი ისედაც არ მიეწოდებოდა. მაგალითად თერჯოლაში ბოლო ორი დღე შუქი საერთოდ არ ჰქონიათ. მანამდე კი შუქი დღეღამეში მხოლოდ 2-3 საათით მიეწოდებოდათ. ვიცე-გუბერნატორის განმარტებით, ტყიბულში 6-საათიანი გრაფიკი მოქმედებდა, რომელსაც ხან იცავდნენ, ხან არა. ბოლო პერიოდში ფაქტობრივად დენი არ ყოფილა სამტრედიასა და ხონშიც. ზესტაფონში შედარებით ნორმალური მდგომარეობაა, რაიონს შუქი 6-8 საათით მიეწოდება. რაც ძირითადად რკინიგზისა და "ფეროს" კუთვნილი ლიმიტიდან ხორციელდება. ჭიათურაში კი ბოლო ერთი კვირის მანძილზე შუქი მხოლოდ სასიცოცხლო ობიექტებს მიეწოდებოდა. ამ მხრივ საჩხერეში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ რაიონს დენის ფულს უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი სრულად უფარავს, მიუხედავად ამისა, ვერც წინა და ვერც ამჟამინდელმა ხელისფლებამ საჩხერისათვის 24-საათიანი შუქის მიწოდება ვერ მოახერხა. ელექტრომომარაგების მხრივ იმერეთის რაიონებიდან ვანს ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვს, ვანელებს შუქი 24-საათიანი რეჟიმით მიეწოდებათ, რაც რიონჰესიდან პირდაპირი ხაზის გამოყვანამ განაპირობა. ანალოგიური პროექტი ახლახან წყალტუბოშიც გაკეთდა, უახლოეს პირობებში შუქის მიწოდების პრობლემა აქაც უნდა აღმოიფხვრას. ეშველება იქ მცხოვრებ დევნილებსაც, რომელთაც შუქის ფულს სახელმწიფო უხდიდათ, შესაბამის ელექტროენერგიას კი ვერ იღებდნენ.

ქუთაისს კი შუქი კვლავაც ქაოტურად და უსისტემოდ მიეწოდება. ზურაბ ქაჯაიას განმარტებით, ლიმიტით ქუთაისს 60 მეგავატი უნდა მიაწოდონ, რაც ქალაქისათვის საკმარისია, მაგრამ აღნიშნულ ლიმიტს იშვიათად იცავენ. "მაგალითად, პარასკევს სამოცი მეგავატი გვეკუთვნოდა, საღამოთი კი ყველაფერი ისე მოიშალა, პიკის საათებში 7 მეგავატი გვქონდა, რაც სასიცოცხლო ობიექტებისათვისაც არაა საკმარისი," - აცხადებს რწუნებულის მოადგილე. მხარის ხელმძღვანელობას რეალისტურად ქუთაისისთვის 8-საათიანი გრაფიკი მიაჩნია. კერძოდ, მოსახლეობას შუქი საღამოს ექვსიდან 12 საათამდე, დილით კი 2 საათის მანძილზე უნდა მიეწოდოს. ჯერჯერობით სრულად არც ეს სისტემა მოქმედებს. მიუხედავად ამისა, მხარის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გასულ წელთან შედარებით რაიონების ელექტრომომარაგების მდგომარეობა ამ პერიოდისათვის უკეთესია(?!). "საერთო ჯამში გასულ წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის," - აცხადებს რწმუნებულის მოადგილე. ამიტომაც იმერეთი ძირითადად გამოამინდების იმედზეღაა.

ახალი გუბერნატორი გამგებლებს ცვლის და საკრებულოებს თითს უქნევს

პირველი გვერდიდან

დანიშვნა შემდეგი სქემით მოხდეს - ის ჯერ გამგებლის მოადგილე გახდება, მისი გათავისუფლების შემდეგ კი გამგებლის მოვალეობას შეასრულებს.

თავად ზვიად ვეშაპიძე "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ პატივს სცემს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც მისი ხელმძღვანელობა მიიღებს და "სკამს არ ჩაეჭიდება". მისივე თქმით, მან ყველაფერი გააკეთა რაიონში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ შექმნილი რთული სიტუაციის დასარეგულირებლად და ყოფილი გამგებლის, ჯაფარიძის კლანის გასანეიტრალებლად. ასევე მოახერხა ბიუჯეტის შემოსავლები თითქმის ერთი მილიონი ლარით გაეზარდა მაშინ, როცა მისმა ერთ-ერთმა მთავარმა შემავსებელმა "კვარცტმა" თითქმის გაანახევრა საბიუჯეტო შენატანების რაოდენობა. "თანამდებობიდან წასვლა ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან თავს პრეზიდენტის გუნდის წევრად ვთვლი და ყოველთვის დავდგები იქ, სადაც ქვეყნისთვის სასარგებლო ვიქნები," - ამბობს ვეშაპიძე.

მეორე გამგებელი, რომელიც სავარაუდოდ სკამს დაკარგავს, მარნეულიდან იქნება - ამირან შუბითიძე. ის ყოფილ გუბერნატორთან მაზმიშვილთან ღიად იყო დაპირისპირებული. მაზმიშვილი შუბითიძეს ძველი კადრებისა და კლანების მფარველობაში ადანაშაულებდა, თუმცა მისი მოხსნა ვერ მოახერხა. გამგებლისა და გუბერნატორის დაპირისპირება ამ უკანასკნელის განთავისუფლებით დასრულდა, თუმცა, საეჭვოა, რომ შუბითიძე გამარჯვებული დარჩეს, რადგან, ალბათ, მასაც მოეთხოვება პასუხი ერთი კვირის წინ ყულარში მომხდარ მკვლელობასა და არეულობაზე. "ყულარის ინციდენტი ძველი ხელისუფლების მიერ შექმნილი პრობლემების გადმონაშთია, ხოლო მთავარი მიზეზი მინის რეფორმის უთავბოლოდ განხორციელებაა," - აცხადებს შუბითიძე "24 საათთან" და ამ გზით პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს.

ქვემო ქართლის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი აცხადებს, რომ პირველ რიგში მიწასთან დაკავშირებულ პრობლემებს გადაწყვეტს და ამ მხრივ მხარეში არსებული სამასზე მეტი საკრებულოს მუშაობით საფუძვლიანად დინტერესდება. თუ ქვემო ქართლში მიწასთან დაკავშირებული დარღვევების რაოდენობას გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, ამას საკრებულოების დათხოვნის პრეცედენტიც მოჰყვეს, რადგან პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ აგვისტოში გამოცემული ბრძანებულების მიხედვით, პრეზიდენტის რწმუნებული უფლებამოსილია, "საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ".

მოკლედ

ახალი აფხაზური ცესკო

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მთავრდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების პროცესი. დღეს გაიმართება მისი პირველი სხდომა, რომელზეც ცესკოს თავმჯდომარეს აირჩევენ.

მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ განახლებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავისი კვოტით შემდეგი კანდიდატურები წარადგინა: იუსტიციის ყოფილი მინისტრი ბატალ ტაპგუა, ადვოკატი თემურ გოლანძია, ტყვარჩელის ადმინისტრაციის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი ბელა არშბა და კერძო სკოლის დირექტორი ფატიმა დაუთია.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სულ 15 კაცია, რომელთაგან რვას პარლამენტი ირჩევს, შვიდს კი პრეზიდენტი ნიშნავს. ***24 საათი***

"ლეიბორისტები უცხოეთში დეზინფორმაციას ავრცელებენ"

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის სალომე სამადაშვილის განცხადებით, ლეიბორისტული პარტიის წევრები უცხოეთში საქართველოს შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებენ. პარლამენტარი გულისხმობს ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის აშშ-ში ვიზიტს, რომელსაც პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა 13 დეკემბერს საგანგებო ბრიფინგს მიუძღვნის. მისი თქმით, "ბრიფინგზე საუბარი შეეხება საკაშვილი-ჟვანიას ხელისუფლების მიერ მოსახლეობის შრომითი გენოციდსა და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს, რომლის დოკუმენტური მასალაც შალვა ნათელაშვილმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს გადასცა".

"ძალიან დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს აშშ-ს ყველა საინფორმაციო საშუალებებს და მათ შორის ისეთ საინფორმაციო წყაროებს, რომლებიც აშუქებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონებს და მათ ურთიერთობებს აშშ-სთან. არსად შემხვედრია არავითარი ინფორმაცია შალვა ნათელაშვილის აშშ-ში ვიზიტის შესახებ და მის მიერ გამართულ შეხვედრებზე. ვეჭვობ, რომ იგი შეხვედროდა ისეთი რანგის ჩინოვნიკს, რომელიც სანქციებთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებდა. ჩემთვის ცნობილია ის, რომ აშშ-მ გამოყო კიდევ უფრო დიდი დახმარება სამხედრო თანამშრომლობის საკითხებში. ასევე ცნობილია, რომ ზურაბ ჟვანიას ვიზიტი ძალიან წარმატებული იყო," - აღნიშნა სალომე სამადაშვილმა. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია შესაძლოა, მომავალ კვირას გაიმართოს. პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, იმის გამო, რომ კონსტიტუციით ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს საშემოდგომო სესიის დასრულებამდე მხოლოდ ერთი სესიის გამართვის უფლება აქვს, განსახილველი პრობლემური საკითხებიდან გამომდინარე, შესაძლოა, პარლამენტი მომავალ კვირას რიგგარეშე შეიკრიბოს. გავრცელებული ინფორმაციით, რიგგარეშე სხდომაზე პარლამენტი ახალი "საგადასახადო კოდექსის" პროექტს მესამე მოსმენით მიიღებს და შეეცდება, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიღებაც უზრუნველყოს. იანვრამდე კი პარლამენტი "ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვის პროცედურას დაიწყებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი მადლობას უხდის ქართველ ჯარისკაცებს ერაყში მიმდინარე სტაბილიზაციის შენარჩუნების ოპერაციაში მონაწილეობისთვის.

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ერაყიდან დაბრუნებული ქართველი მშვიდობისმყოფელების პატივსაცემად გამართულ საზეიმო საღამოზე მაილსმა მათ პროფესიონალიზმსა და მაღალ ოსტატობაზე ისაუბრა. ჯარისკაცებს და მათ ნათესავებს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემაც მიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიაში სასაზღვრო ქვედანაყოფებს, რომლებიც საქართველოსთან სახელმწიფო საზღვარს იცავენ, კავალერისტთა რაზმების მეთაურებით გააძლიერებს. როგორც ახალი ამბების სააგენტო "ინტერფაქსი" ჩრდილოეთ კავკასიის სასაზღვრო სამმართველოს პრესსამსახურის უფროსზე, სერგეი ლივანცოვზე დაყრდნობით იტყობინება, უკვე ოცზე მეტი ასეთი სპეციალისტის გამოშვება რეგიონული სასაზღვრო სამმართველოს ბუდიონოვსკის სასწავლო ცენტრში უახლოეს პერიოდში შედგება. ლივანცოვის თქმით, სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელობა ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან "სამხრეთის საზღვრის მრავალი მაღალმთიანი მონაკვეთი ტრანსპორტისთვის სრულიად გაუვალია." **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაუიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

ზივი ამილახვრის სასამართლო პროცესი

„რადიო დილა“
ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

ბანმაჯელი -	გიორგი ამილახვარი,მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე
პარალელური -	ჯაბა სამუშია,ისტორიკოსი
პროკურორი -	გორა საითიძე,ისტორიკოსი
პრალდება -	ბრალი ედება ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიპლომატიურებაში და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების ხელშეშლაში
პრალადებულის მოვალეობა -	ბრალდებულის მოღვაწეობა გამოცხადდეს უარყოფითად
დასმის საფუძველი -	დაკვეთა ქუთაისელ მეფეთა პირადულის ბრძოლამ ყიზილბაშების წინააღმდეგ დაიჩქარა ქართლ-კახეთის გაერთიანება დამპყრობელთა უღლისაგან,რამაც ხელი შეუწყო სამეფოების გაერთიანებას
ბანმჯელი -	ბრალდებული გამოცხადდა დამნაშავედ
ვერდიქტი	გიორგი ამილახვრის მოღვაწეობა მეფეებს უარყოფითად და ანგისახელმწიფოებრივად (9 ხმა 3-ის წინააღმდეგ)

12 ნაუიცი მსმენელი :

1.	ალექსანდრე ჯორჯაძე	(დამნაშავეა)	7. ცისანა მეხეთაძე (უდანაშაულოა)
2.	ეროსელ რაგიმელიდ	(დამნაშავეა)	8. ია ასლანიშვილი (დამნაშავეა)
3.	ირაკლი მეფისაი	(უდანაშაულოა)	9. რობერტ ეროსაძე (დამნაშავეა)
4.	ანონიმი	(დამნაშავეა)	10. ნოდარ კალანაძე (დამნაშავეა)
5.	მამუკა ჯანიბაია	(დამნაშავეა)	11. ანონიმი (უდანაშაულოა)
6.	ანონიმი	(დამნაშავეა)	12. რომეო ორესანელი (დამნაშავეა)

ახალი ეპოქა „დიდ საქადრაკო დაფაზე"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ამჯერად კი, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ალბათ იმიტომაც, რომ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, ხოლო რუსეთი, რაკი გაუთავებელი საბიუჯეტო კრიზისის პროვოცირებით ვეღარ ახერხებს ჩვენი სახელმწიფოს "არშემდგარობის" დემონსტრირებას, - იგივეს ცდილობს პანკისის ბომბარდირების მუქარით.

მაგრამ ეს უკვე ღია აგრესიაა და ზბიგნევ ბჟეზინსკისთვის მით უფრო სიმპტომატური, რომ ყოველივე უკრაინის არჩევნების ფონზე ხდება.

ბჟეზინსკიმ ქართველ ჟურნალისტებსაც ვრცელი ინტერვიუ მისცა. არადა, წინა ვიზიტის დროს, მისმა თანაშემწემ გვითხრა, "ერთი თვით ადრე უნდა შეგეთანხმებინათო". მაშასადამე, ამ თითქოსდა წვრილმანიდანაც ჩანს, რომ რაღაც სერიოზულად შეიცვალა.

ეს მხოლოდ ერთი სიმპტომია. სხვა ამგვარი სიმპტომების დასახელებაც შეიძლება. მაგალითად: კონდოლიზა რაისი ბოლო დროს თითქმის არ ხვდება სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რაკი ქვეყანას ჯერ კიდევ ჰყავს მოქმედი სახელმწიფო მდივანი და მას "ოფისი არ ჩაუბარებია". მაგრამ საქართველოს წარმომადგენლისთვის სახელმწიფო დეპარტამენტის მომავალმა მესვეურმა გამონაკლისი დაუშვა.

ამჯერად, ამერიკელებმა ჟურნალისტებს შეხვედრის დაფიქსირების საშუალებაც მოგვცეს, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო – თეთრი სახლის წინ, "კოინდარზე", კი ბატონო, მაგრამ თვით შენობაში ბუშის პირადი ფოტოგრაფის გარდა არავის უშვებენ.

კიდევ ერთი ფაქტი: სრულიად მოულოდნელად, პრემიერ-მინისტრს სასტუმრო ***mayflower***-ში ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის თანაშემწე დაუკავშირდა და დიკ ჩეინის თხოვნა გადასცა, - შეხვედრის თაობაზე. ამას აბსოლუტურად არავინ ელოდა და ნამდვილ სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს.

პრემიერ-მინისტრი დახურულ კარს მიღმა შეხვდა აგრეთვე სახელმწიფო მდივნის მოადგილე რიჩარდ არმიტიჯს, რომელიც "პოსტსაბჭოურ სივრცეს" კურირებს. საუბარი ყველგან უკრაინის მოვლენებს შეეხო. რატომ მაინცდამაინც საქართველოს პრემიერთან შეხვედრისას? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: იმიტომ, რომ ამერიკელები შესანიშნავად ხვდებიან: უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუცია" საქართველოს "ვარდების რევოლუციის" სულისკვეთებით და მაგალითით საზრდოობდა.

ანუ, შარშან საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა პოსტსაბჭოურ სივრცეზე უდიდესი მნიშვნელობის პროცესებს დაუდო სათავე. შეიძლება ითქვას, ამერიკელები ამ პრეცედენტს თვალისჩინივით უფრთხილდებიან და, რაც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ (მათივე შეფასებით) დაამტკიცა, რომ ხელისუფლების შეცვლის ეს ფორმა ნიშნავს და განაპირობებს არა სამოქალაქო ომს, არა ქაოსსა და ანარქიას, არამედ წესრიგს, სახელისუფლებო სტრუქტურათა განახლებას, მათი ქმედითობის ამაღლებას, კორუფციის დამარცხებას, ფინანსური პრობლემების გადაწყვეტას, სახელმწიფოს გადახდისუნარიანობის ზრდას, სოციალური დაძაბულობის შერბილებას და კომუნისტური ნომენკლატურის "ხავერდოვან", უსისხლო განადგურებას - ძველი ელიტის შეცვლას. სწორედ იმ ელიტისა, რომელიც, კომუნისტური ნომენკლატურის მეშვეობით, გააფთრებით ებღაუჭება ხელისუფლებას უკლებლივ ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში. დღემდე, ალბათ, მხოლოდ ბალტიისპირელებმა შეძლეს ამ პრობლემის გადაწყვეტა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აქედან გამომდინარე, ის გეოპოლიტიკური პროცესები, რაც პოსტსაბჭოურ სივრცეზე განვითარდა და კვლავაც განვითარდება – ისევ და ისევ საქართველოს "ვარდების რევოლუციის" უსისხლო წარმატების მაგალითით.

ამერიკელთათვის შემაშფოთებელი მხოლოდ ისაა (გავიხსენოთ ბჟეზინსკის განცხადება), თუ რამდენად შეძლებენ დემოკრატიული ძალები იმავე პროცესების ასევე უსისხლოდ გასრულებას.

თუმცა, ბჟეზინსკი "ცივსისხლიანი" ანალიტიკოსია და მისი განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი უდავოდ იმ "განზრახულობათა სიღრმესა" და შესაძლებლობებს გამოხატავს, რასაც "ვარდების რევოლუცია" და საქართველოში, პოსტსაბჭოურ სივრცეზე პირველი, წარმატებული, არანომენკლატურული ხელისუფლების წარმოქმნა განაპირობებს.

აქედან გამომდინარე, ზბიგნევ ბჟეზინსკის ზემძლავრი "ანალიტიკური ცენტრი" შესაბამის რეკომენდაციებსაც გამოიმუშავებს ადმინისტრაციის საყურადღებოდ. შედეგი უკვე თვალნათელია: კონდოლიზა რაისმა და რიჩარდ არმიტიჯმა ზურაბ ჟვანიასთან საუბრისას დაადასტურეს, რომ ამერიკა საქართველოში იწყებს ახალ სამხედრო პროგრამას, რომელიც რამდენიმე ბატალიონის მომზადებას ისახავს მიზნად. გაიზრდება ფინანსური დახმარება, ხოლო აფხაზეთის საკითხი უკვე საბოლოოდ შევა რუსეთ-ამერიკის მუდმივი დიალოგის "ეჯენდაში". ოღონდ უკვე არა როგორც საქართველოს, არამედ სწორედაც რუსეთის "გამაღიზიანებელი" და საკმარისად მძლავრი კონტრარგუმენტი რუსეთის არგუმენტთა გასაბათილებლად.

ისიც ნიშანდობლივია, რომ ამერიკელებმა სწორედ "ვარდების რევოლუცია" მიიჩნიეს უკანასკნელი ოცი წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად და ზურაბ ჟვანიას სახით, ბრონისლავ გერემეკთან ერთად, ავერელ ჰარიმანის სახელობის პრემია მიაკუთვნეს საქართველოს ხალხს და მის ლიდერებს, რომელთაც (როგორც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის განცხადებაშია ნათქვამი) ***"განახორციელეს მშვიდობიანი, უსისხლო ვარდების რევოლუცია და ამით იკისრეს პასუხისმგებლობა, აქციონ საქართველო ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრესის მისაბაძ მაგალითად მთელი რეგიონისათვის."***

ძალზე ზუსტი და მრავლისმთქმელი ფორმულირებაა, რომელიც მთლიანად ადასტურებს, რომ საქართველო ამერიკისათვის უპირველესად სწორედ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი, მშვიდობიანი და წარმატებული პრეცედენტის ღირებულებას იძენს. თანაც, ეს პრეცედენტი პოლონეთის 20 წლის წინანდელ ანტიკომუნისტურ მშვიდობიან ამბოხებაზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ეს გზა და შემდგომი განვითარება იავარდით როდი იქნება მოფენილი. სტივენ სესტანოვიჩმა გაზეთში "***USA today***" პუტინს "იდიოტი" უწოდა იმ პოლიტიკისათვის, რასაც იგი უკრაინის არჩევნების მიმართ ატარებს.

ზბიგნევ ბჟეზინსკი კი გაცილებით ჭკვიანი სპეციალისტია. რუსეთსაც უკეთ იცნობს და აშკარად ეტყობოდა, რომ სესტანოვიჩის (ისევე, როგორც მისი მრავალრიცხოვანი ქართველი კოლეგის) ამ მოსაზრებას არ იზიარებს. ბჟეზინსკის მიაჩნია, რომ პუტინის პოლიტიკა უკრაინის მიმართ ახალი, ძალზე ჭკვიანური და საშიში იმპერიული დოქტრინის გამოხატულებაა, რაც (უკრაინის შემთხვევაში) არა იმდენად იანუკოვიჩის გაპრეზიდენტებას ისახავდა მიზნად, რამდენადაც უკრაინაში პოლიტიკური დაპირისპირების ეთნოპოლიტიკურ დისკურსში გადაყვანას, რასაც მიაღწია კიდეც. აკი აღიარა ლეონიდ კუჩმამ: "მას შემდეგ, რაც მოხდა, ძველი უკრაინა აღარ არსებობსო," – აღმოსავლეთ უკრაინასა და ყირიმში ფაშისტურ-იმპერიულმა ტენდენციებმა იწყეს გაღვიძება და ამ "ჯინის" უკან შებრუნება დასავლეთისათვის ძალიან დიდ რისკებთან თუ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

ბჟეზინსკიმ ეს შესანიშნავად იცის, ანუ უწყის, რომ რუსები არც ისე "დებილები" არიან, როგორც ზოგიერთს ეჩვენება (მათ შორის საქართველოში) და სწორედ ამიტომ ურჩევს ადმინისტრაციას, საქართველოს პოლიტიკურ ფიგურებს მარადიულ "საჭადრაკო დაფაზე" მეტი ყურადღება მიაქციონ.

ეს რჩევა რომ უკვე მიღებულია, იმითაც დასტურდება, რამდენად მაღალ დონეზე მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და რამდენად შინაარსიანი (არაფორმალური და საგნობრივი) იყო მისი შეხვედრები ვაშინგტონში.

საქართველო-აზერბაიჯანი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სახელმწიფოს, შემოსავლები მომავალში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტებზეო". ამის პარალელურად, ერთ-ერთ აზერბაიჯანულ გამოცემაში ქვეყნდებოდა ანტიქართული განცხადებები, რომლის შინაარსი დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ალესკეროვისა.

მილი-მეჯლისის სპიკერის პოზიცია, როგორც აღმოჩნდა, განსხვავებულია აზერბაიჯანის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირების პოზიციებისაგან, რაც უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ ალესკეროვი ამ შემთხვევაში, მხოლოდ საკუთარი ან საკუთარი გარემოცვის ინტერესების თანახმად მოქმედებდა.

ალესკეროვის პოზიცია რომ არ ემთხვეოდა აზერბაიჯანის ხელისუფლების პირველი პირების პოზიციას, ილჰამ ალიევისა და საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბადრი ბინაძის შევხედრამაც დაადასტურა, რომლის დროსაც ალიევმა პირდაპირ განაცხადა: ორი ქვეყნის თანამშრომლობა წარმატებით ვითარდება და თანამშრომლობის დონე საკმაოდ მაღალიაო. ამავე დროს, ილჰამ ალიევმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო-აზერბაიჯანის საზვარზე პრობლემები არ არის, თუმცა "კონკრეტულ მომენტებზე, რომელიც წარმოიშვება, საჭიროა ოპერატიული რეაგირება".

საგულისხმოა, რომ გუშინ საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო სამგლოვიარო ღონისძიებაში, რომელიც აზერბაიჯანის ექსპრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების წლისთავს მიეძღვნა. მოგვიანებით, ოფიციალურ შეხვედრებზე ქართველმა და აზერბაიჯანელმა პოლიტიკოსებმა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა პრობლემებიც განიხილეს.

როგორც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, ამ შევხედრებზე გადაწყდა, რომ "ის პრობლემები, რომელიც ბოლო დროს წარმოიქმნა, აუცილებლად უნდა იქნას შესწავლილი". გაბაშვილმა არ გამორიცხა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნაც, რომელიც ამ საკითხებს შეისწავლის.

"ჩვენ შევხვდით აზერბაიჯანის პრეზიდენტს და მილი-მეჯლისის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან და მეგობრობის კურსს არც ერთი მხარე არ გადაუხვევს. ამავე დროს, აზერბაიჯანში საკმაოდ დადებითად შეხვდნენ ქვემო ქართლში პრეზიდენტის ახალი რმწუნებულის ზურაბ მელიქიშვილის დანიშვნის ფაქტს, რომელიც, როგორც ბაქოში მიაჩნიათ, დეტალურად შეისწავლის იმ პრობლემებს, რომელიც ამ რეგიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს აქვთ", - განაცხადა ჩვენთან საუბარში კოტე გაბაშვილმა.

დაბოლოს: გუშინ გამოჩნდა ერთი, საკმაოდ ნიშანდობლივი ინფორმაციაც:

ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-ს რუსული სამსახურის ინფორმაციით, აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციამ "საზოგადოება დემოკრატიული რეფორმებისთვის" ბრიტანული კომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" ხელმძღვანელობას საპროტესტო წერილით მიმართა. როგორც წერილშია აღნიშნული, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე აზერბაიჯანულ სოფელში ესაზღვრება ერთ-ერთ სასაფლაოს, სადაც 100 წლის წინათ შავი ჭირის ეპიდემიით გარდაცვლილი ადამიანები არიან დაკრძალული. ამ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ კი, შესაძლოა, ამ დაავადების ხელახალი გავრცელება გამოიწვიოს, რადგან შავი ჭირის ვირუსი სიცოცხლისთვის საშიშ ცხოველმყოფელობას 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს. "განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ "ბი-პი"-მ 23 საფლავი უკვე გააუქმა, თუმცა ამის შესახებ სოფლის მცხოვრებლებისთვის არაფერი უცნობებია," - მიიჩნევენ აზერბაიჯანული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ბრიტანულ კომპანიაში აღნიშნულ წერილზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

რუსეთი საქმეს იმარტივებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

საქმე რუსეთის შემადგენლობაში იმ ავტონომიების შესვლას ეხება, რომელთაც დღემდე არ აქვთ საერთაშორისოდ აღიარებული სტატუსი და, ფაქტობრივად, არაღიარებულ რესპუბლიკებს წარმოადგენენ.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციის მოქმედებების გათვალისწინებით, ძნელი მისახვედრი ნამდვილად არ არის, თუ რომელი ტერიტორიების "კანონიერად" მიერთება აქვს განზრახული ამჯერად რუსეთს.

ამდენი ხნის განმავლობაში, კრემლმა მოახერხა ის, რომ საქართველოს ორივე კონფლიქტურ ზონაში მოსახლეობის უმეტესობას რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა, რითიც დღეს მანიპულირებს. ორი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დე ფაქტო ხელისუფლება კი მუდმივად რუსეთთან მიერთების და მხარდაჭერის მოლოდინშია.

კანონპროექტის ავტორები მის უმთავრეს მიზანს არც ფარავენ.

"აღნიშნული კანონის მიღების შემთხვევაში, ჩვენ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის პრობლემებს ვჭრით," – აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს ფრაქცია "როდინას" ლიდერი დმიტრი როგოზინი.

დეპუტატი აღნიშნავს, რომ კანონპროექტი სთავაზობს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის მიერთების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, "აღნიშნული ავტონომიების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სურვილის შესაბამისად". რუსეთის ფედერაციაში შესვლის ინიციატორი სწორედ მოსახლეობაა და აღნიშნული წინადადება უნდა გაფორმდეს რუსეთის ფედერაციაში მიერთების შესახებ რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ.

აღნიშნულ კანონპროექტში გამარტივებულია შემდგომი პროცედურაც: მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი შესაბამის დოკუმენტაციას მიიღებს, ის ამის შესახებ ამცნობს ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო სათათბიროს და ხელისუფლებას და, საჭიროების შემთხვევაში, მართავს მათთან კონსულტაციებს. ამასთან, სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, სახელმწიფო სათათბიროში შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის შესვლის შესახებ ფედერალური საკონსტიტუციო კანონის შესაბამისი პროექტი.

პროცედურა, რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს, ყოველგვარი საერთაშორისო შეთანხმების გარეშე ხორციელდება და სრულად ეფუძნება "რეფერენდუმის შედეგებით მიღებულ გადაწყვეტილებას."

სახელმწიფო სათათბიროს მიერ აღნიშნული კანონპროექტის განხილვამდე, ის შესაბამისმა კომიტეტმა – საკონსტიტუციო კანონმდებლობისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხთა კომიტეტმა უნდა განიხილოს. **24 საათი**

საქართველოს აღარაფერს უთანხმებენ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

- საერთაშორისო სამართალში არის ძალიან ბევრი თეთრი ლაქა, რომელთა გამოც მსგავსი პრობლემების გადაწყვეტა ყველგან ჩიხში შედის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემხთვევაში საქმე გაცილებით იოლადაა, რადგანაც, ჯერ ერთი, იქ რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ და მეორეც, თითქმის წინასწარაა ცნობილი რუსეთის შემადგენლობაში ამ რესპუბლიკების მიღებაზე სახალხო რეფერენდუმთა შედეგები.

- აპირებთ თუ არა საქართველოს ხელისუფლების პოზიციის მოსმენას ამ საკითხთან დაკავშირებით?

- ჩვენ მუდამ ყურადღებით ვუსმენთ ქართველ კოლეგებს, მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მეტი გაწელვა აღარ შეიძლება. ეს რეგიონში ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამიტომ რუსეთს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს ყველა მთხოვნელი. მით უმეტეს, რომ მარტო ჩვენს ფრაქციაში ორივე რესპუბლიკიდან ასეთი შინაარსიის რამდენიმე ათეული მოხოვნა დევს. რაც შეეხება საქართველოს პოზიციას, ჩვენი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ამ საკითხის განხილვა საერთაშორისო ხელშეკრულებების გაუთვალისწინებლად მოხდეს.

- ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს არავინ არაფერს შეუთანხმებს?

- კანონპროექტს სათათბიროს საკონსტიტუციო კომიტეტი ამუშავებს, ასე რომ, დარღვევები გამორიცხულია. აქ სერიოზული სხვა მომენტია - ორივე რესპუბლიკაში მოეწყობა სახალხო რეფერენდუმები, რომლის დროსაც ხალხი საკუთარ ნებას გამოხატავს. უკვე ათ წელზე მეტია, ისინი დე ფაქტოდ არსებობენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რატომ არ უნდა ჰქონდეს ამ ხალხს რუსეთის შემადგენლობაში ცხოვრების უფლება? ამ საკითხის დამუშავების შემდეგ პრეზიდენტი პარლამენტის ორივე პალატასთან შეთანხმებით განსახილველად შემოიტანს კანონპროექტს ახალი სუბიექტების მიღებაზე.

- არ შემიძლია, არ გკითხოთ რუსეთის სინამდვილეში თქვენი ლიდერობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნაზე - ეს ახალი ოპოზიციის დაბადებაა თუ კრემლის მორიგი პოლიტიკური პროექტი?

- რუსეთის სინამდვილეში ახალი პოლიტიკური პროექტი ლიბერალური ყაიდისაა და არ გაიმეორებს რუს ლიბერალთა ადრე დაშვებულ შეცდომებს, ჩვენი მოძრაობა სახალხო-პატრიოტულ ძალებს დაეყრდნობა. ქართულ-უკრაინული რევოლუციის ექსპორტი მალე რუსეთში მოხდება, ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რუსეთი ნარინჯისფერი დასავლეთის დანამატად არ იქცეს. ამიტომ იქმნება რუსეთში თვისებრივად ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. კონგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა სტუდენტთა პროფკავშირია. ასე რომ, ჩვენც გვყავს ჩვენი "კმარა" - ისინი ფრაქცია "როდინას" ახალგაზრდული აქტივია.

ალუ ალხანოვი: „საქართველოსაგან მეტ თანადგომასა და გაგებას ვითხოვთ"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ჩეჩნეთის ახალმა პრეზიდენტმა ალუ ალხანოვმა მოსკოვის "პრეზიდენტ ოტელის" აპარტამენტებში დაიდო ბინა. სამოთახიან საპრეზიდენტო ნომერ-ლუქსში ადრე აჰმედ ხაჯი კადიროვი ცხოვრობდა. იმავე სართულზე ბინადრობდა მისი მრავალრიცხოვანი დაცვაც. სოლიდური დაცვის თვალსაზრისით წინამორბედს არც ალუ ალხანოვი ჩამორჩება. 11 დეკემბერს "პრეზიდენტ ოტელში" ბესლანის ტრაგედიის შედეგების ლიკვიდაციისათვის შექმნილი ფედერალური საბჭო მუშაობდა. დახურულ სხდომას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი, კრასნოდარის გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩოვი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, ევგენი პრიმაკოვი და ხელისუფლების სხვა მაღალი ჩინები. ალუ ალხანოვი სასტუმროში სხდომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა. ფოიეში ალექსანდრ ძასოხოვთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ ჩეჩნეთის პრეზიდენტი ლიფტისაკენ გაეშურა, სადაც საკუთარმა დაცვამ ჩვენსკენ გამოახედა, ქართველი ჟურნალისტები გელოდებიანო.

- ბოლო დღეებში კვლავ აქტუალური გახდა საქართველოს დადანაშაულება პანკისის ხეობის გამო. როგორ შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს და რა ვითარებაა დღეს საზღვრის ამ სადავო მონაკვეთზე?

- ჩვენთან უკვე მუშაობს კომისია, რომელიც პანკისიდან მძევალთა ჩეჩნეთში დაბრუნების დეტალებს აზუსტებს. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ლტოლვილების მისაღებად. ყველა მონაცემები არსებობს, რომ მომავალი წლისათვის ეს მუშაობა დასრულდება. რაც შეეხება პანკისის ხეობის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს, საქართველოს მხრიდან მეტ თანადგომას ველოდებით რუსეთ-საქართველოს ჩეჩნეთის მონაკვეთის ერთობლივ დაცვაში.

- კონკრეტულად რა პირობები არ მოგწონთ საზღვრის ჩეჩნურ მონაკვეთზე და როგორია თქვენი წინადადებები?

- დღეს არავისთვის არის ხელსაყრელი რუსეთ-საქართველოს საზღვრის ამ მონაკვეთზე შექმნილი სიტუაცია, თუმცა მთლიანობაში უკანასკნელ დროს გააქტიურდა რუსი და ქართველი მესაზღვრეების თანამშრომლობა. ამის მიუხედავად, დარჩა პასუხგაუცემელი შეკითხვები და პრობლემები, ამიტომ ჩვენი სურვილია, მეტი თანადგომა და გაგება მივიღოთ ქართული მხარისაგან. მით უმეტეს, რომ ისტორიულად რუსეთ-საქართველოს კარგი ურთიერთობები აკავშირებდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ მრავალი წელია, მეზობლები ვართ, ერთმანეთს ვერსად გავექცევით, საუკუნეთა მანძილზე ლხინშიც ერთად ვართ და ჭირშიც, ამიტომ მჯერა, რომ ჩვენი სურვილები გაუზიარებელი არ დარჩება.

ქართულ ენერგოსისტემაში ისევ კრიზისია

საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში საგანგებო ვითარებაა შექმნილი. 11 დეკემბერს, ღამით, ენგურჰესის პირველი აგრეგატის დაზიანების გამო, გამოირთო ძალოვანი ტრანსფორმატორი, რამაც 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზების გათიშვა გამოიწვია. ამის გამო შეწყდა რუსეთიდან იმპორტი, საიდანაც თბილისი 100 მეგავატს, ხოლო რეგიონები, მათ შორის - აჭარა, 170 მეგავატ ელექტროენერგიას იღებდა. ამავდროულად, დაზიანდა "ალავერდის" 220-კილოვოლტიანი გადამცემი, რომლის გამოც შეჩერდა 130 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთიდან, რამაც დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების თითქმის მთლიანი შეჩერება გამოიწვია.

12 დეკემბრის ღამის განმავლობაში დედაქალაქს ელექტროენერგია პრაქტიკულად არ მიეწოდებოდა.

გუშინ ენგურჰესზე მუშაობდა N2 და N1 აგრეგატი, აღდგა ძალოვანი ტრანსფორმატორის ფუნქციონირება და მიმდინარეობს რუსეთიდან 270 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტის სისტემასთან მიერთება.

რაც შეეხება "ალავერდის" გადამცემ ხაზს - ავარიის მიზეზები დგინდება და, ჯერჯერობით, სომხეთიდან 130 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი ვერ ხორციელდება. დედაქალაქის რამდენიმე რაიონს ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება, თუმცა არის შეზღუდვებიც.

შექმნილ ენერგოკრიზისს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურნენ "თელასი"-ს წარმომადგენლები და ენერგოსისტემაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა მოიხსნეს. "თელასის" ტექნიკური დირექტორის ალგირდას კურლისის განცხადებით, დედაქალაქის მოსახლეობის ელექტრომომარაგებაში პრობლემები "თელასისგან" დამოუკიდებელი მიზეზების გამო წარმოიქმნა.

"ენერგოსისტემა ავარიულ რეჟიმში მუშაობს. კომპანია "თელასი" ელექტროენერგიის საფასურს 100 პროცენტით იხდის, მაგრამ ავარიების გამო, თბილისის მოსახლეობის ელექტრომომარაგება მაინც შეფერხებებით ხორციელდება," - განაცხადა კირლისმა. მისი თქმით, აუცილებელია სისტემაში არსებული ტექნიკური პრობლემების დროულად გამოსწორება, რადგან ზამთარი ჯერ კიდევ წინ არის და მსგავსი ვითარების შენარჩუნების შემთხვევაში, კომპანიის ადმინისტრაცია კრიზისზე პასუხს ვერ აგებს. დასავლეთ საქართველოში უამინდობამ ენერგოსისტემაში ერთდროულად რამდენიმე ავარია გამოიწვია. ამას თან დაერთო სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტა, რის გამოც სისტემას მუშაობა კრიზისულ რეჟიმში უწევს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი, პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნულ ძალთა გაერთიანება - კონსერვატორების" ლიდერი ზვიად ძიძიგური ახალი "საგადასახადო კოდექსის" პროექტს აპროტესტებს. როგორც "ინტერ-პრესს" ძიძიგურმა განუცხადა, ახალი "საგადასახადო კოდექსი" ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას ხელს არ შეუწყობს. მისი თქმით, "კონსერვატორებისთვის" მიუღებელია ისედაც მცირედი პროცენტით შემცირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის ამოქმედების ექვსი თვით გადანევა. ძიძიგური ახალი "საგადასახადო კოდექსის" ამოქმედების შედეგად ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებზე პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველი მეწარმის იმიჯზე ზრუნვას არასამთავრობო ორგანიზაციები შეუდგნენ. 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის, ბიზნესკომპანიებისა და სამრეწველო-სავაჭრო პალატის წარმომადგენლები ბიზნესფედერაციის აღმასრულებელ დირექტორთან, გიორგი ისაკაძესთან ერთად ღონისძიებებს შაბათს გამართულ შეხვედრაზე ამუშავებდნენ. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" წევრმა ირაკლი ლექვინაძე "პრაიმ-ნიუსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ არასამთავრობო სტრუქტურები მოქალაქეებს მეწარმის მიერ განხორციელებულ სოციალურ პროექტებს დეტალურად გააცნობენ, რათა დაიმსხვრეს წლების განმავლობაში მთავრობის მიერ შექმნილი "ბიზნესმენი-კრიმინალის" სტერეოტიპი და საზოგადოებამ გაათვითცნობიეროს მეწარმის, როგორც მატერიალური დოვლათის შემქმნელის როლი სამოქალაქო კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

სოხუმი. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტყვარჩელის რაიონში ძირითად საბადოებზე ქვანახშირის მოპოვება 2005 წლის მაისამდე შეწყდა. რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაურ არშბას განმარტებით, ამის მიზეზი დიდთოვლობაა, რომელიც საბადოზე სამუშაოებს აფერხებს. მისივე თქმით, დაგეგმილი 350 ტონა ციტრუსის ნაცვლად, ტყვარჩელში დაკრეფილია მხოლოდ 150 ტონა, რაც აფხაზეთში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა განაპირობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის ინფრასტრუქტურაზე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი იზრუნებს. ბანკის ლონდონისა და თბილისის ოფისების წარმომადგენლები ქუთაისს ეწვივნენ და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. მუნიციპალური პროგრამების საბანკო დაფინანსების ექსპერტები ამ ეტაპზე შესაძლო დახმარებათა პროექტებს სწავლობენ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გიორგაძემ მათ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისა და ავტობუსების პარკის განახლებაში დახმარება სთხოვა. როგორც "ინტერ-პრესს" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმომადგენელმა მეთიუს ლებლანმა განუცხადა, შესაბამისი ეკონომიკური და ტექნიკური დასაბუთების შემთხვევაში, ისინი მზად არიან, ქუთაისს შეღავათიანი და გრძელვადიანი კრედიტი გამოუყონ. **ინტერ-პრესი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

14 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:
თემქის IV კვარტლის, გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ), ცოდნისკარის, შატილის, საჩხერის, ტყიბულის, ირემაშვილის, ხვანჭკარის, ურეკის ქუჩების მაცხოვრებლებს.

15 დეკემბერს, 11.00-დან 16.00 სთ-მდე:
ლოჭინის დასახლების მაცხოვრებლებს.

15 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:
გურამიშვილის გამზირის(ნაწილობრივ) მაცხოვრებლებს.

ს.ს. "თელასი" **გაყიდის**:

N	ა/მ მარკა, მოდელი	გამოშვების წელი	ა/მ ფერი	ფასი
1	Jeep Grand Cherokee 4.0	1998	ნაცრისფერი	$ 9000
2	Opel Frontera 2.4 I	1992	მაგი	$ 4500
3	Jeep Grand Cherokee 4.7	2001	ალუმი	$ 20000
4	ზილ 431410 (ბორტიანი)	1986	ღია ლურჯი	2000 ლარი
5	მაზ 5334	1983	მუქი ყავისფერი 1/4	$ 5500

კურსით ლარებში!

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და

შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე:
77 98 55; 77 98 57; 77 98 53; 77 99 29

როგორ განაწილდება ცენტრსა და აჭარას შორის საბიუჯეტო შემოსავლები?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთგვარ საბიუჯეტო პრივილეგიებს ვადა სამ კვირაში ეწურება. თუ როგორ განაწილდება ახალი წლიდან ცენტრსა და რეგიონს შორის აჭარაში მობილიზებული მოგების, საბაჟო, აქციზისა და დამატებითი ღირებულების გადასახადები, ამაზე მსჯელობას მთავრობაში უახლოეს დღეებში დაიწყებენ. თუმცა, ერთი რამ უკვე ნათელია - არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება აჭარისთვის დღეს არსებული შეღავათების გაგრძელებას არ აპირებს.

ეთერ მამულაშვილი

ამ საბიუჯეტო შეღავათების არსი, კანონის თანახმად, შემდეგში მდგომარეობს: აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ დამატებული ღირებულების გადასახადიდან და აქციზიდან მობილიზებული თანხების 40 პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტს რჩება. აჭარის ბიუჯეტში ირიცხება საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული დღგ-ს 30 პროცენტი. ადგილობრივ ბიუჯეტს რჩება საბაჟო გადასახადის 50 პროცენტიც.

ამ ნორმატიულ აქტს, რომელიც თავის დროზე შევარდნაძე-აბაშიძის მორიგი გარიგების შედეგად 2001 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, წესით, რეგიონის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა.

თუმცა, ამ შეღავათების არსებობის ოთხი წლის განმავლობაშიც კი, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ამას აჭარისთვის არანაირი ეკონომიკური ეფექტი არ მოუტანია.

აღსანიშნავია, რომ ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო შემოსავლების განაწილების ასეთი წესი, გამონაკლისის სახით, მხოლოდ აჭარისთვის დაწესდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმატიული აქტის "დამსახურებით," ადგილობრივი საგადასახადო ორგანოები აჭარის ბიუჯეტში თვეში 2 მილიონზე მეტი ლარის მობილიზებას ახდენენ, უკანასკნელი წლების განმავლობაში ცენტრალურ ბიუჯეტში რეგიონისთვის სპეცტრანსფერების გათვალისწინება მაინც მუდმივად ხდებოდა.

ცენტრსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო შემოსავლების განაწილების შესახებ საუბარი პარლამენტში, სავარაუდოდ, ბიუჯეტის განხილვის დროს დაიწყება, თუმცა თუ იმ პარლამენტართა განწყობით ვივარაუდებთ, რომელთაც "24 საათი" გაესაუბრა, საბიუჯეტო შემოსავლების განაწილება მომავალი წლიდან აჭარაში ისეთივე პრინციპით მოხდება, როგორც ეს დღეს საქართველოს დანარჩენ რეგიონებში მოქმედებს. ანუ, ყველა საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადი – დღგ, აქციზი და საბაჟო, 100 პროცენტით ცენტრალურ ბიუჯეტში ჩაირიცხება. რაც შეეხება მოგების გადასახადს, ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ის მთლიანად ადგილობრივ ბიუჯეტებს დარჩებათ.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ შესაძლო ცვლილებას დღეს უკვე უმტკივნეულოდ ხვდებიან, რეგიონი ცენტრისგან ერთი "უმნიშვნელო" შეღავათის დატოვებასა და მოკრძალებულ ტრანსფერს ითხოვს. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო საგადასახადო ხაზით მობილიზებული დღგ-ს 30 პროცენტის ადგილობრივი ბიუჯეტისთვის დატოვებას ითხოვს.

"ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ იგივე საბაჟო გადასახადი საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება და ის მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა ირიცხებოდეს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ აჭარის ბიუჯეტი დეფიციტურია და გაისად ამ დეფიციტის დასაფარად 44 მილიონი ლარი გვესაჭიროება. ჩვენ ვითხოვთ, რომ რეგიონში საგადასახადოს ორგანოების მიერ აკრეფილი დღგ-ს 30 პროცენტი აჭარის ბიუჯეტში ჩაირიცხოს," - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ "24 საათთან" საუბრის დროს.

სამინისტრომ შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი მოამზადა და პარლამენტს უკვე გადაუგზავნა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პარლამენტი აჭარის ხელისუფლების ამ მოთხოვნას ასე მარტივად გაითვალისწინებს, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლებაში დღეს ცალსახად აცხადებენ, რომ აჭარა, ბიუჯეტთან მიმართებაში, საქართველოს სხვა დანარჩენი რეგიონებისგან არაფრით უნდა განსხვავდებოდეს.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აჭარა მხოლოდ საკუთარი ძალებით 44-მილიონიან დეფიციტს ვერ აღმოფხვრის და არ არის გამორიცხული, რომ შედეგად, რეგიონში სახელფასო დავალიანებები და სხვა დაუფარავი სოციალური ვალდებულებები გაჩნდეს.

ამას ცენტრალურ ხელისუფლებაშიც აღიარებენ და აჭარისთვის გაუქმებული შეღავათების სანაცვლოდ კომპენსირების რამდენიმე მექანიზმს განიხილავენ.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე ერთ-ერთი იმ პარლამენტართაგანია, რომელიც აჭარისთვის დღეს მოქმედი შეღავათების გაგრძელებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **"შესაძლოა, იმ ფულის კომპენსირება, რაც აჭარას ამ შეღავათებით დააკლდება, რეგიონში განლაგებული სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მობილიზებული თანხებით მოხდეს, ან დეფიციტის დაფარვის სხვა წყარო საჩქაროდ უნდა მოინახოს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგრძელდეს ცენტრსა და რეგიონს შორის დღეს მოქმედი მახინჯი ფორმა,"** - განაცხადა გოცირიძემ.

ამ საკითხზე მსჯელობა ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლექსო ალექსიშვილის ინფორმაციით, მთავრობის უახლოეს სხდომაზე იგეგმება.

ანალიტიკოსების პროგნოზების საწინააღმდეგოდ, დოლარის კურსი იზრდება

დიანა ჩაჩუა



პარასკევს დოლარის კურსი მსოფლიოს ძირითადი ვალუტების მიმართ ერთი პროცენტით გაიზარდა. როგორც ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო "როიტერი" იუწყება, ნიუ-იორკის ვაჭრობაზე ევროს კურსი დოლართან მიმართებაში 1,3192-მდე დაეცა.

ასე რომ, დოლარის კურსის რეკორდული ვარდნის შემდეგ, ამერიკული ვალუტა სპეციალისტების პროგნოზების საწინააღმდეგოდ, თავის პოზიციებს უბრუნდება. შექმნილ სიტუაციაში ანალიტიკოსები თავს იმით იმართლებენ, რომ ბაზარი ამერიკის საკეთილდღეო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე იწყებს დაყრდნობას.

ამერიკულ ვალუტას რეაბილიტირებაში ჩინეთმაც გაუწია დახმარება.

გასულ კვირას, ამ უკანასკნელის მხრიდან გაიჟღერა განცხადებამ, რომლის თანახმადაც, ქვეყნის უცხოური ვალუტის ფედერალურ რეზერვებში დოლარის წილი არ შემცირდებოდა. ამის არგუმენტად ის ფაქტი დაასახელეს, რომ ჩინეთი არ აპირებს შეცვალოს ფინანსური პოლიტიკა და სავალუტო ბაზრის მოკლევადიან რყევებს დაეყრდნოს.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ს საგადასახადო ბალანსის რეკორდულმა დეფიციტმა ინვესტორებში შიში გამოიწვია, რის შედეგადაც ოქტომბრის შუა რიცხვებში დოლარის ღირებულება ევროსთან და იენთან მიმართებაში რვა პროცენტით დაეცა.

"დეპრივატიზაციის" ლოზუნგი რევოლუციურ უკრაინაშიც აქტუალურია

დიანა ჩაჩუა

უკანონოდ პრივატიზებული ქონების დაბრუნების თემა რევოლუციურ უკრაინაში ისეთივე აქტუალური აღმოჩნდა, როგორც საქართველოში. უკრაინულმა ოპოზიციამ ბოლო საფინიშე სწორზე სწორედ ამ ლოზუნგის მოშველიება გადაწყვიტა. **"26 დეკემბერს, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ვიქტორ იუშენკოს გამარჯვების შემთხვევაში გადაიხედება ქვეყანაში ჩატარებული უკანონო პრივატიზაციის შედეგები,"** - ასეთი განცხადებით გამოვიდა გუშინ უკრაინული ოპოზიციის ლიდერი ვიქტორ იუშენკო.

"მე კანონდარღვევაზე თვალს არასოდეს დავხუჭავ და ჩემი მთავრობა ამის დავიწყებას არასოდეს დათანხმდება. მაგალითად, თუ ჩვენ "კრივოროჟსტალიუში" მომხდარ ფაქტს დავივიწყებთ, ვერასოდეს მივაღწევთ წესრიგს ქვეყანაში," – განაცხადა იუშენკომ "Financial Times"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, იუშენკოს ადმინისტრაცია ყველა საპრივატიზაციო შეთანხმებას სასამართლოში გააპროტესტებს. ოპოზიციის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ მისი მთავრობის მიზანი არ იქნება რევანში, რენაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება ან საკუთრების ბაზრის 1991 წლის მდგომარეობაში დაბრუნება.

თუმცა, მისივე თქმით, ისინი არ დაკავდებიან ქვეყნის ახლანდელი მთავრობის მიერ უკანასკნელ ათწლეულში ჩატარებული ქმედებების ფართომასშტაბიანი გამოძიებით, რადგან **"ეს, ჩემი აზრით, ნიშნავს აიძულო მთავრობა, თავისი შესაძლებლობები უფრო მეტად წარსულის ანალიზზე დახარჯოს, ვიდრე პერსპექტიულ მომავალზე,"** – განაცხადა იუშენკომ.

გუშინდელ განცხადებაში იუშენკო ხელისუფლებასა და ბიზნესის სექტორს შორის ახალი პაქტის დადების შესახებ ინიციატივით გამოვიდა. მისი თქმით, ხელშეკრულებაში ხელისუფლება თავის თავზე აიღებს წარმოებისთვის სამართლიანი და არაპოლიტიზირებული პირობების შექმნას, რათა ბიზნესმენებმა ღიად მოქმედება და გადასახადების გადახდა შეძლონ.

"ქვეყანაში კანონმა უნდა იბატონოს," – განაცხადა იუშენკომ.

იუშენკო მოწამლეს - საკითხავია ვინ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ვიქტორ იუშენკო: "ბედნიერი ვარ, რომ გადავრჩი".

დიოქსინი ერთ-ერთი ყველაზე ტოქსიკური ტექნოგენური ნივთიერებაა. სპეციალისტები ამბობენ, რომ დიოქსინის საწინააღმდეგო ეფექტური სამკურნალო საშუალება მსოფლიოში არ არსებობს. საკმარისია, დიოქსინი ადამიანის ორგანიზმში მოხვდეს, ის ხანგრძლივ მავნე ზემოქმედებას იწყებს და იქ სამუდამოდ რჩება. დიოქსინი მთელ რიგ სერიოზულ დაავადებებს იწვევს, მათ შორის - ავთვისებიან სიმსივნეს, იმუნოდეფიციტს და ფსიქიკურ მოშლილობას.

იუშენკო "რუდოლფინერჰაუსის" კლინიკაში პირველად 10 სექტემბერს კრიტიკულ მდგომარეობაში მოათავსეს. მედიკოსებმა მას კუჭის, წვრილი ნაწლავის, კუჭქვეშა ჯირკვლის და ყურის ანთება, ასევე ღვიძლის შეშუპება და სახის პერიფერიული ნერვის დამბლა დაუდგინეს.

იუშენკოს მომხრეები თავიდანვე მოწამვლის ვერსიას ავრცელებდნენ. თავად იუშენკოც ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ შეიქმნა ცუდად, რაც უკრაინის უშიშროების ხელმძღვანელთან ერთად ისადილა.

აღსანიშნავია, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით, უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ იუშენკოს მოწამვლის მცდელობასთან დაკავშირებით, ცოტა ხნით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეზე ძიება კვლავ განაახლა.

სხვათა შორის, ფრიად საგულისხმო იყო სააგენტო "ინტერფაქსის" მიერ გუშინ გავრცელებული ცნობა. ამერიკის შეერთებული შტატები ღრმა შეშფოთებას გამოხატავს ავსტრიელი ექიმების დასკვნების გამო, - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯოან მურმა. "ჩვენ ღრმად შეგვაშფოთა ამ დასკვნამ, – ამბობს მური, - მოვუწოდებთ უკრაინას, გამოიძიოს ეს საქმე". ალბათ, ეს იყო უკრაინის სამართალდამცავთა გააქტიურების მიზეზი. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ამ საქმის რეალური არსი ოდესმე გახდეს ცნობილი.

24 საათი

ტაივანში ოპოზიცია იმარჯვებს

ტაივანის ცესკო-ს მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება პრეზიდენტის პარტიამ ოპოზიციას დაუთმო. 225 საპარლამენტო ადგილიდან ოპოზიციამ 114-ის დაკავება შეძლო. დემოკრატიულმა პროგრესულმა პარტიამ, რომელსაც ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი ხელმძღვანელობს, მოკავშირე სოლიდარობის კავშირთან ერთად მხოლოდ თითო-თითო საპარლამენტო მანდატის მოპოვება შეძლო. ტაივანის ლიდერი მეორე ვადით მიმდინარე წლის გაზაფხულზე იქნა არჩეული, თუმცა ოპოზიციური ალიანსი, რომელიც ნაციონალური პარტიის გომინდანისა და პირველი სახალხო პარტიისაგან შედგება, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს დღემდე არ ცნობს, საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის პარტიის გამარჯვება ბევრ რამეს შეცვლიდა, პირველ რიგში ეს აისახებოდა ჩინეთთან ურთიერთობაზე. ჩენ შუიბიანს მიეცემოდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა კონსტიტუციური ცვლილებები, აღარ შეექმნებოდა ბარიერები აშშსთან ხელშეკრულების გასაფორმებლად 18 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით.

ვინაიდან, ჩინეთი ტაივანს საკუთარი ტერიტორიის ნაწილად განიხილავს, ხოლო ამ უკნასკნელს აქვს ამბიცია დამოუკიდებლობაზე, ცხადია, ჩენ შუიბიანის პოლიტიკური მიზნები ოფიციალური პეკინის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ოფიციალურმა პეკინმა გააკეთა კიდეც განცხადება ძალის გამოყენების ალბათობის შესახებ, იმ შემთხვევაში თუკი კუნძული დამოუკიდებლობის მოპოვებას შეეცდება.

არჩევნების შემდეგ გომინდანის პარტიის ლიდერის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: "ჩვენ არ გვსურს ომი. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენმა მთავრობამ პროვოკაციას მიმართოს და ხელი შეუწყოს დაძაბულობის წარმოქმნას".

საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ გაუპროტესტებია ჩენ შუიბიანს. "ჩვენ ვეთანხმებით არჩევნების შედეგებს,"- განაცხადა მან. **ბი ბი სი**

არჩევანი პრემიერ-მინისტრსა და დედაქალაქის მერს შორის

რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, ამომრჩეველთა მაღალი აქტიურობა დაფიქსირდა.

რუმინეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, რომელიც გუშინ გაიმართა, ამომრჩეველთა გაცილებით მაღალი აქტიურობა დაფიქსირდა. დამკვირვებელთა განცხადებით, კვირას საარჩევნო ურნებთან ხმის მიცემის მსურველთა რაოდენობა უფრო დიდი იყო, ვიდრე 28 ნოემბერს.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის ადრიან ნასტასეს მიერ აღებული ხმათა რაოდენობა 41 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როდესაც მისი ოპონენტის ნაციონალურ-ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების ალიანსის წარმომადგენლის ტრაიან ბაშესკუს აქტივში ხმათა მხოლოდ 34 პროცენტი იყო.

როგორც ცნობილია, პირველი ტურის შემდეგ ოპოზიცია, არჩევნებში დაფიქსირებული ტოტალური გაყალბების ფაქტების გამო, შედეგების გაუქმებას ითხოვდა. ოპოზიციის მტკიცებით, სწორედ ამიტომ მათმა ლიდერმა სულ მცირე ხმათა 5 პროცენტი დაკარგა. ოპოზიციის ბრალდების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ დამატებითი ზომები მიიღო, რათა თავიდან აეცილებინა მეორე ტურში ოპოზიციის მხრიდან ანალოგიური განცხადებები.

ქვეყანაში გახსნილი იყო 17 000-ზე მეტი საარჩევნო უბანი. რუმინეთის მოსახლეობიდან არჩევნებში მონაწილეობის უფლება 18 მლნ-ს აქვს. რუმინეთის ახალ პრეზიდენტს უდიდესი მისია ეკისრება. მან რუმინეთი 2007 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებლად უნდა მოამზადოს.

24 საათი

მოკლედ

ფილიპინები. კვირას, ფილიპინების ქალაქ გენერალ-სანტოსში ძლიერი აფეთქების შედეგად სულ მცირე 14 ადამიანი დაიღუპა და 30 დაშავდა. არაბული ტელეკომპანია "ალ ჯაზირა"-ს ცნობით, აფეთქება ქალაქის ბაზარში შუადღისას, ხალხმრავლობის პერიოდში მოხდა. პოლიციელთა განცხადებით, აფეთქების მიზეზი, ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუმცა, სავარაუდოდ, გამოყენებული იყო თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ან ხელყუმბარა. აღსანიშნავია, რომ გუშინ, ქვეყანაში მოქმედ არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას ტერაქტზე პასუხისმგებლობა არ უკისრია. ხელისუფლების ინფორმაციით, ტერაქტის უკან, შესაძლოა, "ალ ქაიდას" ფილიპინური რგოლი, ორგანიზაცია "აბუ საიფი" იდგეს. შეგახსენებთ, "აბუ საიფი" უკვე რამდენიმე წელია, მანილასგან ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დამოუკიდებელი მუსლიმური სახელმწიფოს შექმნის უფლებას ითხოვს. **24 საათი**

■ ■ ■

ისრაელი. ეგვიპტესთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ისრაელის ხელისუფლება ამ კვირაში 100-დან 200-მდე პალესტინელი პატიმრის გათავისუფლებას გეგმავს. ეგვიპტეში შპიონაჟის ბრალდებით გასამართლებული ბიზნესმენის, აზამა აზამას სამშობლოში - ისრაელში დაბრუნების სანაცვლოდ, თელ-ავივი სხვადასხვა კატეგორიის პალესტინელი პატიმრების სასჯელთა ვადების გადახედვას დათანხმდა. ადრე დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, ვადამდელი გათავისუფლება არ შეეხებათ პალესტინელებს, რომლებიც ისრაელის მოქალაქეების მკვლელობისთვის არიან გასამართლებული. ამავე კატეგორიას განეკუთვნება ყველაზე ცნობილი პატიმარი - პალესტინური მოძრაობა "ფათჰის" გასამხედროებული ფრთის ყოფილი მეთაური მარვან ბარგუთი, რომელიც პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტზე იყრიდა კენჭს.

სავარაუდოდ, ისრაელის მთავრობა გუშინ გამართულ სხდომაზე საგანგებო კომისიას შექმნის, რომელიც პალესტინელთა გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს გაუწევს კურირებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ირანი. ოფიციალურმა თეირანმა აღიარა, რომ ირანის ზოგიერთი მოქალაქე ეჭვმიტანილია საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციასთან "ალ ქაიდასთან" თანამშრომლობაში და მიმდინარეობს ძიება. კატარის თანამგზავრული ტელეარხის "ალ ჯაზირა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ადასტურებს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰამიდ რეზა ასეფიც. თუმცა, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა თავი შეიკავა ეჭვმიტანილთა დაკავების ადგილისა და მათდამი ინკრიმინირებული დანაშაულის დაკონკრეტებისაგან. ჰამიდ რეზა ასეფის არ უსაუბრია ასევე სხვა დეტალებზეც აღნიშნულთან დაკავშირებით. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე ფლობს ინფორმაციას ირანის ტერიტორიაზე მყოფი რამდენიმე უცხოელის შესახებ, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს ძიება ასევე "ალ ქაიდასთან" თანამშრომლობის მოტივით. **24 საათი**

■ ■ ■

კარიბის აუზი. შაბათს, კარიბის ზღვაში, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის კუთვნილი ვირჯინის კუნძულებისა და პუერტო-რიკოს რაიონში, რიხტერის შკალით 5,7 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. ახალი ამბების სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ინფორმაციით, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულები არ არიან. ასევე, არც მნიშვნელოვანი ნგრევა არ აღინიშნება. მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი კუნძულ ტორტალას ჩრდილო-დასავლეთით 43 კილომეტრში და პუერტო-რიკოდან ჩრდილოეთით 112 კილომეტრში მდებარეობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

დსთ. თურქმენეთის პრეზიდენტი საპარმურატ ნიაზოვი, პეტრე დიდის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ეს ჯილდო მან "თურქმენეთში სტაბილურობისა და კეთილდღეობის შენარჩუნებაში უდიდესი პირადი წვლილისათვის, ცენტრალურ აზიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების, რუსეთისა და თურქმენეთის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების გამყარებაში გამორჩეული ღვაწლისთვის" დაიმსახურა," - იტყობინება სააგენტო "იტარ-ტასი". თურქმენბაშს ჯილდო უსაფრთოხების, მშვიდობისა და მართლწესრიგის პრობლემათა საერთორუსული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ვასილი კანევსკიმ გადასცა. ამასთანავე, თურქმენთა ლიდერი აღნიშნული აკადემიის ნამდვილ წევრადაც აირჩიეს.

პეტრე დიდის ორდენი რუსეთის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოა და მის კავალერთა შორის რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი, ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი და სხვა ლიდერები არიან. **ნიუს. რუ**

მრჩეველი განვითარების საკითხებში

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **განვითარების საკითხებში მრჩევლის** თანამდებობაზე. მრჩეველი **განვითარების საკითხებში** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მრჩეველი **განვითარების საკითხებში** იმუშავებს BP-ს საგარეო ურთიერთობების განყოფილებაში და ფუნქციონალურად დაექვემდებარება რეგიონალური განვითარების ინიციატივის (RDI) მენეჯერს ბაქოს ოფისში. ძირითადი ფუნქციაა გაუწიოს ტექნიკური მონიტორინგი და გააკონტროლოს BP-ს RDI-ის მუშაობა და სოციალურ ინვესტირებასთან დაკავშირებული ქმედებები საქართველოში. სამომავლოდ, შერჩეული კანდიდატი პასუხისმგებელი იქნება ყველა სოციალური ინვესტიციის პროგრამაზე, რომელიც RDI-ში გაერთიანდება.

თანამდებობა ითხოვს ზოგად გამოცდილებას განვითარების პროგრამებში და სოციალური პროგრამების გაანალიზების უნარს. ასევე მოეთხოვება პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, ტექნიკური რჩევების გაცემა, მოლაპარაკების უნარი.

მოვალეობები:

მრჩეველი **განვითარების საკითხებში** მოვალეა:

■ დაგეგმოს და განახორციელოს RDI პროგრამა საქართველოში, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს საზოგადოების ძირითად საჭიროებებსა და ხელშესახებ სარგებელზე

■ გაუწიოს მენეჯმენტი ღDI პროგრამის მაღალი ხარისხისა და ეფექტურობის მისაღწევად

■ მუდმივად იყოს პროგრამის მიმდინარეობის საქმის კურსში, ანგარიშებისა და რეგულარული საველე ვიზიტების მეშვეობით

■ გამოავლინოს კონკრეტული პროგრამები და მოლაპარაკება აწარმოოს საქართველოს RDI პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, BP-ს საგარეო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთობლივად

■ გაითვალისწინოს განვითარების სააგენტოების და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მოქმედი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოცდილება RDI პროგრამის განსახორციელების პროცესში

■ გაუწიოს მონიტორინგი RDI -ის ბიუჯეტის სწორ და გამჭვირვალე ხარჯვით პროცესს

■ ეფექტურად გაავრცელოს RDI-ის მიზნები და მიღწევები როგორც ორგანიზაციაში ასევე მის ფარგლებს გარეთ

■ დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი სამუშაო ურთიერთობა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, როგორც რეგიონებში, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებაში

■ დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი ურთიერთობა მრავალმხრივ დონორ და დამფინანსებელ ორგანიზაციებთან; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და რეგიონში მოქმედ სხვა ენერგო კომპანიებთან კავკასიის რეგიონში

■ დაამყაროს და შეინარჩუნოს მყარი ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის სათემო, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილთან და ა.შ.

განათლება და სამუშაო გამოცდილება:

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:

შესაბამისი პროფესიული გამოცდილება ერთ ან რამდენიმე ჩამოთვლილ სფეროში: განვითარების ხელშეწყობა, განვითარების კრედიტები, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და ენერგეტიკა.

სასურველია, გამოცდილება ჰქონდეს საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციაში საშუალო ან მაღალი რანგის ხელმძღვანელ თანამდმებობაზე, სტაბილურ არასამთავრობო ორგანიზაციაში სამთავრობო განვითარების სექტორში.

აუცილებელია:

■ მინიმუმ ხუთი წლის პროფესიონალური გამოცდილება მრავალმხრივ დონორულ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში საშუალო ან მაღალი რანგის ხელმძღვანელ პოზიციაზე (ე.ი. პასუხისმგებელი ორგანიზაციის რეგიონალურ პროგრამებზე, სტრატეგიაზეი, მენეჯმენტზე და ა.შ.)

■ მყარი გამოცდილება პროექტის/პროგრამის განხორციელებაში

■ მინიმუმ 2 წლის სამუშაო გამოცდილება საქართველოში (შესაძლოა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკაში)

■ გამოცდილება შემდეგ სფეროებში: დარგთაშორისი სამუშაო, საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განვითარება, საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციებში, კერძო სექტორში; სესხების საშუალებებში, საზოგადოების განვითარება/მართვა, ენერგიტიკაში

■ გამოავლინოს პროექტის მენეჯმენტის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდების ცოდნა

სასურველია:

■ გამოცდილება კონსულტაციის სფეროში - გამოავლინოს ღრმა ცოდნა ორგანიზაციის განვითარების საკითხებში

■ სხვადასხვა საერთაშორისო განვითარების ორგანიზაციებთან/დონორებთან მუშაობის გამოცდილება - სხვადასხვა სტრატეგიის, უნარჩვევების და ა.შ. გამოვლენის უნარი

განათლება

■ ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი შემდეგ სფეროებში: საერთაშორისო ურთიერთობები, განვითარება, ეკონომიკა, პოლიტოლოგია ან სხვა დაკავშირებულ სფეროში

■ თავისუფლად ფლობდეს ინგლისურ და რუსულ ენებს; ქართული ენის ცოდნა აუცილებელია

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 23 დეკემბერი, ხუთშაბათი**

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

რვა ერთის წინააღმდეგ

12-მილიონიანი გრანტი აივ/ინფექციის პრევენციისთვის მოქმედებას იწყებს

აივ ინფექცია/შიდსით ინფიცირების 609 შემთხვევა, აქედან 134 – 2004 წლის განმავლობაში (2003 წლის შესაბამის პერიოდში დაფიქსირებული იყო ინფიცირების 86 შემთხვევა); 449 ინფიცირებული მამაკაცი, 110 – ქალი, ხუთი - ბავშვი; შიდსით დაღუპული 111 ადამიანი, აქედან სამი - ბავშვი; ახლახან აღმოჩენილი შიდსით ინფიცირებული ორი პატარა, რომელთა მშობლებს დაავადება ძალიან გვიან დაუდასტურდათ – ეს ის მონაცმებია, რომელიც ინფექციური პათოლოგიების, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში 2004 წლის მიწურულს დაგროვდა. დაავადება, როგორც ჩანს, ძალებს იკრებს.

მაკა ჯაიანი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აივ ინფექციის გავრცელების ძირითად გზად ინტრავენური ნარკომანია ითვლება, დაინფიცირების ასპროცენტიან საშიშროებას მაინც აივ ინფიცირებული სისხლის გადასხმა წარმოადგენს. შესაბამისად, უსაფრთხო სისხლის გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოშიც, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, აივ ინფექციის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა. რამდენიმე წელია, სახელმწიფო შესაბამის პროგრამას აფინანსებს, მაგრამ იგი ბევრი პარამეტრით ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტს. ამ ხარვეზს ის 12-მილიონიანი გრანტი ამოავსებს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდისგან აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისთვის მიიღო.

ხელშეკრულება საქართველოს ხელისუფლებასა და გლობალურ ფონდს შორის 2003 წლის ზაფხულში გაფორმდა, მაგრამ გასულ წელს ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა, დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ პირველი ტრანშის გადმორიცხვა გარკვეული ხნით შეაფერხა. კითხვის ნიშნები გრანტის ირგვლივ მას შემდეგ მოიხსნა, რაც საქართველში პროექტის განხორციელების სპეციალური საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა, მასში ჩართული ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობით, ხელმძღვანელად კი ქვეყნის პირველი ქალბატონი – სანდრა რულოვსი იქნა არჩეული.

რეალურად, პროგრამა წლევანდელი შემოდგომიდან ამოქმედდა. უსაფრთხო სისხლის ლოტი მისი ერთ-ერთი ნაწილია. გლობალური ფონდის გრანტი საქართველოს საშუალებას მისცემს, ყველა დონორის სისხლი გამოიკვლიოს ჰეპატიტების ჯგუფებზე, შიდსსა და ყველა საშიშ ინფექციაზე. ამასთან, "უსაფრთხო სისხლის" ლოტის ფარგლებში, იქმნება საინფორმაციო ელექტრონული ბაზა, რომელშიც ცალკე შევლენ დაწუნებული დონორები, რაც შეამცირებს მათი ხელახალი გამოკვლევების თავიდან აცილების და გაუმართლებელი დანახარჯების რაოდენობას. მცირებიუჯეტიანი სახელმწიფოსთვის ეს უმნიშვნელო დეტალი არ უნდა იყოს.

"უსაფრთხო სისხლი" ერთ-ერთი ლოტია იმ რვიდან, რომელიც საქართველომ ამ გრანტის ფარგლებში შიდსის პრევენციისთვის უნდა განახორციელოს. დანარჩენი შვიდიც მნიშვნელოვანია. ლოტი - "ადვოკატირება, შესაბამისი იურიდიული და საკანონმდებლო გარემოს შექმნა" გულისხმობს ნარკომანიის, პროსტიტუციისა და სხვა მსგავსი საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადახედვას, გადასინჯვასა და მორგებას შიდსის კანონმდებლობასთან, ზოგადად, იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან, რომელთა განხორციელება პროექტით არის გათვალისწინებული; ლოტი "ნარკომანებს შორის შიდსის პრევენცია", უშუალოდ, ზიანის შემცირების პრინციპების დანერგვაზე იმუშავებს, ნემსის გაცვლისა თუ მეტადონით ჩანაცვლების პილოტური პროგრამის სახით; ლოტის - "მეძავებთან, ჰომოსექსუალებთან და მათ კლიენტებთან შიდსის პრევენცია" ფარგლებში, ზუგდიდში უკვე აპრობირებული მოდელით შეიქმნება კიდევ ერთი საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, სადაც მოხდება ვენდაავადებების უფასო და ნებაყოფლობითი კონსულტირება, ტესტირება და მკურნალობა; დაგეგმილია საველე სამუშაოები, პოლიციელებისა და სატრანზიტო მძღოლების ტრეინინგი;

ლოტში - "ახალგაზრდებს შორის შიდსის პროფილაქტიკა", ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს ახალგაზრდული ცენტრების შექმნის მიმართულებით, სადაც მოხდება მსურველთა კონსულტირება თუ ნებაყოფლობითი ტესტირება, იგი გულისხმობს, ასევე, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სახელმძღვანელოს ადაპტირებას მე-10-11 კლასებში; ამავე ლოტშია მოქცეული პროგრამა "თანატოლი – თანატოლს", რომლის ფარგლებში მომზადდებიან ტრენერები, რომლებიც, თავის მხრივ, თანატოლებს გაანათლებენ. გათვალისწინებულია 30-მდე ახალგაზრდულ-გასართობი, სპორტული და მუსიკალური ღონისძიების მოწყობა; ლოტი "დედიდან შვილზე აივ ინფექცია/შიდსის გადაცემის პრევენცია" გულისხმობს ორსულთა შორის აივ ინფექცია/შიდსის გამოვლენას, ინფიცირებული დედის პროფილაქტიკურ მკურნალობას, რათა ბავშვის ინფიცირება არ მოხდეს; ასევე - ახალშობილის პროფილაქტიკურ მკურნალობას. ყველა ორსული გაივლის უფასო კონსულტირებას შიდსზე. ე.წ. მაღალი რისკის ორსულები, რომელთაც ჰქონიათ სისხლის გადასხმის შემთხვევები, ოპერაციები, ან ნარკომანი მეუღლე ჰყავთ, უფასო ტესტირებასაც გავლიან;

ლოტის - "შიდსით დაავადებულთა მოვლა და მკურნალობა" საშუალებით, საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა, გადაჭრას ყველაზე მტკივნეული საკითხი – რეგისტრირებული შიდსით დაავადებულების მკურნალობა. ლოტის ფარგლებში იქმნება რეგიონული სამკურნალო ცენტრები ბათუმსა და ზუგდიდში – იქ, სადაც შიდსის განსაკუთრებით ბევრი შემთხვევაა. ამ ლოტის ფარგლებში დაგეგმილია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა აივ ინფიცირებულთა მიმართ, სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამას სხვებთან ერთად თავად აივ ინფიცირებულები გაკეთებენ, სპეციალური სემინარების, თვალსაჩინო მასალებისა და საინფორმაციო საშუალებების დახმარებით.

გრანტი ხუთწლიანია, მაგრამ საქართველოს გლობალურ ფონდთან ჯერ მხოლოდ ორწლიან ხელშეკრულებაზე აქვს ხელი მოწერილი. დანარჩენი სამი წლით გრანტის დაფინანსება ამ ორი წლის განმავლობაში პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოხდება. ასეთია გლობალური ფონდის მიდგომა გრძელვადიანი გრანტებისადმი. მთავარია, დასახული ამოცანები ხარისხიანად განხორციელდეს. საქართველომ, უთუოდ, უნდა მოინდომოს, რადგან ის არის პირველი ქვეყანა, რომელიც გლობალურმა ფონდმა, ინფიცირებულთა დაბალი პრევალენტურობის მიუხედავად, დაფინანსა. ჩვენ გვეძლევა შანსი, არ გავიზიაროთ მეზობელი რუსეთისა და უკრაინის ბედი და ამ სერიოზული დაავადების ეპიდემია თავიდან ავიცილოთ.

USAD-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა საქართველოში

საქართველოში განხორციელება დაიწყო ხუთწლიანმა პროექტმა - "საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივა (GELL)". ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAD) მიერ დაფინანსებულ პროგრამას განახორციელებს და კოორდინაციას გაუწევს საერთაშორისო, არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია CHF International.

თამარ ჯაჯანიძე

CHF International-ი მსოფლიოს მასშტაბით ემსახურება პოზიტიურ და, რაც მთავარია, გრძელვადიან ცვლილებებს თემის, საცხოვრებელი გარემოსა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. CHF მუშაობს 100-ზე მეტი ქვეყნის ათასობით თემში და ეხმარება სათემო ორგანიზაციებს სამუშაო ადგილების შექმნაში, სახლების მშენებლობაში, წყალმომარაგებასა და კანალიზაციის სისტემების შექმნასა თუ რეკონსტრუირებაში, სკოლებისა და ჯანდაცვის ცენტრების ქსელის გაფართოებაში, მცირე ბიზნესის დაფინანსებაში, ნაყოფიერი საწარმოების შექმნაში.

2004 წლის ოქტომბრიდან USAD-ის მიერ დაფინანსებული CHF-ის საქართველოსთვის შექმნილი პროგრამის "საქართველოს დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის ინიციატივას" პირველი ფაზა უკვე დაიწყო. აღნიშნული პროგრამა საქართველოში, უშუალოდ, თემთან მუშაობს, რათა აღჭურვოს იგი პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად აუცილებელი ცოდნითა და რესურსებით. პროგრამა საქართველოში 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

USAD-ის მისიისა და CHF international-ის დირექტორებმა საქართველოში CHF international-ის თბილისის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ საქართველოს ექვს რეგიონში 20 სათემო პროექტი განხორციელების პროცესშია. CHF-ის ოფისები გაიხსნა თბილისში, ქუთაისში, თელავსა და ახალციხეში. 2004 წლის ოქტომბერში გამართულ სათემო კრებაზე სოფელ ქვემო ხვედურეთის მცხოვრებლებმა, გათბობასთან დაკავშირებული უკიდურესი პრობლემების გამო, გადაწყვიტეს, მიემართათ CHF-ისთვის გრანტის მოსაპოვებლად. ამჟამად ხვედურეთის საკრებულოს სკოლების მოსახლეობა და CHF international-ი ერთად მუშაობენ ახალი გაზსადენი მილის გაყვანაზე. გაზის მიწოდება მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ დანახარჯებს ზამთრის პერიოდში. ელექტროტრანსფორმატორისა და წყლის საქაჩი მოწყობილობების შეკეთებაზე მუშაობა მიმდინარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფელ ივლიტაში, სადაც საირიგაციო სისტემაა მოსაწესრიგებელი. **"ასობით მსგავს პროექტს განახორციელებს CHF international-ი. თემს მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება ადგილობრივ მთავრობასთან, კერძო სექტორთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების დროს. თემი, პრიორიტეტულობის მიხედვით, განსაზღვრავს საკუთარი განვითარების საჭიროებებს და განახორციელებს გრძელვადიან, მოთხოვნაზე ორიენტირებულ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პროექტებს",** - აცხადებს CHF international-ის წარმომადგენლობის დირექტორი საქართველოში პატრიკ სომერვილი.

ავდრისწინა მშვიდობა

ნანა ყაველაშვილი

რუსების ერთ-ერთი ბლოკ-პოსტი სამაჩაბლოში.

ამ სახლს ნატყვიარი დღესაც ეტყობა.

იური ლოგოდინის ფოტოები

პატარა ლიახვის ხეობაში, ჯერჯერობით, მშვიდობაა, მაგრამ მოსახლეობა მაინც დაძაბულია. "არავინ იცის, რა მოხდება ხვალ და ზეგ. ოსების მხრიდან ღამ-ღამობით სროლები ისევ ისმის. მართალია, გამიზნულად ჩვენი სოფლებისკენ აღარ ისვრიან, მაგრამ ტყეში შეშის მოსატნად ვეღარ მივდივართ. გვეშინია, ბრმა ტყვიის მსხვერპლი არ გავხდეთ. ეს ისეთი მშვიდობაა, ავდრის წინ რომ იცის ხოლმე: უცებ ყველაფერი მიყუჩდება და არ იცი, როდის იელვებს, როდის გავარდება მეხი", - ამბობენ იქაურები.

ხეობის შესასვლელში ტყვიავის საგუშაგოზე ისევ მორიგეობენ სპეცრაზმელები. ამჟამად მათი მისია ხეობაში კონტრაბანდის აღკვეთაა. გუშაგების თქმით, ცხინვალის მხრიდან მომავალმა კონტრაბანდამ სერიოზულად იკლო. **"მკაცრად ვაკონტროლებთ, რომ იქითა (თბილისის) მხრიდან გატაცებული ავტომანქანები არ გადმოიყვანონ და ნარკოტიკები არ შემოაპარონ, აქეთა (ცხინვალის) მხრიდან კი კონტრაბანდა არ გაიტანონ. იშვიათად მაინც არის წვრილ-წვრილი შემთხვევები",** - ამბობენ ისინი. მოსახლეობა მათ არ ეთანხმება, – **"ერთეულები ახერხებენ და რაც უნდათ, ისევ გაქვთ და შემოაქვთ".**

ზაფხულში კონფლიქტის ზონაში შექმნილმა დაძაბულმა სიტუაციამ ხეობის მოსახლეობას მძიმე დაღი დაასვა: მოსავალი მოუვლელი და დაუბინავებელი დარჩა. ერგნეთის ბაზრობის ლიკვიდაციამ ადგილობრივ მოსახლეობას არსებობის ძირითადი წყარო მოუსპო. ისინი შარშანდელ ზამთარს მისტირიან. **"მოსავლისთვის ვის ეცალა, თავის გადარჩენაზეღა ვფიქრობდით. სულ ერთიანად გახმა და ჩაიწვა ხილიცა და ბოსტნეულიც. ბოლო ათი წლის განმავლობაში ეს, ალბათ, ყველაზე მკაცრი და მძიმე ზამთარი იქნება",** - წუხან ხეობელები. აქაურების სურსათის დეფიციტს ხელისუფლების მოკრძალებული ჰუმანიტარული დახმარება ბევრს ვერაფერს შველის: **"ამ ზაფხულს სამი ბომბი ჩამოვარდა ჩემს ეზოში, სამიც - ეზოს გარეთ. ჩემი სახლი 1992 წელს ხეობაში მომხდარმა მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა. თორმეტი წელია, იმის შეკეთება ვერ მოვახერხე და ამ ზაფხულს განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო მეტად დამაზარალა. ხელისუფლება მხოლოდ ნატყვიარი სახურავის შეკეთებაში დაგვეხმარა. გუშინ დაამთავრეს გადახურვა; სახლი – შესაკეთებელი, ოჯახი – მშიერი... ოსების შიშით ტყეში რომ ვეღარ მივდივართ, სოფელში ნერგებს ვჩეხავთ, რომ არ გავიყინოთ. სამუშაო არ გვაქვს, არც - შემოსავალი. დაგვპირდნენ, მაგრამ, ორი თვეა, ჰუმანიტარული დახმარება (სულზე რვაკილონახევარი ფქვილი და ერთი ბოთლი ზეთი) აღარ დაურიგებიათ",** - ჰყვება სოფელ ვანათის მკვიდრი ნათელა ჯოჯიშვილი. მისი ოთხი წლის შვილიშვილი გიორგი მთელ დღეებს სახლის წინ, გზაზე ატარებს, ყინვაში დაუღალავად დაახრიგინებს თავის პრიმიტიულ სათამაშოს – მავთულგაყრილ პატარა ბორბალს, რადგან ვანათში საბავშვო ბაღი აღარ არსებობს. ნათელა ჯოჯიშვილის თქმით, არ მუშაობს საავადმყოფოც. აქაური ავადმყოფები, ძირითადად, სოფლის ამბულატორიას აკითხავენ.

საბავშვო ბაღი, ჯერჯერობით, არც სოფელ ბერულაში მოქმედებს. იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. კედლებშელახული ოთახი, სადაც ადრე ბავშვები ცელქობდნენ და მეცადინეობდნენ, ახლა შეშითაა გამოჭედილი. შედარებით უკეთეს ოთახში გახურებული ღუმელის გარშემო აღმზრდელები თბებიან და ძველ, კარგ დროს იგონებენ. **"ჩვენს ბაღს დიდი საბრძოლო გამოცდილება აქვს. ომის დროს აქ შტაბი იყო. ამ ზაფხულსაც ამ შენობაში კომანდოს ბატალიონი და ერთი სხვა სამხედრო ნაწილი იყო დაბანაკებული. საწოლები და ინვენტარი დაიმტვრა და დაზიანდა. ამიტომ, ბაღი რემონტის დამთავრებამდე ბავშვებს მხოლოდ ერთხელ, საახალწლო ზეიმზე უმასპინძლებს",** - ამბობს ერთ-ერთი აღმზრდელი. კედელზე თვალსაჩინო ადგილას ჰკიდია მომღიმარი პრეზიდენტისა და პირველი ლედის პლაკატი.

ბერულას ამბულატორიაში ადგილობრივი პედიატრი ერთი თვის ნადარ ქუჯუშვილს სინჯავდა. სოფელში წლამდე ასაკის 26 ჩვილი ჰყავთ. **"იბადებიან ბავშვები. აბა, არქონებისა და გაჭირვების შიშით ხომ არ ამოვწყდებით"?!** – იღიმებიან იქაურები. სოფელში თერაპევტი და გინეკოლოგიც ჰყავთ, მაგრამ მედიკამენტების ნაკლებობას უჩივიან. ბერულის მოსახლეობის ყველაზე დიდი პრობლემა ნევროზული დაავადებები, ჩიყვი და ბავშვებში ფართოდ გავრცელებული ნაწლავური ჭიებია, რომელთა პროფილაქტიკასა და მკურნალობას ამბულატორიის ექიმები საკუთარი ძალებითა ვერ ახერხებენ.

ბერულას საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს. სკოლაში 231 მოსწავლეა. მშობლებს წელს განსაკუთრებით გაუჭირდათ სახელმძღვანელოების შეძენა, ზოგი ახლაღა ყიდულობსო, – ამბობენ პედაგოგები. მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია ცოტნაშვილი ბერულას სკოლაში სოფელ ფრისიდან დადის. მისი თქმით, ამ სოფელს ოსები აკონტროლებენ. **"მგზავრობის ფულს ადგილობრივი გამგეობა მაძლევს. ვიცი, რომ ფრისიდან ბერულაში ყოველდღე სიარული სარისკოა, მაგრამ... ჩვენს სოფელში შერეული მოსახლეობაა. სულ დაძაბულები ვართ. სახლში თუკი რამ გაგვაჩნდა, ნათესავებთან მაქვს გახიზნული. შინ მხოლოდ საწოლები და აუცილებელი ნივთები დავიტოვეთ. ღამით ეზოში შუქის ანთებას ვუფრთხით"**, - გვიამბობს მაია ცოტნაშვილი.

"წელს სკოლას რომ დავამთავრებთ, კლასის ბიჭები შევთანხმდით, რომ ყველა ჯარში მივდივართ. ჩვენ თუ არ მივხედეთ აქაურობას, სხვა არავინ მოვა. სწავლის გაგრძელების სურვილი კი გვაქვს, მაგრამ, ალბათ, სოფელში დავრჩებით. ბაღ-ბოსტნებში ვიმუშავებთ. ყველა რომ წავიდეს, ვიღა მიხედავს აქაურობას", – საქმიანად გვიზიარებს აზრს ბერულას სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გიორგი ბერუაშვილი.

კოხათთან ოსური პოლიციის მოძრავ საგუშაგოს მივადექით. ავტომატებით შეიარაღებულმა პოლიციელებმა საუბარი არ ისურვეს. ფოტოგრაფის დანახვამ კი ისინი აშკარად გააღიზიანა. ორასიოდე მეტრში რუსი სამშვიდობოების ბლოკ-პოსტია - შლაგბაუმი, მოზრდილი სამხედრო კარავი, იქვე სანგრები... მშვიდობისმყოფელები მტრულად იმზირებიან და ყოველგვარი საუბრის ხალისს გიკარგავენ. ერთ-ერთის ფხიზელმა თვალმა მაინც შენიშნა მალულად ჩასაფრებული ფოტოკამერა და განრისხებულმა ყვირილი ატეხა: **"არ გადაიღო! არ შეიძლება! მომეცი ფირი"!** მაინც "გავაცურეთ" და ერთი ფოტო მოვასწარით. მოგვიანებით ადგილობრივებმა გვითხრეს, - ცოტა მოშორებით დიდი სანგრები აქვთ გათხრილი და ტანკებიც ჰყავთო.

პატარა ლიახვის ხეობის ქართულ მოსახლეობას იარაღი არ აქვს. ოთხი სოფელი ტაბელური იარაღით შეიარაღებული ერედვის პოლიციის ქვეგანყოფილების იმედზეა. დღედაღამ თავისი "სამფლობელოს" შემოვლას უნდებიან. მათ წევრ ზემდეგ გივი კობალაძეს დღემდე მწარედ ახსოვს ამ ზაფხულს ცხინვალში ტყვედ ყოფნის ამბავი: **"ვანათში ამიყვანეს ტყვედ. პირველ კვირას განსაკუთრებული სისასტიკით გვცემდნენ ოსები. სიტყვიერ შეურაცხყოფასაც გვაყენებდნენ. იმათი ქალები ჩვენს ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ. "ბრალდება" ასეთი იყო: რატომ დადიოდით ოსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებულებიო. შემდეგ ჩვენი ხელისუფლება ჩაერია და შედარებით ლმობიერად გვექცეოდნენ. 42 დღე ვიყავი ტყვედ. გათავისუფლების შემდეგ ხელისუფლებამ, როგორც ტყვედნამყოფს, საკომპენსაციოდ 500 ლარი მომცა... ერთი შეხედვით, მშვიდობაა, მაგრამ რამე რომ მოხდეს, ჩვენი ძალებით სოფლებს ვერ დავიცავთ. ოსები, პოლიციაცა და მოსახლეობაც კარგად არიან შეიარაღებულები. კარგი იქნებოდა, უფრო მეტნი რომ ვყოფილიყავით".** აქაურ პოლიციას ჯამაგირს არ უგვიანებენ. დაიჩივლეს, - ოსეთის ნომრიან მანქანებს გორის რაიონში არ უშვებენ, ნომრების გამოცვლის საშუალება კი არ გვაქვს; იქნებ რამე შეღავათი გაგვიკეთონო.

"ვართ ღვთისა და პრეზიდენტის იმედზე", – ამ სიტყვებით გვემშვიდობებიან იქაურები.

"პამპერსი"-ს საჩუქარი ჩვილ ბავშვთა სახლს

ნუცუბიძის 3 ნომერში მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლში 104 ბავშვი ცხოვრობს. მათ უმეტესობას მშობელი ჰყავს, თუმცა მძიმე სოციალური პირობების გამო, მშობლებს პატარების ბავშვთა სახლში ჩაბარება უწევთ. სახელმწიფოს იმედად დარჩენილ პატარებს ხელისუფლება არსებობისათვის თვეში 225 ლარს უხდის. როგორც ამ სახლის დირექტორმა ავთანდილ ბუბუტეიშვილმა გვითხრა, ეს თანხა საკმარისი არ არის.

"ადრე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოჭრილ თანხას ვიღებდით თვეში 23 ათასი ლარის ოდენობით. ახლა ინდივიდუალურ დაფინანსებაზე გადავედით. თუკი ბავშვების რაოდენობა დაიკლებს, მაშინ გადმორიცხული ფულის დიდი ნაწილი კომუნალურ გადასახადებსა და ხელფასებს დასჭირდება. 104 ბავშვიდან, 20 მძიმედ დაავადებულია. სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიზნესმენები ამ ბავშვების დასახმარებლად დიდ დაინტერესებას არ იჩენენ. "პამპერს"-მა კომპანია "პროქტერ ენდ გემბელი"-სგან შესანიშნავი საჩუქარი გაგვიკეთა. ისინი ერთი წლის განმავლობაში ბავშვთა ერთჯერადი საფენებით მოგვამარაგებენ, რაც ჩვენთვის დიდი შეღავათია. აქამდე ასეთი ფუფუნება არასდროს გვქონია," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ჩვილ ბავშვთა სახლის დირექტორმა ავთანდილ ბუბუტეიშვილმა.

2004 წლის დეკემბრიდან კომპანია "პროქტერ ენდ გემბელმა" მისი სამარკო ნიშნის "პამპერსი"-ს სახით ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო. "დაეხმარეთ მათ დღეს", ასე ჰქვია აქციას, რომლის ფარგლებშიც, "პროქტერ ენდ გემბელი" ერთი წლის განმავლობაში ჩვილ ბავშვთა სახლს ერთჯერადი საფენებით მოამარაგებს.

კომპანია "პროქტერ ენდ გემბელი"-ს წარმომადგენლის, სამარკო ნიშან "პამპერსი"-ს მენეჯერის კავკასიის რეგიონში ანვარ ჰუსანოვის თქმით, უნიკალური ტექნოლოგიებით დამზადებული პამპერსის საფენები ბავშვთა სახლში მცხოვრებ პატარებს შესაძლებლობას მისცემს, იყვნენ მშრალად და დაიძინონ მშვიდად მთელი ღამის განმავლობაში, რაც მათ სწორ განვითარებას შეუწობს ხელს.

"ბავშვის სწორი განვითარება უშუალოდ უკავშირდება ჯანმრთელ ძილს. ბვშვის ტვინის მაქსიმალური ზრდა სწორედ ძილის დროს ხდება. "პამპერსი"-ს საფენი უზრუნველყოფს იდეალურ სიმშრალეს და ბავშვის უწყვეტ ძილს მთელი ღამის მანძილზე. ასე ზრუნავს "პამპერსი" ბავშვების ჯანმრთელობასა და განვითარებაზე.

ყველა მშობელი ცდილობს, რომ თავის შვილს საუკეთესო ხარისხის პამპერსი შეუძინოს, ამ ბავშვებს კი ამის საშუალება არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომ, ჩვენმა კომპანიამ დაიწყო პროგრამა "დაეხმარეთ მათ დღეს", რომელიც ფართომასშტაბიანი პროექტის "ზრუნვა განვითარებაზე" ნაწილია. მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ჩვენ ვაკეთებთ თანხის ნაწილის რეინვესტირებას - თქვენ მიერ შეძენილი თითოეული პამპერსის საფენის თანხის ნაწილი ხმარდება მშობლების გარეშე დარჩენილი ბავშვების განვითარებას. ფაქტობრივად თქვენ, როდესაც იძენთ პამპერსის საფენებს, ჩვენთან ერთად ეხმარებით ამ პატარებს. ასე რომ მადლობა თქვენ, დედებო და მამებო."- განაცხადა ანვარ ჰუსეინოვმა.

პამპერსების გადაცემა ყველაზე მეტად ბავშვთა სახლის მომსახურე პერსონალს გაუხარდა. მათ დღეში 300 კილოგრამამდე საფენების რეცხვა უწევდათ, რაც დიდი ოდენობის ელექტროენერგიასა და სარეცხი საშუალებების ხარჯვას მოითხოვდა. პამპერსის შეძენის შესაძლებლობა კი მათ არასდროს ჰქონიათ.

"პროქტერ ენდ გემბელი"-ს პროექტი "ზრუნვა განვითარებაზე" ასევე უფასო სატელეფონო პედიატრიულ კონსულტაციას მოიცავს. კონსულტაცია ფუნქციონირებს იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ბაზაზე. "პამპერსი"-ს ცხელი ხაზი, რომლის ნომერიცაა 51 75 18, ამა წლის 1 ოქტომბრიდან ფუნქციონირებს და ამ ხნის განმავლობაში მიღებული აქვს 2000-ზე მეტი ზარი.

ციხეში ნარკოტიკები, ძირითადად, ამანათების მეშვეობით შედიოდა

ციხეში ნარკოტიკის შემოტანა თანამშრომლების მეშვეობით აღარ ხდება, ამიტომაც, პატიმრებმა მიმართეს სხვადასხვა ხერხს – ნარკოტიკები ციხეში ძირითადად ამანათების საშუალებით შედიოდა.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის ან შეგზავნის ფაქტზე 2004 წლის ოქტომბრიდან დღემდე სისხლის სამართლის 19 საქმე აღიძრა.

აქედან შვიდი საქმე აღძრულია საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინის" შეტანაზე, ოთხი საქმე - "მარიხუანას", ექვსი - „ბუპფრენორფინის", ორი - „რადადორმის" შეგზავნის ან შეტანის მცდელობის ფაქტზე.

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილის შალვა აბუსერიძის ინფორმაციით, ამ პერიოდში ნარკოტიკის ყველაზე დიდი ოდენობით შეგზავნის მცდელობა ოქტომბერში გამოვლინდა, როდესაც 30 წლის თბილისელი ზ. მ. შეეცადა, ამანათის მეშვეობით საპყრობილეში მყოფი პატიმრის დავით წიქვაძისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის 2,207 გრ „ჰეროინი" გადაეცა.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილეში დააკავეს 69 წლის ზაზა ა.ი. რომელსაც საპყრობილეში ნარკოტიკის შეგზავნის მცდელობას ედავებიან. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილის შალვა აბუსერიძის ინფორმაციით, 0.03 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი" აღმოჩნდა ამანათში, რომელიც ა.მ.-მ საპყრობილეში პატიმარ იანეკ ამოიანს მიუტანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

გარდა ამისა, თბილისის N1 საპყრობილის საამანათო განყოფილებაში იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე დააკავეს 49 წლის ნატო თ., რომელიც ცდილობდა, 3 გრ ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმი" თავისი შვილისთვის, 25 წლის გიორგი თ-სთვის ამანათის მეშვეობით შეეგზავნა. შალვა აბუსერიძის ინფორმაციით, ნარკოტიკი ამანათში ჩადებულ ფუნთუშაში იყო მოთავსებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

"ციხეში ნარკოტიკის შემოტანა თანამშრომლების მეშვეობით აღარ ხდება, ამიტომაც პატიმრებმა მიმართეს სხვადასხვა ხერხს, ძირითადად, ის ამანათების საშუალებით შემოდიოდა. ამიტომაც, მკაცრად იჩხრიკება ყველა ამანათი და ბოლო დღეებში ამანათით ნარკოტიკების შემოგზავნის არაერთი შემთხვევა გამოვავლინეთ. სხვათა შორის, ამ მხრივ რეჟიმის გამკაცრებამ გამოიწვია ის, რომ რამდენიმე დღის მანძილზე არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა, რადგან პატიმრები მიხვდნენ, რომ მათთვის ეს გზა დაიკეტა," – "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ორთაჭალის საპყრობილის უფროსმა გოჩა ალფაიძემ.

სხვათა შორის, ციხეში ამანათის მეშვეობით ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემის ფაქტთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ ამანათების გადასაცემ პუნქტში აქცია მოაწყო მართლმსაჯულების ყოფილმა ომბუდსმენმა ვახო კომახიძემ. მან პატიმართა ახლობლები გააფრთხილა, რომ ამანათების შეგზავნისას სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან მომრავლდა შემთხვევები, როდესაც სხვისთვის შესაგზავნად გადაცემულ ამანათში ნარკოტიკი აღმოჩენილა და აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანი დამნაშავედ მონათლულა. **24 საათი**

დააკავეს სიღნაღის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

სიღნაღის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ლუიზა ბერიაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე, 42 ათასი ლარის არამიზნობრივად გახარჯვასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აპრილში აღიძრა, საქმის კვლევას კი საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის რეგიონული განყოფილება აწარმოებდა, მაგრამ აღნიშნული უწყების მაშინდელი უფროსი, ზაზა მალუძე ირწმუნებოდა, რომ ბრალდებები, რომელიც ბერიაშვილის მიმართ ჯანდაცვის ცენტრის ეკონომიკური განყოფილების თანამშრომლებისგან ისმოდა, უსაფუძვლო იყო. რამდენიმე დღის წინ კი ბერიაშვილი უკვე თვით საგამოძიებო დეპარტამენტმა დააკავა. შედეგად, ბერიაშვილმა გულის შეტევა მიიღო. იგი ამ დროისთვის საკუთარ სახლში, ექიმების და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. შეგახსენებთ, რომ ლუიზა ბერიაშვილის ფინანსურ მაქინაციებზე "24 საათი" ჯერ კიდევ 22 აპრილს წერდა.

ზვიად რუაძე
კახეთი

ლუიზა ბერიაშვილი, თავდაპირველად, მისი უწყების, სიღნაღის ჯანდაცვის ცენტრის ეკონომიკური განყოფილების თანამშრომლებმა კორუფციაში ამხილეს და უფროსის მაკომპრომეტირებელი მასალები პირველად გაზეთ "24 საათში" გამოაქვეყნეს. ყველაფრის თავიდათავი კი სიღნაღის აწ გარდაცვლილი მკვიდრი, ამავე რაიონის ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელი მარგო ოტიაშვილი აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ მისი მემკვიდრეები ლუიზა ბერიაშვილისგან, ოტიაშვილისთვის ვალად დარჩენილი ხელფასის გასტუმრებას ითხოვდნენ, მაგრამ ლუიზა ბერიაშვილი ამის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი მას შემდეგ დაფაცურდა, როცა მარგო ოტიაშვილის მემკვიდრეებმა განცხადებით უკვე რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, თენგიზ ბეჟაშვილს მიმართეს. ამის შემდეგ, ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი "კომპრომისზე წავიდა" და გარდაცვლილი ქალბატონის ახლობლებს ვალის გასტუმრება ნატურით შესთავაზა. კერძოდ, იგი ოტიაშვილის მემკვიდრეებს საფლავის გაკეთებას დაჰპირდა, რაც მარგო ოტიაშვილის ერთადერთი მემკვიდრის, თამარ ბაგალიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ საქმის შესასწავლად შედგა კომისია, საქმეში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი რეგიონული სამსახური ჩაერთო. თუმცა, მანამდე ლუიზა ბერიაშვილის ფინანსური სამეურნეო მდგომარეობის შესწავლა თავად ჯანდაცვის ეკონომიკური განყოფილების თანამშრომლებმა დაიწყეს. მათ მიერ მოკვლეული მასალებიდან კი გაირკვა, რომ ბერიაშვილს ოტიაშვილის ხელფასი თავად ჰქონდა აღებული და როგორც მისი თანამშრომლები აცხადებდნენ, უწყისზეც სწორედ მას ჰქონდა ხელი მოწერილი. ამას გარდა, ისიც გაირკვა, რომ სიღნაღის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი თანამშრომლებს მუნიციპალური და ფედერალური პროგრამებიდან დაფინანსებულ ხელფასებს უსაფუძვლოდ და ყოველგვარი კანონის გარეშე უქვითავდა. თუ ექიმს რომელიმე პროგრამიდან ოფიციალურად 150 ლარი ენიშნებოდა, ბერიაშვილი მათ 50 ლარს აძლევდა. თავს კი იმით იმართლებდა, რომ მას თითოეულ თანამშრომელთან 50-ლარიანი ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული. დავის საკითხადაც სწორედ ეს სახელდებოდა, რადგან, როგორც ბერიაშვილს დაპირისპირებული თანამშრომლები ამბობდნენ, ჯანდაცვის ცენტრი სახელმწიფო დაწესებულებაა და აქ ხელშეკრულება არაფერ შუაშია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქმეში კორუფციასთან მებრძოლი სამსახურიც ჩაერთო. მათ მიერ მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, რომ ლუიზა ბერიაშვილმა თანამდებობა მართლაც ბოროტად გამოიყენა. აღნიშნულმა უწყებამ, ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი 42 ათასი ლარის მითვისებაში ამხილა. სხვა ფინანსურ მაქინაციებთან ერთად, უწყებამ ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი სამსახურის მანქანის თავის სასარგებლოდ არასწორად გაფორმებაშიც ამხილა. "ოპელ ვექტრა," რომლის საბაზრო ფასი 6 ათას ლარს შეადგენდა და ბერიაშვილის პირად საკუთრებას წარმოადგენდა, მან თავის სამსახურს 13 ათას ლარად მიჰყიდა. ეს მოკვლეული მასალები კორუფციასთან მებრძოლმა სამსახურმა უკვე საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს გადაულოცა. უწყების ხელმძღვანელმა ზაზა მალუძემ კი მოძიებულ მასალებს უსაფუძვლო უწოდა. თუმცა, მან "24 საათთან" ადრინდელ საუბარში აღნიშნა, რომ გამოძიება კვლავ გაგრძელდებოდა. თუ რამდენად ობიექტურად დაასრულა საგამოძიებო დეპარტამენტმა მაშინ ძიება, ცოტა არ იყოს ძნელი სათქმელია, რადგან სულ მალე ბერიაშვილი რაიონის პროკურატურამ გაამართლა, უდანაშაულოდ ცნო და ჯანდაცვის ცენტრის უფროსი კვლავ სამსახურს დაუბრუნდა. მაგრამ თავისუფლება ლუიზა ბერიაშვილისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა. მის წინააღმდეგ უკვე ფინანსურმა პოლიციამ გაილაშქრა. მათ მიერ მოკვლეული მზა მასალები კი კვლავ საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა. ბერიაშვილის დაკავებაც სწორედ დეპარტამენტში დაკითხვის შემდეგ მოხერხდა. მის მიმარ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობის ბოროტად გამოყენების მიზნით, 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე აღიძრა.

საგულისხმოა, რომ ლუიზა ბერიაშვილს დაკავების დროს გულმა უმტყუნა და იგი საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა "არამიანცის" საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს.

ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, როგორც რეგიონის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი აცხადებს, ბერიაშვილს სასამართლო მაინც შეუფარდებს წინასწარ სამთვიან პატიმრობას: **"მას სახელმწიფო ქონების მითვისება ედება ბრალად და ლუიზა ბერიაშვილის ავადმყოფობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი ქმედების გამო პასუხისმგებლობას თავიდან აიცილებს,"** - აღნიშნავს ბეჟანიშვილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროისთვის ლუიზა ბერიაშვილი სიღნაღში, საკუთარ სახლში, ექიმების და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

მოკლედ

საპატრულო პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს

თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ორი პირი ჩაჯდა სიღნაღის რაიონის სოფელ წნორში მცხოვრებ, 36 წლის მალხაზ ჯავაშვილის ავტომანქანა "ოპელ-ვექტრაში" და სთხოვა, მეტროს სადგურ "300 არაგველთან" მიეყვანა.

ჩასხდომის შემდეგ, მათ ავტომანქანაში რამდენიმეჯერ გაისროლეს და მძღოლი აიძულეს, ბაგების მიმართულებით წასულიყო. თსუ-ს საერთო საცხოვრებელთან ჯავაშვილს უსაფრთხოების ღვედებით შეუკრეს ხელ-ფეხი, იქვე გადმოაგდეს ხევში და ავტომანქანა გაიტაცეს.

გამთენიისას, 5 საათზე, გატაცებული ავტომანქანა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის გამო, გმირთა მოედანზე დააფიქსირეს. პოლიციის მოთხოვნას, გაეჩერებინათ მანქანა, გამტაცებლები არ დაემორჩილნენ. მანქანა დიდი სიჩქარით გაემართა ვარაზისხევის მიმართულებით და ჟვანიას ქუჩის მე-2 კორპუსთან გაჩერდა. ავტომანქანიდან გადმოსულმა ბოროტმოქმედებმა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს, მანქანა მიატოვეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ავტომანქანიდან ამოღებულია ქურთუკი, პაატა პაპაშვილის სახელზე გაცემული პასპორტი, ორი ცალი შავი ნაქსოვი ქუდი, საფანტის პისტოლეტი "კობრა" ოთხი ვაზნით და 11 ცალი "ლუგერის" მასრა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამსახური. **მედია-ნიუსი**

ევროსაბჭოს ქვეყნებში სამართლის მდგომარეობაზე სპეციალური გამოცემა მზადდება

სტრასბურგში გაიმართა ევროსაბჭოს სამართლის ეფექტურობის ევროპული კომისიის სხდომა, რომელშიც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კომისიის სხდომაზე მთავარი განსახილველი საკითხი ის გამოცემა იყო, რომელსაც კომისია, მისი არსებობის მანძილზე პირველად, ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში სამართლის მდგომარეობაზე ამზადებს. სტრასბურგში გამართულ შეხვედრაზე ქართულ მხარეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის აპარატის უფროსი ირაკლი კვაშილავა წარმოადგენდა. მისი თქმით, ინფორმაცია საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის თაობაზე კომისიაში შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე გაიგზავნა და სხდომისათვის გამოცემის მაკეტი უკვე მომზადებული იყო.

ამ ჟურნალში გაანალიზებული და სტატისტიკურად დალაგებულია მართლმსაჯულების მდგომარეობაზე ის ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც, საქართველოს მსგავსად, კომისიამ ევროსაბჭოს სხვა წევრი ქვეყნებისგან მიიღო. კვაშილავას ინფორმაციით, შეხვედრაზე ისაუბრეს, აგრეთვე, მართლმსაჯულების სფეროში ხარვეზების გამოსასწორებლად გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე. სამართლის ეფექტურობის ევროპული კომისია ორი წლის წინათ შეიქმნა. მისი წევრების შეხვედრა წელიწადში ორჯერ იმართება. მომდევნო სხდომა 2005 წლის აპრილისთვის არის დაგეგმილი. **მედია-ნიუსი**

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ანკეტა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში **economics@24hours.ge** *(tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე* **energy@ecm.ge**, *ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე* **maya-u@gol.ge**.

USAID

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

ჟურნალისტური გამოკითხვა

საზოგადოების აზრით:

დღევანდელი ჟურნალისტური გამოკითხვის რესპონდენტები, ძირითადად, თბილისის მცხოვრებლები არიან, ანუ ისინი, ვინც დღეს საქართველოში, ყველა სხვა რეგიონთან შედარებით, უკეთ მარაგდება ელექტროენერგიით. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" დღეს მათგან შემდეგ კითხვებზე სცადა პასუხის გაგება:

1. თქვენი აზრით, ხორციელდება თუ არა რეფორმა ენერგოსექტორში?
2. თუ ხორციელდება, რა კეთდება ამ მიმართულებით?
3. სწორ ნაბიჯებს დგამს თუ არა ხელისუფლება ელექტროენერგეტიკის დარგის რეფორმირებისას?
4. შეიცვალა თუ არა რამე თქვენთვის ენერგეტიკული თვალსაზრისით, და თუ შეიცვალა, რა?
5. თქვენ რისი გაკეთებისათვის ხართ მზად, რომ სიტუაცია გამოსწორდეს?

ასანიძე გიული, პედაგოგი, 52 წლის:
ამბობენ, რომ ენერგეტიკაში რეფორმა ხორციელდება, თუმცა ამას პირადად მე ვერ ვატყობ. შესაბამისად, ვერც იმას ვიტყვი, რა კეთდება ამ მიმართულებით. რაც შეეხება ხელისუფლებას, არა მგონია, რომ მათ სწორი გზა აერჩიოთ. მდგომარეობა ისევ გამოსასწორებელია. სიტუაცია თითქმის უცვლელია. დენი არც ადრე გვქონდა და არც ახლა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, გლდანის მასივში ასეა. ხალხიც დიდ გადასახადებს ვერ იხდის. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მყარი შემოსავალი, მზად ვარ გადავიხადო გადასახადი, ოღონდ სახელმწიფოც რაიმე შეღავათზე უნდა წავიდეს.

ჯონი კვაჭანტირაძე, 22 წლის, უმუშევარი, ბიოლოგი:
პროგრესია, აბა რა! 24 საათი დენი მაქვს, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ოჯახს. ეს, ბევრი გარემოების გარდა, იმის ბრალიცაა, რომ ენერგეტიკის მინისტრი "მაგრად" მუშაობს.

ხელისუფლების მიერ აღებული გეზი რამდენად სწორია, არ ვიცი. ერთი კია, ეს ორი წელია, რაც "ლევი" დენი მაქვს და იმით ვთბები. აი, ესაა განსხვავება ადრინდელსა და ახლანდელ მდგომარეობას შორის. "ლევი" დენი კი იმიტომ მაქვს, რომ არ ვმუშაობ და რითი გადავიხადო? ხომ არ გავიყინები? გადავიხდი მაშინ, როდესაც მექნება კარგი ხელფასი და საცხოვრებელი პირობები.

ქეთი გგელაძე, 18 წლის, სტუდენტი:
რეფორმა, მგონი, ტარდება. რაღაც ცვლილებები ნამდვილად არის. თუმცა, ჩემთან ("პლეხანოვზე") არც ადრე ქრებოდა დენი და არც ახლა. ვიცი, რომ გარეუბნებში ცუდი მდგომარეობაა. ეს ნამდვილად გამოსასწორებელია. ამისათვის, ვერც მე და ვერცერთი სტუდენტი, ჯერჯერობით, ვერაფერს გავაკეთებთ.

ზაურ გიორგაძე, 61 წლის, ფიზიკოსი:
არა მგონია, რამე რეფორმა ტარდებოდეს, ყოველ შემთხვევაში, დენი სულ გათიშულია და ეს, აბა, რას მივაწეროთ? თუმცა, არ ვიქნებით მართლები, თუკი ვიტყვით, რომ სულ არაფერი კეთდება. ვნახოთ, მოთმინებითა შენითაო... მით უმეტეს, ოდნავი განსხვავება ხომ მაინცაა. თუ გადასახადებს ყველა გადაიხდის, ალბათ, მაშინ ჩვენც შევიტანთ წვლილს ამ პრობლემის დაძლევაში.

მზია ჯინჭარაძე, 48 წლის, ყვავილების გამყიდველი:
რა რეფორმაა ეს? მინისტრებს ერთმანეთის მიყოლებით ხსნიან და პრობლემა პრობლემად რჩება. მე მცხეთაში ვცხოვრობ და დენი საერთოდ არ გვაქვს. ხელისუფლების სისწორის შეფასება ახლა, ამ მდგომარეობისას რა იქნება, თქვენის აზრით? მომხმარებლები არ იხდიან და დენი ამიტომ არ გაქვთო... სამუშაოები არის? რითი გადაიხადონ?

ვასო დაბრუნდაშვილი - 19 წლის, სტუდენტი:
რეფორმები როგორ არ ხორციელდება? ჯერ ერთი, ხელისუფლება შეიცვალა, მეორეც, ხომ ხედავთ - არ აჩერებენ უსაქმურ მინისტრებს. თუმცა, გილაური რას აკეთებს, არ ვიცი. ხელისუფლება, ალბათ, სწორი გზით მიდის.

ადრინდელთან შედარებით, ჩემთან არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ადრე უფრო ხშირად ვრთავდი გენერატორს. მდგომარეობის გამოსასწორებლად მე რა შემიძლია გავაკეთო? გადასახადებს ვიხდი, თუმცა შანსი რომ მქონდეს, "ლევ" დენსაც გადმოვიყვანდი.

ნანა დათუაშვილი – წიგნების გამყიდველი:
რეფორმები როგორ არ მიდის? ფასები ემატება, მაგრამ დენს არ უშვებენ. მათი ქმედებების შედეგს ვერ ვხედავ და აბა, ეს რა სწორი გზაა? მდგომარეობა ოდნავ და უმნიშვნელოდ შეიცვალა. მხოლოდ და მხოლოდ ძველებური დაპირებებია. ხუთი წელია, დენი ჩამიჭრეს, მიუხედავად ამისა, გადასახადის სახით გარკვეული თანხა მაინც მერიცხება. ეს არის უკანასკნელი სიახლე. მე როგორ უნდა გამოვასწორო ეს მდგომარეობა? ხელფასი არ მაქვს. ხალხი სიღარიბეში იხრჩობა და გაზრდილი გადასახადი როგორ უნდა გადაიხადოს?

თამუნა გიორგაძე – სტუდენტი 19 წლის:
არა მგონია, რომ მნიშვნელოვანი რეფორმა ტარდებოდეს. ერთი, რასაც დაგვპირდნენ, რომ კომუნალური გადასახადების გადახდის ფორმას გაგვიმარტივებდნენ, შეასრულეს. ახალი სხვა რა არის, არ ვიცი. ხელისუფლების მოქმედებას რაც შეეხება: არის ისეთი იდეოლოგიური თემები, რომელთა გაუთვალისწინებლად ძნელია, რეფორმა წარმატებით განახორციელო. ისინი კი ხალხის მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ. მე რუსთავში ვცხოვრობ და ადრინდელთან შედარებით, ჩემს ქალაქს დენი ახლა უფრო მეტად მიეწოდება, ეს არის სიახლე. ვერანაირად ვერ ვამართლებ მათ, ვინც ელექტროენერგიას იპარავს. ეს არ არის სწორი, თუმცა ნებისმიერი ჩვენგანი ფულისა და საარსებო საშუალების შემთხვევაში ანალოგიურად მოიქცევა. მით უმეტეს, კონსტიტუციაში წერია, რომ სახელმწიფომ მოქალაქეთა დასაქმების უფლება უნდა უზრუნველყოს.

გესო ჯანგირაშვილი – 35 წლის:
რა კეთდება და რა ხორციელდება ამ ქვეყანაში, არ მაინტერესებს. მდგომარეობა, ალბათ, შეიცვლებოდა, აბა რა? რევოლუცია მოხდა. რა უნდა გავაკეთო, მინისტრის ადგილზე მე არავინ დამსვამს, დენი იყოს და გადავიხდი.

ნუგზარ ბაჯელიძე – 41 წლის:
რა გითხრათ, რეფორმა ხორციელდება, როგორ არა. გილაური, ასე თუ ისე, კარგად მუშაობს. მისი მირცხულავასთან შედარება არ შეიძლება. ისევე, როგორც, ზოგადად, მთავრობის შედარება არ შეიძლება წინა მთავრობასთან. დღეს რა კეთდება და როგორ, ეს მომავალში გამოჩნდება. ხოლო ხელისუფლების დღევანდელი კურსის შეფასება ჯერ ნაადრევად მიმაჩნია. შევარდნაძემ 30 წელი ტანჯა ხალხი და მშვენივრად არის, ამათ კი ასე ადრე რა უნდა მოვთხოვოთ? ჩემთან, მართალია, დენი კვლავ ითიშება, მაგრამ გაზი გადმოვიყვანე და ესაა კარგი სიახლე. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადი დიდია და შემოსავალი დამაკმაყოფილებელი არ არის, მე ყოველთვის ვიხდი.

გურამი – 50 წლის, წიგნების გამყიდველი:
რეფორმები უმნიშვნელოდ ხორციელდება. დენი ისევ ითიშება. გაზიც არ არის. ეს პატარ-პატარა რეფორმები საქმეს ვერ შველის. მე ნოემბრის აქციებზე დღეს არ ვაცდენდი, მაგრამ ძველებური, ყალბი დაპირებები ისევ ძალაში დარჩა.

ხელისუფლების რეფორმები, ძირითადად, პრივატიზაციაში ვლინდება. ერთი, ნავთობსადენს აშენებენ და, ისიც, შევარდნაძემ დაიწყო. ხელისუფლების კურსი არაა სწორი. ხალხს აღარ უსმენენ. მდგომარეობაც თითქმის არ შეცვლილა. ნეტავ, ზამთარი სინათლეში გაატარებინონ მშიერ ხალხს! ამოვიდა ყელში მომავალ განათებულ ზამთარზე საუბარი. მე რა შემიძლია, რომ ამის გამოსასწორებლად გავაკეთო? ახალ რევოლუციას ხომ არ მოვაწყობ?! ხალხს იმედი ჯერ არ გაცრუებია, ამდენს ეს აძლებინებს.

თენგიზ მუხიგული – 55 წლის, თ.ს.უ. დარაჯი:
რეფორმა როგორ არ ხორციელდება, ოღონდ, არასწორად. ან ეს ენერგეტიკა რუსეთს რომ ჩაუგდეს ხელში, რას ელიან? დასჭირდება მათ პოლიტიკას და, გათიშავენ ყველაფერს. რუსეთის ხელში ჩემი მტერი ჩავარდა.

სააკაშვილის მჯერა, ახალი სისხლია, ახალი ძალა. ახლა პესიმისტობა არ შეიძლება. მით უმეტეს, ყველა ამბობს, ერთ წელიწადში მნიშვნელოვნად ვერაფერი შეიცვლებაო.

ჩემი მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა. მე ვაკეში ვცხოვრობ და დენი არის. ამერიკელებიც მეხმარებოდნენ და გადასახადს ნაწილობრივ ისინიც მიფარავდნენ. ისე კი, ისიც მართალია, რომ რაიონებში დენი არ არის. თუმცა ძნელია, ამდენი თმენის შემდეგ კიდევ იცადოს ხალხმა, მაგრამ, ისევ ვამბობ, რომ ჯერ უნდა ვაცალოთ.

მერაბ კაკულია – 49 წლის, მძღოლი:
რეფორმების დიდ სურვილს ენერგეტიკაში ვერ ვატყობ. ჯარი, ჯარიო - სულ ამას გაიძახიან და ის ავიწყდებათ, რომ გაყინულ ხალხს გათბობა სჭირდება.

ნავთობსადენის მშენებლობა მართლაც კარგი იქნება, თუ გაამართლებს.

ახლა სომხეთიდან შემოდის დენი და ასე, ხან სომხეთზე და ხან რუსეთზე ვართ დამოკიდებული.

ესაა რეფორმა ხომ? გადასახადებს ზრდიან და მერე იმას დარდობენ, ვერ ვიღებთო. ან ეს სემეკი რას აკეთებს? "პაცნებითაა" გადატენილი მთელი მთავრობა.

მომავლის იმედი მაქვს. მით უმეტეს, რომ ახლა ერთი საათით მაინც გვაქვს დენი. თუმცა, ასეთი "პროგრესი" ადრეც იყო. ამ თემას, როდესაც გაუჭირდებოდა, შევარდნაძეც იშველიებდა.

"სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკითხს შეისწავლის

"სახელმწიფო ელექტროსისტემა" საქართველოს ენერგოსექტორის საკვანძო ორგანიზაციაა. მის განკარგულებაშია მთელი საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული 220 და 110 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები, ასევე, ცენტრალური სადისპეტჩერო. ფაქტობრივად, ის საქართველოს ცალკეულ ქალაქებსა თუ რეგიონებამდე დენის მიტანას უზრუნველყოფს. მანვე უნდა აწარმოოს ელექტროსისტემის ქსელში გატარებული დენის აღრიცხვაც. სწორედ ამიტომ, ამ სტრუქტურაში მიმდინარე მოვლენების გამჭვირვალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბუნებრივია, რომ აქ, მოუწესრიგებელი აღრიცხვიანობის პირობებში, უკონტროლო თანხების არსებობის შესაძლებლობაც მეტია. შედეგად, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" "ელექტროსისტემის" წიაღში დაკარგული მილიონები კიდევ ერთხელ გადაიანგარიშა და შემაშფოთებელი შედეგი მიიღო: აღმოჩნდა, რომ "აორთქლებულია" სოლიდური თანხები, ის პირები კი, ვისი მეთვალყურეობის პირობებშიც ეს კარგვები მოხდა, სისტემის სხვადასხვა თანამდებობებზე დღემდე მუშაობენ. "ჩვენ ამ საკითხს შევისწავლით," – დაგვპირდა კომპანიის ირლანდიელი გენერალური დირექტორი ჯო კორბეტი. მისი ეს დაპირება "24 საათში" ორი კვირის წინ გამოქვეყნებულ მასალაზე რეაგირების, ჯერჯერობით, ერთადერთი პრეცედენტი იყო და, იმედია, დაპირებად არ დარჩება. მანამდე კი, "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ირლანდიური მმართველობის ორი წლის თავზე, გაგაცნობთ ამ დაპირების ავტორის მოსაზრებებს საქართველოს ენერგოსექტორში არსებული ვითარების, პრობლემებისა და ამ მდგომარეობიდან შესაძლო გამოსავლის თაობაზე.

"სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორი ჯო კორბეტი საქართველოს ენერგეტიკის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის უმთავრესად "ლიკვიდურობას" ასახელებს. ბუნებრივია, იქვე ახსენებს "დეფიციტურობასაც". ანუ, პრობლემები იგივეა, რაც ამ ათიოდე წლის წინ. კორბეტი მიიჩნევს, რომ "სახელმწიფო ელექტროსისტემას" 75 მილიონი დოლარი მაინც სჭირდება იმისთვის, რომ სრულყოფილად შეძლოს ფუნქციონირება.

თუმცა, იქვე დასძენს, რომ ამ თანხის მიღების იმედი ამ ეტაპზე არ არსებობს, ვინაიდან დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელი, საიდანაც ამ ორგანიზაციამ თავისი წილი უნდა მიიღოს ხოლმე, მხოლოდ 25 პროცენტს აღწევს და, ისიც, გაჭირვებით.

ახლა, მართალია, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" დონორებისგან საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული 10 მილიონი ევრო მიიღო, მაგრამ ეს ცოტაა.

ამ ათ მილიონთან ერთად საქართველოს ენერგეტიკამ თანხები გარდაბნის თბოსადგურზე სახელმწიფო ბლოკების გასაშვებადაც უნდა მიიღოს და მარნეულის ქსელის მოსანესრიგებლადაც, რადგან თუ მარნეულის ქსელები არ მოწესრიგდა, მაშინ ბლოკების გაშვება ყოველგვარ ლოგიკას იქნება მოკლებული – მათზე გამომუშავებულ დენს ვერავინ მიიღებს...

ამ და სხვა სამუშაოებისთვის კრედიტები "გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა" გამოყო – ჯამში 1,5 მილიონი ევრო. ეს თანხა საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში მოდის და ორიენტირებულია მაღალი ძაბვის ქსელის (220-110 კილოვოლტი) რეაბილიტაციაზე (სახელმწიფო ელექტროსისტემა, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია); საშუალო ძაბვის ქსელის (6-10 კილოვოლტი) მოწესრიგებაზე (საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია) და კორუფციის აღმოსაფხვრელად, ანუ, აღრიცხვიანობის მოსანესრიგებლად (1 800 000 ევრო). ეს უკანასკნელი კომპონენტი, კორბეტის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან თუ ეს თემა არ მოგვარდა, საქართველოს ენერგეტიკა იგივე იქნება, რაც უგამყიდველო მაღაზია, საიდანაც ყველას იმდენი პროდუქცია გააქვს, რამდენის სურს, და იხდის (ან არ იხდის) იმდენს, რამდენიც ემეტება.

კორბეტი ამბობს, რომ გამრიცხველიანებით ორ საქმეს აკეთებს: "ჯერ ერთი, მრიცხველების დამონტაჟება სექტორს სწორი აღრიცხვის საშუალებას მისცემს, მეორეც – ენერგიის დაზოგვა მოხდება, რადგან თუ ადამიანს ფული არა აქვს, ის ცდილობს, ხარჯები დაზოგოს," – ამბობს ის.

"კავკასიონი" – იგივე ურთიერთობა "საქრუსენერგოსთან" – ესაა პრობლემა, რომელზე საუბარსაც კორბეტი თავს არიდებს. მისთვის მთავარი ახლა ისაა, რომ სადღეისოდ ამ ხაზზე რუსეთთან შეერთების წერტილში ახალი ტიპის მრიცხველი დააყენეს და საშუალება გაჩნდა, გადმოდინება საათობრივად შემოწმდეს.

თუმცა, როცა პრობლემაზე მიდგება საქმე, საქართველოს ენერგეტიკის საკვანძო სისტემის ირლანდიელი მმართველი მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ აფიქსირებს: "პრობლემები, რასაკვირველია, არის, მაგრამ..." და აქვე იხსენებს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ამერიკელ მმართველთა დახმარებას: "ენგურზე დასაყენებელი მრიცხველი მათ გვაჩუქეს, ასე რომ, ახლა სადისპეტჩეროზე რუსეთიდან დენის შემოდინებას ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ამოწმებენ." იმედიც აქვს, რომ ასეთივე მრიცხველები მალე მთელი საქართველოს მასშტაბით დამონტაჟდება. (სხვათა შორის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ უკვე არაერთხელ დაასწრო სხვა დონორებს და ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დაგეგმილზე ადრე დაუფინანსა სასწრაფო ხარჯები. ერთგვარი "თანხის ჩანაცვლება" მოხდა: როცა უკვე დაფინანსებულ ხარჯს გადმორიცხვის დრო მოუვა, სააგენტოს ამ თანხას მაშინ დაუბრუნებენ. სამაგიეროდ, პრიორიტეტული ხარჯების გაწევა ათასგვარი მიზეზით აღარ დაგვიანდება.).

ჩვენი ენერგოსექტორის საბითუმო დონის (ენერგოსუბიექტებს შორის ან სისტემათაშორისი გადადინების წერტილების) გამრიცხველიანება "საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში" უნდა მოხდეს. კორბეტი გვიმხელს, რომ ის მრიცხველები, რომლებიც საათობრივად ათასობით ლარის დენს აღრიცხავენ, სადისპეტჩეროსთან "ჯი-ეს-ემ" სისტემის მეშვეობით "ისაუბრებენ".

თურმე ახლა, ენგურის შემდეგ, "დარიალზეც" აყენებენ ახალ მრიცხველს. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, რადგან ეს ხაზი ამჟამად გამორთულია.

საინტერესო იყო, რატომ "დარიალზე" და არა, მაგალითად, "ალავერდზე", ან "ლალვარზე". ან, თუნდაც, "ქართლი-1"-ის, "ქართლი-2"-ისა და "იმერეთის" გადადინების წერტილებში – ეს ხაზები ხომ უკვე ჩართულია და მათში გამავალი დენის აღრიცხვა, წესით, უფრო აქტუალური უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჯერჯერობით გამოუყენებელი ხაზის ახალი მრიცხველით აღჭურვა. მაგრამ, კორბეტი ამ არჩევანის თაობაზე ან ინფორმირებული არ აღმოჩნდა, ან ჩვენთვის დეტალების გამხელა არ ისურვა და გვითხრა, შეიძლება, უცებ ამ ხაზის გამოყენებაც დასჭირდეთ და იმიტომო. მერე დაამატა, ეს უფრო პრიორიტეტულია, რადგან საზღვარზე გადადინების კონტროლის საშუალება ჩნდებაო. ისე, სომხეთიდან დენის შემოტანაც ხომ საზღვარზე გადადინებაა?.. მოკლედ, აღარ ჩავძიებივართ.

სამაგიეროდ, თვითონ გვითხრა, რომ ამ ახალ მრიცხველს ახლა აჭარაშიც აყენებენ. კორბეტმა არ იცის, ან არ ამბობს, დაიწყებს თუ არა მალე "საქრუსენერგო" დენის ტრანზიტს თურქეთში. თუმცა, ადრე თუ გვიან, ეს რომ მოხდება, ფაქტია: "თურქეთში გადადინების წერტილი კონტროლქვეშ უნდა იყოს: ახლა თურქეთთან მაკავშირებელი ხაზი გამორთულია და სანამ ამოქმედდება, თანამედროვე მრიცხველით უნდა აღვჭურვოთო."

საინვესტიციო გარემოს არ აკრიტიკებს, მაგრამ მოხიბლული რომ არ არის, ფაქტია: "ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც სექტორში თანხის ჩადებას მოისურვებს, ჯერ იმას იკითხავს, რამდენი უნდა ჩავდო და მერე იმას, ამ თანხას რამდენ ხანში ამოვიღებო," – აცხადებს ის და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ ჩვენთან სრული 25-პროცენტიანი "გარღვევაა". ერთადერთ მოთამაშედ, რომელიც ამ "გარღვევით" დიდად არ ზარალდება, "თელასს" ხედავს, რადგან ეს უკანასკნელი თბოსადგურზე გამომუშავებული ენერგიის სანაცვლოდ ჩათვლებს აწარმოებს.

რას ფიქრობს საქართველოს ხელისუფლების პოზიციაზე ენერგოპრობლემებთან მიმართებაში?

დარწმუნებულია, რომ პრობლემის სათავე აზრთა სხვადასხვაობაშია. კერძოდ, ფიქრობს, რომ რა გეგმაც არ უნდა შეიმუშაოს ენერგოსექტორის რეაბილიტაციისთვის ხელისუფლებამ, თუ ერთიანი მიდგომა არ იქნება, არაფერი გამოვა. ისიც პრობლემაა, რომ ამ პრობლემას ბევრი ხედავს და მის მოგვარებასაც ბევრი ცდილობსო...

"თუ საქართველოს უნდა ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს, ამისთვის ეფექტური ენერგეტიკა უნდა სჭირდებოდეს. ეფექტური ენერგეტიკისთვის კი თანხებია საჭირო და ისეთი გეგმა, რომელსაც ყველა მხარე დაეთანხმება. არსა აქვს მნიშვნელობა, რა მიმართულება იქნება, ლიკვიდურობაა მთავარი," – საქართველოში ისევ კონსენსუსს ეძებს ქართული ენერგეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი რგოლის ირლანდიელი მენეჯერი.

საუბარში კორბეტმა ისიც გაგვიმხილა, რაც აწუხებს: "ნაკლებად შესაძლებელია, საქართველოს ენერგეტიკას რამე ეშველოს, თუ ხალხი გადახდას იმის შესაბამისად არ დაიწყებს, რამდენი ენერგიაც სჭირდება."

საუბრის დასასრულს კი შეგვპირდა, ჩემს ხედვას, რა უნდა გაკეთდეს ენერგეტიკაში, წერილობით მოგაწვდითო. ჩვენც მის მოსაზრებებს, ამჯერად, ექსპერტულ შეფასებებს და რეკომენდაციებს დაუყოვნებლივ, მიღებისთანავე გამოვაქვეყნებთ.

დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ჯო კორბეტმა კარგად იცის, მაგრამ თუ განსაკუთრებით არ ჩააჯინდნენ, მაქსიმალურად ცდილობს, ხმამაღლა არ თქვას, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გადასინჯოს, რა სურს ენერგეტიკისგან. კერძოდ, კორბეტისთვის აშკარაა, რომ თუ ხელისუფლებას ენერგოსექტორში მხოლოდ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და 24-საათიანი ელექტრომომარაგება სურს, მაშინ სხვა გზით უნდა წავიდეს, თუ ძლიერი და კონტროლირებადი ეკონომიკის შექმნა – მაშინ სხვა გზით, და საინვესტიციო პრიორიტეტები გადასინჯოს.

"საქართველომ, როგორც ქვეყანამ, უნდა განსაზღვროს, რა სურს ენერგეტიკისგან," – ფიქრობს ის. მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორი ღიად არ საუბრობს. ის კორექტულია და კმაყოფილი სახით ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან ყოველთვის "კონსტრუქციულ დიალოგს" აწარმოებს. ალბათ, მისი აზრები, ხელისუფლების ქმედებები და ობიექტური რეალობა მართლაც გარკვეულ უნისონშია ერთმანეთთან.

პროექტი, რომლის წყალობითაც „ი-ეს-ბი-აი“ საქართველოშია

საქართველოს ენერგეტიკის დონორების რეკომენდაციით, "სახელმწიფო ელექტროსისტემას" ორგანიზაციას უკვე ორი წელია, რაც ირლანდიური "ი-ეს-ბი ინტერნეიშენალის" (ESBI) შვილობილი კომპანია "ი-ეს-ბი-ჯორჯია ლიმითედ" მართავს. ირლანდიელებს აღებული აქვთ ვალდებულება, ხუთ წელიწადში საქართველოს ელექტროგადაცემა-დისპეტჩერიზაციის სისტემა მომგებიანად აქციონ. ეს კი ნიშნავს, რომ ირლანდიელების ხუთწლიანმა მმართველობამ საქართველოს არამდგრადი ენერგოსისტემა სტაბილური და საიმედო უნდა გახადოს: უნდა შემცირდეს მოულოდნელი სისტემური გამორთვების რისკი და ქსელში მუდმივად უნდა იყოს შენარჩუნებული სტანდარტული სიხშირე – (ევროსტანდარტით - 50 ჰერცი).

ირლანდიელების მიერ მოვალეობის შესრულების დაწყება ენერგოსექტორის თანამშრომელთა წინააღმდეგობამ საკმაოდ დააგვიანა. თავიდან, ირლანდიელების თბილისში ჩამოსვლის თარიღად 2002 წლის 2 სექტემბერი სახელდებოდა, თუმცა ფინანსთა სამინისტროსთან გაურკვეველი საგადასახადო ვალდებულებების საკითხის გამო, ამ ვადამ კიდევ უფრო გადაიწია. საუბარი "ელექტროგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციის" იმ საგადასახადო განაკვეთებს ეხებოდა, რომელთა გადახდაც, ხელშეკრულების მიხედვით, "ი-ეს-ბი-აის" არ უნდა დავალებოდა. ირლანდიელები ფინანსთა სამინისტროსგან სპეციანგარიშზე ცხრა თვის თანხების წინასწარ აკუმულირებას ითხოვდნენ, რომელიც ყოველ ექვს თვეში ერთხელ უნდა შევსებულიყო.

ეს თანხა მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ თანხას ფინანსთა სამინისტროს მხრიდან უნდა დამატებოდა, ხოლო შემდგომ, პროექტის მსვლელობისას შესრულებული საგადასახადო ვალდებულებების საკითხის გამო, ამ ვადამ კიდევ უფრო გადაიწია. საუბარი "ელექტროგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციის" იმ საგადასახადო განაკვეთებს ეხებოდა, რომელთა გადახდაც, ხელშეკრულების მიხედვით, "ი-ეს-ბი-აის" არ უნდა დავალებოდა. ირლანდიელები ფინანსთა სამინისტროსგან სპეციანგარიშზე ცხრა თვის თანხების წინასწარ აკუმულირებას ითხოვდნენ, რომელიც ყოველ ექვს თვეში ერთხელ უნდა შევსებულიყო.

ეს თანხა მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილ თანხას ფინანსთა სამინისტროს მხრიდან უნდა დამატებოდა, ხოლო შემდგომ, პროექტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოებიდან გადახდილი სხვადასხვა სახის გადასახადებით ბიუჯეტს უკან დაბრუნებოდა.

ბუნებრივია, ქართული მხარე ვალდებულებების შესრულებას წელავდა და ირლანდიელების შემოსვლაც ფერხდებოდა. ამ პრობლემას თან ერთვოდა ქართველ ენერგეტიკოსთა პროტესტიც. ქართველი ენერგეტიკოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ირლანდიელებთან გაფორმებული სახელმწიფო ხელშეკრულების პირობებმა და უცხოელთა მაღალმა ხელფასებმა გააღიზიანა.

საბოლოოდ, კონტრაქტი ძალაში შევიდა და 2002 წლის მიწურულს კომპანია საქართველოს ენერგოსექტორის საკვანძო ობიექტის მართვას შეუდგა.

მსოფლიო ბანკის პროექტი, რომელსაც ირლანდიელები "მოჰყვნენ", თავიდან 3-წლიანი იყო და საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის მხარდაჭერისთვის 56 575 393 დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა. აქედან, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის წილად 27 368 478 დოლარის ოდენობის კრედიტი მოდიოდა, გერმანიის საკრედიტო ბანკის წილად – 25 000 000 გერმანული მარკის ოდენობის კრედიტი, ევროკავშირის წილად კი – 917 431 ევროს ოდენობის გრანტი, დარჩენილი 17 მილიონი ადგილობრივი სახსრებით უნდა დაფარულიყო.

ამჟამად საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი, რომლის ფარგლებშიც "სახელმწიფო ელექტროსისტემას" ირლანდიელები მართავენ, საქართველოს ენერგოსექტორის ყველაზე პრიორიტეტულ პროექტადაა მიჩნეული. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება თავის უახლოეს სამოქმედო გეგმად სწორედ ამ პროექტით გათვალისწინებული კომპონენტებს ასახელებს.

კომპანია

კომპანია "ი-ეს-ბი ინტერნეიშენალი" საერთაშორისო სარბიელზე 1973 წელს გამოვიდა.

თავისი მოღვაწეობის ადრეული ეტაპიდანვე ის ინვესტიციებს დებდა სხვადასხვა ქვეყნების დამოუკიდებელ ენერგომაწარმოებელთა განვითარების პროგრამებში, ამიტომ მას ამ ქვეყნების ენერგომაწარმოებელ კომპანიათა მართვაში ფართო კომერციული ინტერესები აქვს.

ამჟამად ირლანდიური "ი-ეს-ბი ინტერნეიშენალი" განაგებს და მართავს 3000-ზე მეტი მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურებს ირლანდიის გარეთ. კომპანია მონაწილეობს ყველა ტიპის: ენერგოგენერაციის, ელექტროგადაცემის, ელექტროენერგიის დისტრიბუციისა თუ ენერგოგამანაწილებელი კომპანიების მენეჯმენტში.

"ი-ეს-ბი ინტერნეიშენალი" მონაწილეობს ასევე მალაიზიის, პაკისტანის, განის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს დამოუკიდებელი ენერგოსექტორის განვითარებაში.

ეს ნიშნავს, რომ "ი-ეს-ბი ინტერნეიშენალი", როგორც მმართველი ან მხარდამჭერი კომპანია, დროებით მართავს ელექტროსადგურებს აშშ-ს, განასა და დიდ ბრიტანეთში, აშენებს ელექტროსადგურებს პაკისტანში.

"ი-ეს-ბი ინტერნეიშენალი" დიდ ბრიტანეთში "ქორბი"-ს ელექტროსადგურის, პაკისტანში კი – "რუშ-პაუერის" ელექტროსადგურის მეწილეა.

ენერგოსაწარმოების მართვის პარალელურად, "ი-ეს-ბი ინტერნეიშენალი" ადმინისტრირებას უწევს ელექტროდანადგარებისა და ელექტროგადამცემი სისტემების მენეჯმენტს კანადაში, ალბერტას პროვინციაში.

"ენერგოდანადგარებმა უნდა მიაღწიონ უსაფრთხოებას რაც შეიძლება ეფექტურად. ელექტროსადგურები ისე უნდა იმართოს, რომ გაუთვალისწინებელმა ავარიებმა იკლოს, ელექტროენერგიის გამომუშავება კი მაქსიმალურად ეფექტური და უსაფრთხო უნდა იყოს," - ვკითხულობთ კომპანიის ინტერნეტ-გვერდზე.

"ი-ეს-ბი ინტერნეიშენელს" ჰყავს თავისი საერთაშორისო ექსპერტები, რომლებიც ელექტროსადგურების მართვასა და განკარგვაში სხვადასხვა ქვეყნების ენერგოკომპანიებს კონსულტაციებით ეხმარებიან.

კუზიანო

B3

უკრაინულმა ოპოზიციამ ლას-ვეგასშიც შეაღწია

B5

ორმაგად ბრილიანტი

B8

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ყველამ ვიხილეთ, ტელეკომპანია "მზის" ეთერში ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, **ემზარ ჯგერენაიამ** სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის მდივანს, აწ კი "ახალ მემარჯვენეთა" პარტიის ლიდერს, **დავით გამყრელიძეს** როგორ დაახურა თავზე... არა, ჩემო მკითხველო, ვაფასებ, ნამდვილად ვაფასებ შენს ჭეშმარიტად ქართულ პირდაპირობას, მაგრამ ასე შორს არ წასულა ჩემი ფანტაზია... დაახურა თავზე ტაკიმასხარას ჩაჩი — მაღალი, წითელი და ათასგვარი ზანზალაკებითა თუ ფოჩებით მორთული.

მეორე მხრივ, ისიც ყველამ ვნახეთ, ასეთივე ჩაჩს თავისი ხელით როგორ იხურავდნენ თსუ-ს პირველი კორპუსის წინ შეკრებილი სტუდენტები და ლექტორები...

ამ ორ მოვლენას შორის არსებითი კავშირია. არა, იმ მოარულ აზრს არ ვგულისხმობ, რომ განათლების კანონის წინააღმდეგ სტუდენტთა აქციებს "ახალი მემარჯვენეები" აფინანსებენ — საქმე გაცილებით უფრო რთულადაა და, შესაბამისად, ჩვენს ერთობლივ ისტორიაში უფრო ღრმა წიაღსვლას მოითხოვს, ვიდრე საკვირაო მიმოხილვითაა გათვალისწინებული...

ნოემბრის შუა რიცხვებში "24 საათმა" გამოაქვეყნა "მრგვალი მაგიდა" **ლევან ბერძენიშვილის**, **გიგა ზედანიას**, **სერგო რატიანისა** და **ბასილ კობახიძის** მონაწილეობით. **ნინო ცინცაძემ**, რომელიც დისკუსიას უძღვებოდა, განათლების ახალი კანონის მოწინააღმდეგე სტუდენტების საკითხი დასვა და ისინი კომკავშირლებს შეადარა. ამ შედარებას ლევან ბერძენიშვილი შეეკამათა და თქვა, რომ კომკავშირლებთან შედარება არ შეიძლება, რადგან ამ სტუდენტებს ხელისუფლების მიმართ კონფორმიზმის გამოვლინებას ვერ ვამჩნევთო. მართლაც არ შეიმჩნევა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ეს სულაც არაა არსებითი: ლოიალობის არარსებობა ყოველთვის როდია გამოწვეული პრინციპულობითა და უდრეკი იდეური მრწამსით. რექტორობის კანდიდატად **მიხეილ ქურდიანის** წამომყენებელი სტუდენტები ვერასოდეს იქნებიან დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ლოიალურნი, რადგან ეს ხელისუფლება ვერასოდეს უზრუნველყოფს იმას, რასაც ისინი **როინ მეტრეველის** დროს მიეჩვივნენ. აბა, ვინ მისცემს იმდენ ფულს, რომ ფოკაშიც წავიდნენ "ეროვნული საქმის" საკეთებლად, კარგადაც იქეიფონ და საკმაოდაც ჩაიჯიბონ! ჰოდა, გამოვიდნენ ქუჩაში ისევე, როგორც მოსკოვში გამოდიან პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები საბჭოთა კავშირის აღდგენის მოთხოვნით — განა საკვირველია, რომ მათ გვერდით, უნივერსიტეტის ბაღში დღეს ძველ "კაგებეშნიკებსაც" მრავლად ვხედავთ?

მაგრამ აქაც ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვართ პრობლემის არსისგან. მასში უფრო ღრმად შეღწევისთვის **გიგი თევზაძის** სტატიას მივმართოთ, რომელიც 10 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა. სტატიის სათაურია: *რა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმით ხართ დაკავებული?* ავტორი **ზურაბ ჭიაბერაშვილისა** და **ემზარ ჯგერენაიას** წინააღმდეგ "ლეიბორისტებისა" და "ახლების" გამოხტომებს ერთი საბჭოთა მეთოდის რესტავრაციად აფასებს: ეს "მეთოდი" იყო "**გამოქვეყნებული ტექსტების თუ ხელნაწერების ანალიზი და მათში საბჭოთა სისტემისათვის "სახიფათო ტენდენციების" აღმოჩენა**". ჩვენი განხილვის საგანი იქნება სტატიის შემდეგი ფრაგმენტი: "**საგანგაშო ისაა, რომ საქართველოს პოლიტიკური გარემო ჯერ კიდევ უშვებს: 1) პოლიტიკოსის უფლებას, აკადემიურ აზრს პოლიტიკური შეფასება მისცეს; 2) აკადემიური თავისუფლება გამოიყენოს პოლიტიკური ან ადმინისტრაციული თანამდებობის არდაკავების პირობად; 3) ფარული იდეოლოგიის არსებობას, რომლისადმი შეწინააღმდეგებაც ქვეყნის ღალატის ტოლფასია და რომლის ხელშეუხებელ ღირებულებებად ნებისმიერი რამის გამოცხადება შეიძლება**".

მართლაც, რატომ უშვებს ყოველივე ამას საქართველოს პოლიტიკური გარემო? იქნებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს გარემო სულაც არ არის **პოლიტიკური**?

მოდით, ერთი წამით დავფიქრდეთ და ვიპოვოთ პასუხი შეკითხვაზე: რატომ არ დაამტკიცეს ამდენი ხნის განმავლობაში ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად არც ემზარ ჯგერენაია და არც სხვა ვინმე? ამის მიზეზი შეიძლება მრავალი იყოს, შესაძლებლობათა სპექტრიდან ერთს შემოგთავაზებთ: **ბადრი ბიწაძის** სანათესაო-სამეგობროში ერთიც ვერ გამოიძებნა ისეთი, ვისი ამ პოსტისთვის შეუფერებლობა ხიროსიმას ტრაგედიასავით აშკარა არ იყოს. მე არ ვამტკიცებ, რომ მაინცდამაინც ასეა — ამისთვის საბაბი არა მაქვს. მე იმასაც ადვილად დავიჯერებ, რომ ბადრი ბიწაძეს ცხოვრებაში არასოდეს უფიქრია ამაზე. მაგრამ სხვა რამეა არსებითი: გულზე ხელი დაიდეთ და მიპასუხეთ — თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, გეჩვენებათ ამგვარი პასუხი არაბუნებრივად, შეუძლებლად, წარმოუდგენლად?

ახლა კი ის სტუდენტი გოგონა გაიხსენეთ, პირველი კორპუსის წინ რომ გაიძახოდა, არ მინდა უკულტურო ამერიკელებს დავემსგავსო, რომელთაც არ გააჩნიათ ქალიშვილობის, ბიძაშვილობის, მამიდაშვილობისა და დეიდაშვილობის ინსტიტუტიო. ადვილია ამ გოგონას იდიოტი უწოდო, გაცილებით უფრო ძნელია, საკუთარ თავს გამოუტყდე, რომ იდიოტიზმად მხოლოდ ამის ხმამაღლა განცხადება მიგაჩნია.

მაგრამ გასახსენებელი არ დამთავრებულა: სულ ორიოდე კვირის წინ გაიძახოდნენ ქართველი ორთოდოქსები, საპატრიარქოს მამხილებელ წერილზე ხელისმომწერ სტუდენტთა შესახებ, რომ ამ უკანასკნელთა მთავარი დანაშაული ოჯახური პრობლემების გამომზეურებაა. ცხადია, ამგვარ გარემოში ძნელად მოიკიდებს ფეხს პოლიტიკური აზროვნება.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური გარემო საქართველოში ნომინალურად არსებობს, რეალურად კი სხვა ტიპის ურთიერთობები წარმართავს პროცესებს. თუმცა გიგი თევზაძეს შეუძლია იამაყოს თავისი ძველი მიგნებით: ჩვენი "განათლებული მთა-ბარი" ვარდების რევოლუციამაც ვერ გამოიყვანა პოლიტიკური სიმულაციების სფეროდან.

ახლა კი ზემოთ მოყვანილი ციტატიდან თითო-თითოდ ამოვიღოთ მასში მოყვანილი პუნქტები:

1. **აკადემიური აზრის პოლიტიკური შეფასება**. აქ ერთი ციტატა გამოგვადგება: "**ჩარლზ დარვინი სახეობათა წარმოშობის შესახებ თავის ნაშრომში უდიდეს ყურადღებას უთმობს სოციალურ განაწილებას ჭიანჭველებისა და ტერმიტების პოპულაციაში. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანთა საზოგადოებაში სოციალურ უთანასწორობასა და ერთი რასის მიერ მეორის დამონებას ასევე ბუნებრივი საფუძველი არა აქვს?**" აკადემიური აზრის პოლიტიკური შეფასებისა და გამოყენების ეს კლასიკური მაგალითი ვიქტორიანული ინგლისის ყველაზე გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეს, ეპისკოპოს **სემიუელ უილბერფორსს** ეკუთვნის. რა თქმა უნდა, ამ წინადადების საზრისი უკვე კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ დაუკვირდით აზრის გამოთქმის დონეს, რომელიც ამ მცირე ციტირებასაც კი ეტყობა. განა შეიძლება ეს შევადაროთ თბილისის საკრებულოს ლეიბორისტი წევრის უბადრუკ ფარისევლობას, როცა ასე ამაღელვებლად უკანკალებს ხმა ზურაბ ჭიაბერაშვილის სტატიაში მოყვანილი ნიცშეს სიტყვების ხმამაღლა წაკითხვისას. უყურებ და სხვა ინგლისელის, **ჰენრი ფილდინგის** ნათქვამი გახსენდება: "დედაკაცი არ წითლდება, როცა არავინ უყურებს".

ის, რაც საქართველოში ხდება, სულაც არაა "პოლიტიკური შეფასება" — სინამდვილეში აქ სულ სხვა რამ ხდება: მუდმივი ფარისევლობის ისედაც დიდი დაძაბულობა ერთბაშად იმატებს, საფარველი იფხრიწება და მის მიღმა წამით კრთება სიმართლე: ამ ხალხს ეს ყველაფერი ერთ ადგილას ჰკიდია! — წარმოიდგინეთ, რომ ყველანი ერთხმად ამბობენ და წერენ: "ქართლის დედა". ილიას ლექსის სათაურია "ქართვლის დედა" და გასაგებია, რომ აქ ზედსართავი სახელი "ქართველი" ლექსთაწყობის მოთხოვნებით შეიკუმშა. რას ნიშნავს "ქართლის დედა"? — ქართლის რეგიონის მფარველი წარმართული სულია, ადგილის დედის მსგავსი, თუ სხვა რამ? **უბარში განმიცხადა, რომ ტაძრის სწორედ აქ, ამ ტერიტორიაზე აღმართვას ორმაგი დატვირთვა აქვს: ეს სომხური უბანია და თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, როგორი ბუდე მოვშალეთ.**" ამ ისტორიკოსს ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი კოლეჯიდან, ასე ვთქვათ, მზის ჩასვლამდე მოისვრიდნენ, იმის მსგავსად, როგორც მუსლიმანების ადათი მოითხოვს მიცვალებულთა დაკრძალვას — ამერიკაში ეს კაცი აკადემიური და პოლიტიკური "ტრუპი" იქნებოდა. რატომ არავინ ტეხს განგაშს თსუ ისტორიის ფაკულტეტზე გაპარპაშებული არმენოფობიის წინააღმდეგ? — იმიტომ რომ სწორედ პოლიტიკური გარემო არ არსებობს საქართველოში. პოლიტიკური გარემოს უქონლობა კი შეუძლებელს ხდის პოლიტკორექუტლობის შემოღებას. აქ მხოლოდ ის იბერკორექტულობა შეიძლება აყვავდეს, რომელზედაც ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში ვლაპარაკობდი.

იბერკორექტულობა მოითხოვს შემდეგს: პირად საუბარში რაზეც გინდა ილაპარაკე, შეგიძლია იმავე "ქართვლის დედაზე" უნიჭო ანეკდოტი მოყვე (ხომ ყველამ ვიცით, აი, მესტიელმა სვანმა რომ თბილისელი გოგო შეირთო), ხახვივით შეგრჩება, ოღონდ ნურაფერს გამოაქვეყნებ, ნუ დაწერ! ესეც ასპროცენტიანი ფარისევლობის მაჩვენებელია, მაგრამ არა მარტო ფარისევლობისა: წერილობით არავინ უნდა გამოხატოს თავისუფალი აზრი, რადგან არ უნდა დაირღვეს სიმულირებული პოლიტიკური გარემოსათვის აუცილებელი პირობა — ასატანი ელიტა პლებეური უნდა იყოს. და რადგანაც მდაბიორებს ყველაზე მეტად ის ადარდებს, რამდენად გვანან არისტოკრატებს, ქართულ ელიტაშიც ყველაზე მეტად "სისხლისა" და "ოჯახის" მაჩვენებლები ფასდება. ჭიაბერაშვილისა და ჯგერენაიას გაკიცხვა არ მომხდარა მათი ნაწერების შინაარსის გამო — პირიქით, მათი ნაწერების კითხვა დაიწყეს იმიტომ, რომ ორივე არაკანონიკურადაა შესული ელიტაში: ორივე იქ სულ სხვა "სასტავიდან" მოხვდა.

3. **ფარული იდეოლოგიის არსებობა, რომლისადმი შეწინააღმდეგება სახელმწიფოს ღალატად აღიქმება**. არ ვიცი, რამდენად ფარულია ეს იდეოლოგია: მე მგონი, სწორედ ეს იდეოლოგიაა აშკარა და ერთადერთი — სხვა არაფერი განხორციელებულა რეალურად. მაგრამ ეს იდეოლოგია, ერთი შეხედვით, უდღეურია: ამიტომ ლაპარაკობს გიგი თევზაძე, რომ მის ფარგლებში ყველაფერი შეიძლება გამოცხადდეს ხელშეუხებელ ღირებულებად — ბრეჟნევისდროინდელი ადგილობრივი კოლორიტის გამომხატველი ქანდაკებიდან ჭამა-სმის, უფრო სწორად კი სმა-ჭამის წარმოების წესამდე. მაგრამ ეს მაინც არაა "ყველაფერი" — ხელშეუხებელ ღირებულებად გამოცხადების კანდიდატები გარკვეული წესით აირჩევა. ამ არჩევის ერთ-ერთი წარმმართველი სიტყვაა "ტრადიცია". ვნახოთ, რაზეა საუბარი.

სახელმწიფო ღირებულებები შეუძლებელია ტრადიციების გარეშე. მაგრამ რა ტიპის ტრადიციები შეიძლება იქნეს აყვანილი სახელმწიფო მნიშვნელობის დონეზე? მაგალითად, **ეკონომიკური ტრადიციები**: თუნდაც კერძო საკუთრება და მისი დაცვა ტრადიციაა, ასევე საბაზრო ეკონომიკაც ტრადიციაა. რენესანსის ეპოქაში მსხვილი საბანკო კორპორაციების შექმნა თავდაპირველად იტალიური ეროვნული ტრადიცია იყო, საოკეანო სავაჭრო გზების განვითარება — ესპანური და ინგლისური. კიდევ, **სამართლებრივი ტრადიციები**: მაგალითად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ანგლოსაქსური ტრადიციაა, ბუნებითი სამართლის კონცეფციის შექმნა — გერმანული.

სახელმწიფო ტრადიციად შეიძლება იქცეს ტრადიციათა დარღვევის, მათზე უარის თქმის ტრადიციაც. ამ უკანასკნელით პარადოქსულად გამოირჩევიან ყველაზე კონსერვატიულად აღიარებული ერები და საზოგადოებები: მაგალითად, იაპონია, რომელმაც უახლეს ისტორიაში, სულ მცირე, ორჯერ — XIX საუკუნეში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — რადიკალურად შეცვალა არა მარტო სახელმწიფო პოლიტიკა, არამედ სინამდვილისადმი საერთო სახალხო დამოკიდებულებაც. განა თურქეთის ეროვნულ ტრადიციად არ შეიძლება ჩაითვალოს ათათურქის რადიკალური რეფორმები?

რატომ არ ახსოვთ ჩვენი ტრადიციის დამცველებს, რა მკაცრად მოეკიდა **ილია ჭავჭავაძე** წარსულის ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს პოეტს, თამარ მეფის მეხოტბეს, **ჩახრუხაძეს**? რატომ არავინ იხსენებს, რომ სწორედ დიდი ილიას თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად მიებარა წარსულს **ქართული ანბანის ხუთი ასო**? თუ ამ "ფარული იდეოლოგიის" მესვეურებმა იმძლავრეს, ამის ბუნებრივი შედეგი იქნება ილია ჭავჭავაძის არა მარტო რეალური სახის, არამედ მისი ტექსტების მკაცრი ცენზურირებაც!

აბა, დამისახელონ ამ ეროვნულმა მოღვაწეებმა ერთი მაინც ქართული ტრადიცია, რომელიც ყოფით, ასე ვთქვათ, ეთნოგრაფიულ ბარიერს გადალახავს. ამას თვითონაც გრძნობენ, ამიტომ გაჰკივიან წამდაუწუმ, რომ განათლების კანონი არ ითვალისწინებს იყალთოსა და გელათის აკადემიების ტრადიციებს. ნუთუ არავინ გამოჩნდება იმდენად მამაცი, რომ თქვას: ამ ტრადიციათა გათვალისწინება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ ტრადიციების აღორძინების ბოლო შესაძლებლობა 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ და მასთან დაკავშირებულმა არჩევანმა მოსპო.

ჩვენ კი გადავშალოთ "24 საათის" 11 დეკემბრის ნომერი და ვნახოთ, რა შინაარსის ლოზუნგები უჭირავთ თსუ-ს სტუდენტებს: "**შეწყდეს ანტიეროვნული პოლიტიკა განათლების სფეროში**". ამას უკვე შევეხეთ: დროა ეროვნულობისა და ეთნიკურობის გარჩევა ვისწავლოთ. მეორე სლოგანი ასეთია: "**შეწყდეს ანტიქრისტიანული რეფორმები განათლების სისტემაში**".

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვნახოთ, როგორ არის საქართველოში ქრისტიანული განათლების საქმე. 7 დეკემბერს ნინო ცინცაძის სტატიაში ვკითხულობთ: "**რამდენიმე დღის წინ შევხვდით პატრიარქს და ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის შესახებაც ვისაუბრეთ და პატრიარქისგან სრული მხარდაჭერა მივიღეთ, აკადემიისა და სემინარიის ლექტორთა არაკომპეტენტურობა იყო. მე, მაგალითად, "ახალ აღთქმაში" მესამე კურსზე მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ლექცია ჩამიტარდა**". ეს თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტის, **ბექა მინდიაშვილის** სიტყვებია. რა უნდა ასწავლოს განათლების სისტემას ეკლესიამ, რომლის შიგნით განათლების საქმე ასე სავალალო მდგომარეობაშია? რა გონიერი შენიშვნები უნდა მიაწოდოს საქართველოს განათლებას სასულიერო აკადემიამ, რომლის რექტორმა თავის დროზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დამთავრება ვერ მოახერხა და განათლების ერთადერთ მოწმობად, სავარაუდოდ, ახალციხის სასულიერო სემინარიის დიპლომი აქვს. კომენტარისთვის: ეს იგივე მდგომარეობაა, დავით გამყრელიძის ბაბუას, აკადემიკოს **პეტრე გამყრელიძეს** რომ მხოლოდ თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი ჰქონოდა დამთავრებული.

ჩვენ კი ის დაგვრჩენია, ქრისტიანული განათლების ყლორტი ვაჩვენოთ, რომელმაც თსუ-ში იხარა: ჩემმა კოლეგამ, რომელთან ერთად ევროისტორიის რუბრიკას ვამზადებ, თავზარდაცემულმა მომითხრო ორი შეკითხვის შესახებ, რომელიც პირველკურსელებმა დაუსვეს: "ეგვიპტის პირამიდები სატანამ ააშენა?" და მეორე: "ეს ტექსტები კითხვით გვექნება თუ მოყოლით?".

სანამ მდგომარეობა ასეთია, დავით გამყრელიძესა და კობა დავითაშვილს შეუძლიათ არხეინად იყვნენ: კიდევ დიდხანს არ მოაკლდებათ ელექტორატი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია განახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს მიერ წიგნისა და ლიტერატურის განვითარების პროგრამით გათვალისწინებულ საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების პროექტს.

პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს 70 ბიბლიოთეკის და ეროვნული ბიბლიოთეკის მომარაგება 1992 წლიდან დღემდე საქართველოში გამოცემული წიგნებით. წიგნების არჩევას მოახდენენ თავად ბიბლიოთეკარები სპეციალურად გამართულ გამოფენაზე.

გამოფენაში მონაწილეობის მსურველმა გამომცემლობებმა და წიგნის გამავრცელებლებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წიგნების ნუსხა და წიგნის ერთი ეგზემპლარი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციაში. მისამართი: თბილისი, კოსტავას ქუჩა 47, VI სართული, ოთახი 29.

წიგნების ნუსხა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
- ავტორი
- დასახელება
- გვერდების რაოდენობა
- ფორმატი
- ფასი (ფასი არ უნდა აღემატებოდეს მინიმალურ საცალო საბაზრო ფასს).

გამოფენაში მონაწილეობის უფლება აქვთ:
- წიგნის გამომცემლობებს;
- წიგნის გამავრცელებლებს, რომელთაც აქვთ მოცემული წიგნის გავრცელების წერილობითი ექსკლუზიური ნებართვა გამომცემლობისგან.

დამატებითი მოთხოვნა:
- წარმოდგენილი წიგნი არ უნდა იყოს სკოლის ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელო;

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 16 დეკემბერი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია. მისამართი: თბილისი, კოსტავას ქუჩა 47, VI სართული, ოთახი 29. ტელეფონი: 335096

რადიო უცნობი

ᲚᲘᲖᲐ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოში FM რადიომაუწყებლობა ათიოდე წლის წინ დაიწყო და დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო იხვეწებოდა და პოპულარული ხდებოდა.

უკვე საკმარისზე მეტი სხვადასხვა ტიპის და მიმართულების რადიოსადგური არსებობს და ყველა მათგანს საკუთარი მსმენელი და დამფასებელი ჰყავს. ისევე როგორც ტელევიზია და პრესა, რადიო უამრავი ადამიანის ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

რადიოს მსმენელები ყველა ტიპის ადამიანები არიან: ახალგაზრდები, უფროსი თაობა, რომელსაც მოენატრა ახალგაზრდობის დროინდელი ჰანგები და ასევე აინტერესებს ყველაფერი ახალი, რაც თანამედროვე ცხოვრებაში ხდება, მძღოლები, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს საჭესთან ატარებენ. მოკლედ, არსებობენ სხვადასხვა გემოვნების, სხვადასხვა ფენისა და ასაკის მსმენელები და, ალბათ, სწორედ ამიტომ არსებობს მრავალი რადიოტალღაც.

მე, მაგალითად, დიდი სიამოვნებით ვუსმენ "პირველ რადიოს", რადგან ვაფასებ მუსიკის მრავალფეროვნებას, რასაც შეიძლება საკუთარი მუსიკალური დისკებითა და კასეტებით ვერ მიაღწიო. ბავშვობიდან რადიოს დიდი თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ არის რადიოარხები, რომელთა მოსმენა ყოვლად აუტანელი მეჩვენება.

ჩემი მეგობრების წყალობით, ორი დღის წინ მოვხვდი რადიო "უცნობში", რომლის მაუწყებლობა ოფიციალურად არ დაწყებულა, თუმცა, საცდელი გადაცემები უკვე მიმდინარეობს. მოკლედ გიამბობთ, თუ რა ვნახე იქ.

რადიოში საკუთარ საქმეზე შეყვარებული უამრავი პროფესიონალი და მონდომებული ადამიანი დამხვდა. ისინი მოუთმენლად ელოდებიან მაუწყებლობის ოფიციალურად დაწყებას და ემზადებიან ამისთვის. სულ მალე ეს არხი ეთერში გავა და დაიწყებს ყოველდღიურ მაუწყებლობას. მზადდება ორიგინალური, სრულიად განსხვავებული საინფორმაციო პროგრამა, მოწვეული ჰყავთ დი ჯეები, რომლებიც რადიოში მხოლოდ ქართველი მომღერლების მიერ შესრულებულ სიმღერებს დაატრიალებენ, იქნება ასევე რამდენიმე გასართობი პროგრამა და თოქ შოუ. ცხადია, განთავსდება რეკლამაც.

იმ პროექტებსა და გადაცემებზე, რომლებიც რადიო "უცნობში" მზადდება, ბევრს არაფერს გეტყვით, რადგან ვიცი - ამ არხის მუშაობის დაწყებას უამრავი ადამიანი დიდი ინტერესით ელოდება. ისიც უნდა გითხრათ, რომ იქ მოხვედრილ ყველა ადამიანს დიდი სიამოვნება ელის, რადგან იქ არაჩვეულებრივი აურაა. ქართულ რადიოტალღებს კი კიდევ ერთი, ამჯერად, ალბათ, გემოვნებიანი და განსაკუთრებით თინეიჯერების საყვარელი რადიოტალღა შეემატება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ

14 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართველი და იტალიელი მომღერლები მოცარტის ოპერას "დონ ჯოვანის" შეასრულებენ.

საქართველოში უკვე ჩამოვიდნენ იტალიელი სოლისტები: ემანუელა მარტელი, ნუნსია სამტოტიროკო, ფრანჩესკა რინალდი და მასიმილიანო დამატო.

ოპერა ორმოქმედებიანია და მას გიორგი ჟორდანია უდირიჟორებს. წარმოდგენას იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანოც დაესწრება.

მედია-ნიუსი

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ

ᲡᲝᲤᲘᲝ ᲗᲝᲓᲣᲐ

ამ თეატრს ხშირად საყვედურობენ, რომ მწირი რეპერტუარი აქვს და ყველა სპექტაკლს ერთი რეჟისორი დგამს. გუშინდელი პრემიერის შემდეგ სასაყვედურო შეიძლება სხვა რამ გახდეს - მაგალითად ის, რომ სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე ოთარ ბაღათურიამ საკუთარი პიესა თავადვე დადგა და პრემიერებს დანატრებულ მაყურებელს ის სპექტაკლი წარუდგინა, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.



თავშესაფარი - სცენა სპექტაკლიდან.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"მეფე ლირი თავშესაფარში" - ასე ჰქვია ახალ სპექტაკლს. დღევანდელ თავშესაფრებში რომ სნორედ ისინი ხვდებიან, ვინც მეფე ლირის ბედი გაიზიარა, ეს ვიცით, მაგრამ საბოლოოდ ჩაიქნიეს თუ არა მათ ხელი ცხოვრებაზე, ჯერ კიდევ საკითხავია. პიესის ავტორი მარტოხელა ადამიანის ტრაგედიას კიდევ უფრო ამძაფრებს და მოხუცებულთა თავშესაფარს მიძინებული ვნებების ფონზე წარმოგვიდგენს. მიტოვებული ცოლი და ერთ დროს სხვასთან გაქცეული ქმარი ერთმანეთს თავშესაფარში ხვდებიან და მათი ურთიერთობა საყვედურებისა თუ მიტევების კვალდაკვალ იმთავითვე ფინალური სცენისკენ ამზადებს მაყურებელს. ფინალი, ცხადია, ტრაგიკულია, ოღონდ აქ უმადური შვილებისგან გამოგდებულ მშობლებს სახელმწიფოც სასიკვდილოდ იმეტებს - ისინი გარეთ, ქუჩაში რჩებიან.

ვინ არიან ისინი თავშესაფარში, ეს არავის აინტერესებს, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი "იქ, გარეთ"? ზუსტი პასუხი არც ამ კითხვაზე არსებობს, რადგან ყოველი მათგანი სიმართლეს საგულდაგულოდ მალავს. ანიკო (ირინე ნიჟარაძე) იქ, იმ ცხოვრებაში, ბალერინა იყო, მაგრამ აქ ყველას დამლაგებლად ეცნობა. გოგი (ალეკო ალავიძე) თავის დროზე კოლონიაში ზედამხედველად მუშაობდა, თუმცა, თავს ბუღალტრად ასაღებს; არკადიმ (მამუკა მაზავრიშვილი) მხოლოდ ის იცის, რომ რუსია და ამ ქვეყანას სტალინი გაასწორებს, მაგრამ რას შეეწირნენ მისი მშობლები, ვერა და ვერ გაუგია; ქეთო და რუსიკო (ნელი ბადალაშვილი, მზია ტალიაშვილი) საერთოდაც ვერ იგონებენ წარსულს, კაკო და ვანიკო კი (ვალერი ტორონჯაძე, ვაჟა ციცილოშვილი) ახალგაზრდობის გახსენებას არც ცდილობენ. ტყუის ქალბატონი დოდოც (მაია ზედგინიძე), ყოფილი ცოლი და ყოფილი რეჟისორი და თავშესაფარში "მეფე ლირს" უფრო იმიტომაც დგამს, რომ მწარე სიმართლე თეატრალური მეტაფორებით შეფუთოს; წარსულს გაქსუებული დირექტორიც (კახა გოგიძე) მალავს - რა ქნას, სინამდვილეში ერთი უიღბლო ფილოლოგია, აქაურობა მისთვისაც უკანასკნელი შანსია და ისიც "სუფთა სინდისით" ყიდის თავშესაფარს - აქ მოგვიანებით კავკასიაში პირველი ეროტიკული თეატრი დაიდებს ბინას. ერთადერთი პერსონაჟი, რომელსაც დასამალი აღარაფერი დარჩენია, გალოთებული და ნაინფარქტარი სანდროა (აკაკი ხიდაშელი), ყოფილი ქმარი და ყოფილი მსახიობი, ცოლის აქტიურობით გაღიზიანებული, ოღონდ იმდენად არა, მის ავანტიურაში რომ არ ჩაებას და ისიც თავშესაფრის წარმოსახვით სცენაზე მეფე ლირს მთელი გრძნობით თამაშობს.

ახმეტელის თეატრის ამ სპექტაკლმა ნინო ანანიაშვილის თბილისური გასტროლები გამახსენა, სანამ დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა ჩვენი დასის ხელმძღვანელი გახდებოდა. ანანიაშვილი და მისი პარტნიორები ყოველთვის ბრწყინვალედ ცეკვავდენენ, მაგრამ აქაური კორდებალეტის სოლისტები მაღალი რანგის პროფესიონალებს ფეხს ვერ უწყობდნენ და მაყურებელიც მხოლოდ პა-დე-დეების შესაფასებლად დადიოდა ოპერაში. აქ საქმე უფრო რთულადაა: მთავარი და მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელები ერთნაირად კარგად თამაშობენ და დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, სამწუხაროდ, რეჟისურა იწვევს. სადღაც, არიერსცენაზე, ნეონის ნათურა ბჟუტავს, სანთლის შუქით განათებულ ავანსცენაზე კი სიღარიბის დაძლევის პროგრამას გვიკითხავენ. ისედაც, როცა სოციალურ პრობლემატიკას მარტოობის მარადიული თემა ერწყმის, ძნელია, დრამატურგიცა და რეჟისორიც პარტერში ერთ სავარძელში მოთავსდნენ და სხვადასხვა რაკურსით დაინახონ სცენაზე გათამაშებული სანახობა. არადა, ტრადიციულად კარგია აივენგო ჭელიძის სცენოგრაფია - ძუნნი შტრიხები და იმავდროულად ნატურალიზმისაგან თავის დაღწევის საფირმო რეცეპტი ლითონისა და მინის კონსტრუქციების სახით. ეკა მაღალაშვილის კოსტიუმებიც ზუსტადაა მორგებული სახასიათო პერსონაჟებს. მუსიკაც (დავით ჯაფარიძე) გემოვნებითაა შერჩეული და უნისონში მიჰყვება მსახიობების თამაშს. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მაყურებელმა თბილისის რომელიმე თავშესაფარში წარმოიდგინოს თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა საიმისოდ, რომ აუდიტორიამ ასეთ თავშესაფარშიც აღმოაჩინოს მეფე ლირი.

ანტრეპრიზა ახმეტელის თეატრში კვლავინდებურად ძალაშია. მთავარ როლზე ამჯერად რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი მიიწვიეს. ყოფილი იმიტომ, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამო აკაკი ხიდაშელმა თეატრი დატოვა. სხვათა შორის, მან ბოლო როლი რუსთაველის სცენაზე დავით ანდღულაძის სპექტაკლში (ჩეხოვის "პალატა N6") შეასრულა. თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ მსახიობი ახმეტელის თეატრში უბრუნდება სცენას. ჩვენ არ გვინახავს აკაკი ხიდაშელის მეფე ლირი რუსთაველის სცენაზე, სამაგიეროდ ვნახეთ მისი სანდრო ახმეტელის თეატრში: თავდაპირველად დაბნეული და თვინიერი, მოგვიანებით წინდახედული და ფრთხილი, ფინალისკენ კი შეუპოვარი და ამაყი. თავშესაფარში შექსპირის დადგმას ვეღარ ასწრებენ და სანდროც იქ მთლად შვილების უსულგულობის გამო არ მოხვედრილა, მაგრამ ის მაინც ლირია და მისი მონოლოგიც სხვა ტონალობაში გაისმის. ამ ტონალობას, ალბათ, რობერტ სტურუას სკოლა ჰქვია, სადაც ვერბალური და კინეტიკური მეტყველების სინთეზს დაწყებით კლასებშივე ასწავლიან. როგორც ჩანს, ახმეტელის თეატრს იმთავითვე დაებედა, რომ სხვა დასებიდან მოწვეული მსახიობები საუკეთესო როლებს გლდანის სცენაზე ასახიერებენ. ასე იყო ნინო ბურდულისა ("ღალატი") და ნანა ფაჩუაშვილის ("მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი") შემთხვევაში და ჯერჯერობით იგივეს გამეორება მოგვიწევს აკაკი ხიდაშელის სამსახიობო ოსტატობის შეფასებისას. მისი სანდრო ერთდროულად საცოდავიცაა და საძაგელიც, გულწრფელიც და შარლატანიც. ასეთი ადამიანები ჩვენ გვერდით მრავლად არიან. საკითხავია, რამდენად განებივრებულია ქართული სცენა ხიდაშელის დონის მსახიობებით? რაც შეეხება ახმეტელის თეატრის დასს, იმედია, ახლა მაინც დაიმსხვრევა სნობური სტერეოტიპი, რომ საუკეთესო აქტიორები აუცილებლად თბილისის "ელიტურ" თეატრებში უნდა მოვიკითხოთ.

აკაკი ხიდაშელისა და მაია ზედგინიძის დუეტი არც მარტო ყოფილი ცოლ-ქმრის კინკლაობით იწყება და არც საქვეყნო საქმეების მოგვარებით მთავრდება. ეს არ არის მარტო ორი ადამიანის ტრაგიკული ცხოვრების ისტორია. მათ გვერდით სხვადასხვა პერსონაჟები დგანან - "იქ, გარეთ", განსხვავებულად რომ უცხოვრიათ, თუმცა, სიცოცხლის ბოლო წუთებს ყველა აქ, მოხუცებულთა თავშესაფარში ერთნაირად გაუბედურებული და შეჭირვებული ამთავრებს. ქვეყანა ჩალით მართლა აღარაა დახურული, მაგრამ ამ ქვეყანაშიც ჯერჯერობით მხოლოდ განაზებული ბიზნესმენები (გოგა გორგასანიძე) იმკვიდრებენ ადგილს. როგორც ჩანს, ეს ერთგვარი გაფრთხილებაა მათთვის, ვინც რუსებს ამერიკელები ამჯობინა, მაგრამ ამ არჩევანის გაკეთებისას შეგნებულად დაივიწყა ბედის ანაბარა მიტოვებული ადამიანი - მეფე იქნება ის თუ ჩვეულებრივი მოკვდავი. "იზუზუნე და იქროლე შენ, ქარო მსუსხავო, უბერე, ვიდრე ღაწვნი ზედ არ დაგასკდებიან!" - კითხულობს ყოფილი მსახიობი ლირის ცნობილ მონოლოგს და მაყურებელს სხვა არაფერი დარჩენია, იმ დროს დაელოდოს, როცა ამ სცენაზეც გათამაშდება შექსპირის ტრაგედია - გნებავთ, სტურუასეული, გნებავთ, ანდღულაძისეული ან სულაც რომელიმე შედარებით ნაკლებად ცნობილი რეჟისორის, ოღონდ მხოლოდ რეჟისორის ინტერპრეტაციით.

"ყიდიან თუ ყიდულობენ თავშესაფარს?" - მხრების აჩეჩვით კითხულობს დამლაგებელი ანიკო. პასუხი ერთადერთია: ყიდიან და ყიდულობენ კიდეც. ჩაეწერება თუ არა ეს სპექტაკლი ახმეტელის თეატრის რეპერტუარში? კითხულობს მაყურებელი. პასუხი აქაც ერთია: რა თქმა უნდა, ჩაეწერება და ჩვენც გვეცოდინება, რომ ამიერიდან თეატრის აფიშას მხოლოდ ერთი რეჟისორის გვარი აღარ დაამშვენებს.

ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲩᲝᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

კონსერვატიული პარტიის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, კლუბ "ნეოში" გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილეობდა ანსამბლი "ჩირაღდანი" და "კავკასიონი".

საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის თბილისში ჩამოვიდა ლანჩხუთის ქალთა ტრიო.

შემოქმედებით საღამოზე ნაჩვენები იყო გოდერძი ჩოხელის ფილმი "ბაკურხეველი ხევსური." საღამოზე შემოსული თანხა მთლიანად კონსერვატიული პარტიის ანგარიშზე გადაირიცხება.

კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის კობა დავითაშვილის განცხადებით, მათ ფულის მიზიდვის ღია ხერხს მიმართეს, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში. კონსერვატორები მომავალშიც გეგმავენ მსგავს აქციებს. ღონისძიებას ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო თავად გოდერძი ჩოხელი.

მედია-ნიუსი

100 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲝᲢᲝᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲘ

დღეს სურათების ეროვნულ გალერეაში ფოტოკონკურს "ქოლგას" 100 საუკეთესო ნამუშევრის გამოფენა გაიხსნება.

კონკურსში 400 ფოტომოყვარულის 2600 ფოტონამუშევარი მონაწილეობდა. კონკურსი უკვე მეოთხედ იმართება კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით. წლევანდელი საპრიზო ფონდი 5 ათას ლარს შეადგენს, რომელიც შემდეგ ნომინაციებზე გადანაწილდება: დოკუმენტური სერია, არქიტექტურული პეიზაჟი, პორტრეტი და თავისუფალი თემა.

"ქოლგას" ორგანიზატორები არიან: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი და "თი-ბი-სი ტვ-სტუდია."

კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება 18 დეკემბერს "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება.

მედია-ნიუსი

საშობაო სეზონი ყავის მაგიდაზე

ფავორიტები მძიმეწონიანი წიგნების კატეგორიაში

უკვე მოგახსენებდით, რომ ყავის მაგიდებისთვის გამოსული წიგნები ბოლო დროს უსაშველოდ დამძიმდნენ და რომ ყავის მაგიდები ამ მძიმეწონიანი გამოცემების ზურგზე მოკიდების შემდეგ ლამისაა წელში გაწყდნენ.

თუმცა, როდესაც დგას საშობაო ვაჭრობის სეზონი, წონას აღარავინ დაგიდევთ. მეტიც, უხვად ილუსტრირებული და უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნები ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ამ პერიოდში იყიდება.

ცხადია, ბევრი მათგანი სრული ნაგავია - უგემოვნო ფოტოებითა და იოლად დასავიწყებული ტექსტებით სავსე, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ასეულობით წიგნის ზღვაში ღირებულისა და საინტერესოს პოვნა ნამდვილად შეიძლება. ისეთის, საჩუქრად მიღება, თქვენც რომ ძალიან გაგეხარდებოდათ. ძიების პროცესს "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველი ჯეფ ტარენტინი გაგვიიოლებს. მას ჟურნალების მაგიდის დასამძიმებლად რამდენიმე წიგნი აქვს შერჩეული, ძირითადად, არქიტექტურის, დიზაინისა და მებაღეობის სფეროდან:

"ამერიკელი დიზაინერების სახლები". ავტორი დომინიკ ბრედბერი; ფოტო მარკ ლასკომ-უაიტი; გამომცემლობა "ვენდომი"; ფასი 50 დოლარი.

თუ მკითხველის გარკვეულ კატეგორიას ეჭვი ეპარებოდა, რომ ინტერიერის დიზაინერები საუკეთესო იდეებს თავისთვის ინახავდნენ და საკუთარ სახლებს სრულიად განსხვავებულად აპროექტებდნენ, ახლა შეუძლიათ ეჭვები გაიქრონ. დომინიკ ბრედბერი და მარკ ლასკომ-უაიტი ზემოთ ხსენებულ წიგნში მკითხველს საუკეთესო დიზაინერების სახლებში ამოგზაურებენ და ყოველ კუთხე-კუნჭულს დეტალურად აცნობენ. აქ არის მარიეტ ჰაიმს გომესისა და ალბერტ ჰედლის ნიუ იორკული აპარტამენტები, ხუან მონტოიას ჰადსონის ხეობაში გაშენებული რეზიდენცია და ცნობილი ფრანგი დიზაინერების პარიზული სახლები.

მოკლედ, ეს წიგნი სავსეა, ნოვატორული რჩევებით ინტერიერის დიზაინში, კარგი ფოტოებით და წესებად ჩამოყალიბებული პრინციპებით, რითაც ცნობილი დიზაინერები ხელმძღვანელობენ.

"მსოფლიოს ულამაზესი ბაღები". ავტორი ჟაკ ბოსე; ფოტო ალენ ლე ტოკი; გამომცემლობა "აბრამსი"; ფასი 60 დოლარი.

როგორც სათაურიდანვე მიხვდებოდით, ეს გამოცემა ზედგამოჭრილია მებაღეობის მოყვარულთათვის. ვერსალის ულამაზესი ბაღები, ინგლისური ბაღის ნიმუშები ლევენს ჰოლიდან და სთაუარჰედიდან, რუსეთის, ჩინეთისა და მაროკოს სიამაყეები, იაპონური მცენარეები... მოკლედ, აქ ყველაფერია. ამ სილამაზეს კი კიოტოს ტაძრის ბაღების თვალისმომჭრელი მშვენება აგვირგვინებს.

"მსოფლიოს 50 საუკეთესო სახლი". გამომცემლობა "იმიჯის ფაბლიშინგ გრუფი". ფასი 60 დოლარი.

ამ წიგნს არც ავტორი ჰყავს და არც გაპრანჭული, პრეტენზიული სათაურით გამოირჩევა; მას არც წინასიტყვაობა უძღვის და არც ფოტოგრაფია დასახელებული. როგორც ჩანს, გამომცემლებმა, უბრალოდ გადაწყვიტეს თავი მოეყარათ გრანდიოზული სახლების გრანდიოზული ფოტოებისთვის და ეს ილუსტრაციები ერთ წიგნად შეეკრათ.

ასე მოხვდნენ ერთმანეთის გვერდით ავსტრალიური, ნიუ იორკული, ბრაზილიური, ლონდონური და ლოს ანჯელესური სასახლეები. მათი დათვალიერება, თუნდაც წიგნის ფურცლებზე - უდიდესი სიამოვნებაა.

"თანამედროვე ფოტოგრაფია და ბაღი: ცდუნება და ფანტაზია". ავტორი ტომას პადონი. გამომცემლობა "აბრამსი", ფასი 50 დოლარი.

"ბაღი - ეს წარმავალი მშვენებაა", - ნათქვამია წიგნის შესავალში, მაგრამ რამდენიმე ფურცლის შემდეგ მკითხველს წარმავალობის თემა უკვე არააქტუალური ეჩვენება. მის თვალწინ ისეთი სილამაზე იშლება, რომ მცენარეების არსებობა, თუნდაც ეფემერული, უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. სათაურიდან გამომდინარე, ფოტოს წიგნში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მეტიც, ეს წიგნი სწორედ სიმწვანისა და ილუსტრაციის ზეიმია.

"სახლები ხის კენწეროზე". ავტორი პიტ ნილსონი, ფოტო რადეკ კურჟაი. გამომცემლობა "აბრამსი", ფასი 35 დოლარი.

ინფანტილურებს რა დაღევს, მაგრამ, ალბათ, მაინც არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მაღალი ხის ტოტებში ჩადგმული სახლის გახსენებაზე ბავშვობა არ გაახსენდეს. სწორედ ასეთი სახლების კრებულია ეს 224-გვერდიანი გამოცემა, რომელიც თანაბარი წარმატებით შეიძლება ვაჩუქოთ ბავშვსაც და ზრდასრულსაც. პირველს - საოცნებოდ, მეორეს - ნოსტალგიისთვის. თუმცა, ეს მარტივი კონსტრუქციის ხის სახლები არ გახლავთ. ზოგიერთ მათგანს - ცაში, მაგარ ტოტებზე გამოკიდებულს - ფერადი შუშის ფანჯრებიც აქვს, შესანიშნავი ავეჯიც და კანალიზაციის გაყვანილობაც კი. და მოქმედება, არ დაგავიწყდეთ, ღამის ხის კენწეროზე ხდება, მწვანე ფოთლებსა და მოჭიკჭიკე ჩიტებს შორის. რაც მთავარია, ეს სახლები მართლა არსებობენ. მათი უმეტესობა ჩინეთიდან და იტალიიდან გახლავთ.

ასეთია, უხვად ილუსტრირებული და ყველაზე გამორჩეული წიგნები, რომელთაც, სავარაუდოდ, საშობაო სავაჭრო სეზონზე ამერიკელები უხვად დაიტაცებენ. რა ჯობია მოცალეობის დროს უმშვენიერეს ბაღებსა და ზღაპრულ სასახლეებში მოგზაურობას...

აილენ პაუელი

კადრი ფილმიდან "ბრიჯიტ ჯონსის დღიური".

ბრიჯიტ ჯონსი ანა ფრანკივით სახელი გახდა - ახსენებ და ყველა გამვლელი ცნობს. ვისაც ჰელენ ფილდინგის წიგნი აქვს წაკითხული - წიგნის გმირი ჯონსი ახსენდება, ვისაც მხოლოდ ამ წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი უნახავს - ჩასუქებული რენე ზელვეგერი წარმოუდგება თვალწინ. არადა, ერთ დროს ცხოვრობდა ქალი - აილენ პაუელი, რომელიც ბრიჯიტ ჯონსის ნამდვილ პროტოტიპად ითვლება.

17 წლის პაუელი წერდა დღიურებსაც, თანამედროვე ბრიჯიტ ჯონსის მსგავსად, რომელშიც მთავარი თემა ორი იყო - დიეტა და კაცები.

ორშაბათიდან კი ბრიტანეთში გაიყიდება 80 წლის წინ დაწერილი დღიური, რომელიც პაუელის ცხოვრებაში 1925 წლის სამ თვეს მოიცავს. ეს ტყავის უბის წიგნაკი ოქტომბერში, ბრისტოლში - პაუელის მშობლიურ ქალაქში - "ოქსფამისთვის" შენირულ წიგნებს შორის იპოვეს.

დღიური შესანიშნავი საბუთია მქუხარე ოციანი წლების შესაფასებლად და კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ იმ ეპოქაში მშვენიერი გოგონების პრიორიტეტი სიყვარული და წვრილი წელი იყო.

ასე რომ, პაუელის ჩანაწერები 20-იანი წლების ეპოქიდან აზრობრივად ძალიან ჰგავს ახალი საუკუნის დასაწყისში მცხოვრები, 30 წელს გადაცილებული ბრიჯიტის თემებს.

25 იანვარს 17 წლის გოგონა თურმე წერდა: "ახლა ლიმონიან ცხელ წყალს ვსვამ. დილაობით შაქარს არ ვეკარები... საუზმედ მხოლოდ ცარიელ ტოსტს, ვაშლს და უფერო ჩაი, მივირთმევ. თუ ესეც არ მიშველის ქონების მოშორებაში, მერე, ალბათ, დიეტას თავს დავანებებ". - ვინც ბრიჯიტ ჯონსს იცნობს, წუწუნის და ჩივილის მიზეზი, ალბათ, ეცნობა კიდეც.

ასეა თუ ისე, დღიურის აღმოჩენამ მთელი მედია ფეხზე დააყენა. "ოქსფამის" წარმომადგენლებს ჟურნალისტები უმტკიცებდნენ, რომ უბის წიგნაკისგან დიდი მოგების ნახვა შეიძლებოდა. დაინტერესდნენ გამომცემლები და რეჟისორებიც. აჟიოტაჟის შემდეგ კი "ოქსფამს" დღიურის დაბეჭდვის იდეა ჭკუაში დაუჯდა და 80 წლის წინ დაწერილი პირადი ჩანაწერები დასტამბა კიდეც.

"თუ გაყიდვის მაჩვენებლი იმ ინტერესის პროპორციული იქნება, რაც საზოგადოებაში ამ დღიურის მიმართ დავინახეთ, მაშინ, ალბათ, აილენ პაუელის ჩანაწერები საერთაშორისო ბესტსელერად იქცევა", - განაცხადა "ოქსფამის" დირექტორმა კრის ქომ.

მისი თქმით, მხოლოდ საშობაო ვაჭრობის შემდეგ დღიურის მოგება შეიძლება, 1.9 მილიონ დოლარს გაუტოლდეს. ცხადია, თანხა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ღარიბ მოსახლეობაზე განაწილდება.

რაც შეეხება ბრიჯიტ ჯონსს, მისი მეორე ფილმიც ძალიან წარმატებული გამოდგა. პირველმა კი სულაც 250 მილიონი დოლარის შეგროვება შეძლო.

პაუელის დღიური მისი ფოტოებითურთ ბრიტანეთში "ოქსფამის" 750-მდე მაღაზიაში გაიყიდება.

ნესტან ქვინიკაძის სვეტი

კუზიანო!

ჯეიმს ჯოისის მამას უყვარდა იმ კუზიანი ნორვეგიელი კაპიტნის ამბის მოყოლა, რომელიც დუბლინელ თერძს ლანძღავდა - ტანსაცმელი ვერ მომარგოო, ხოლო თერძი, თავის მხრივ, კუზიან კაპიტანზე ამბობდა - კაცი მაგას ტანსაცმელს ვერ მოარგებსო.

მე იმ ამბის მოყოლა მიყვარს, ამას წინათ რომ გადამხდა სამარშრუტო ტაქსში: შუახნის ჭკუიდან გადასული მამაკაცი ნახევრად სავსე მანქანაში ამოვიდა, - სად მიდიხართ, ცოდვილებოო, ხმამაღლა შესძახა და ყველას ყურადღება მიიქცია. ჯერ ერთ ქალბატონს მიუბრუნდა და უთხრა: ჩემთან მეგობრობა არ გინდაო? მერე მეც მომადგა - ჩემი მოციქული იყავიო. ღიმილი და სევდა ერთდროულად მომერია, ის კი განაგრძობდა - თქვე საწყლებო, მე ღმერთკაცი ვარ, დედამიწაზე გამოგზავნილი! გინდათ, ჩემი ტელეფონის ნომერი მოგცეთ? თან წინადადებებს რითმავდა. ბოლოს - გამიჩერეთო, თქვა და ჩასვლისას განაცხადა: არ გეგონოთ, ჩვენ შორის ხიდი იყოს ჩატეხილი! ხიდი როგორ ჩატყდებოდა, როცა არც არასდროს ყოფილაო.

ამ სიტყვების მდუღარება დღემდე თავს მახსენებს და თან მეხმარება, ნებისმიერი გაურკვევლობა ხიდჩატეხილობით კი არა, სწორედ ხიდის არარსებობით გავამართლო.

გასაოცარი აღმოჩნდა ჩვენი საზოგადოების უსუსური განწყობის იზოლირებული ფაქტი - უცხოელებისთვის დამახასიათებელი გაუცხოება განვიცადეთ, მათ წარმოსახვაში კავკასიელი ხომ მთიელის მიმზიდველ-რომანტიკულ სახესთან ასოცირდება, ქვეყანა კი - ქეიფთან და სტუმართმოყვარეობასთან.

ჩვენ შემთხვევაში: ისტორიის წიგნი გამუდმებით თან, და ბაბუების მარნებიდან აღებული ღვინის სმა. მანერულობა და არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არც ერთ ღვინოს არ შეუძლია ისე დაათროს ადამიანი, როგორც ისტორიას შეუძლია, აღძრას ყალბი მოგონებები და თანაც გაამძაფროს ისინი.

დამოკიდებულება "უძვირფასესთან" ზედაპირულობას განიცდის. ამის მიღმა ხომ "პოეტური სამეფოს ყველაზე აყვავებული პროვინციები" და მარჯვენა ფეხში დაჭრილი მოდგმა დგას?!

და რა უცნაურია, რომ ფსევდოტრადიციებს ფსევდოდამცველები გამოუჩნდება ხოლმე. უვიცობით მობილიზებული საზოგადოება გარკვეულ თემებს ტაბუს ადებს და მასთან შეხების შემთხვევაში სასტიკი განაჩენი გამოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლიტერატურაა, და მაშინაც კი, როცა წაკითხული სულაც არა აქვს.

ზოგჯერ სიტყვებით ვერ ხსნი ლიტერატურული პროცესისთვის (და არა მარტო) აუცილებელი მოსახვევების მნიშვნელობას. დაახლოებით ეს იგივეა, რაც ბიოლოგიური დერეფნები ცხოველებისთვის.

იქნებ ჩვენი სახელოვანი მეფეების ალტერნატიულ ხატში გამოცხადება იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ტექსტის დაწვის სურვილი კი არ გაჩნდეს, - პასუხისმგებლობა გამძაფრდეს ძვირფასისადმი.

იქნებ იმიტომ, რომ ერთ დღესაც ქეიფი მართლაც ღრეობად არ გადაიქცეს და სუფრამ ხიბლისთვის რიტუალი შეინარჩუნოს, საჭიროა მხილება და უტრირება.

რახან ათი წლის მანძილზე ტრაფარეტების დონეზე დარჩენილმა მცდელობამ დაკარგულის დაბრუნებისა - გვახსოვდეს აფხაზეთი, შედეგი არ გამოიღო და ჩვენ ცნობიერებაში ვერც ვერაფერი შეცვალა. რახან ხიდჩატეხილობა კი არა, ხიდის სავარაუდო არარსებობა გახდა აშკარა, იქნებ პირიქით ჯობდეს: "დაივიწყე აფხაზეთი."

მაგრამ ეს არის ქვეყანა, სადაც ცხოვრობს საზოგადოება, რომელსაც ყველაზე მეტად ეშინია ექსპერიმენტების, თითქოს მთელი მათი არსი ერთი ფუჭი ექსპერიმენტი არ იყოს, რომელმაც ჭაობში თან ჩაითრია ათასები.

ახლა წინ არის კიდევ ერთი კულტურული შოკი ჩვენი საზოგადოებისთვის, რასაც მათ რობერტ სტურუა შესთავაზებს. არც ბრეხტი და არც გაშინაურებული შექსპირი, ეს არც სემიუელ ბეკეტია, - რუსთაველის თეატრის სცენაზე შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" გათამაშდება.

უკვე ვხედავ შემფასებელთა სახეებს და კრიტიკული წერილების პირველ აბზაცებს: როგორ შეიძლება ტარიელის როლი შეასრულოს მსახიობმა, რომელიც "მერე რა, რომ სველია სველი იასამანში" მორფინისტს თამაშობს? არც დეკორაციას მოიწონებენ და არც მუსიკას. სცენაზე ვეფხვის ტყავის არგამოჩენის შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, სტვენით აიკლებენ კოსტიუმების ავტორს. მოკლედ, მაესტროს დასთან ერთად სასიკვდილო განაჩენი ელის, წიხლებით კი ისინი შეადგებიან, ვისაც მზითევში გამოყოლილი "ვეფხისტყაოსანი", აგერ უკვე რა ხანია, არ გადაუშლია.

წიგნს თაროზე დებით მტვერი ემატება, კვლევით კი - გამოცდილება. უცნაურია! თანამედროვეობის რა საშუალებებს ძალუძს, ტკივილი მიაყენოს "ვეფხისტყაოსანს", ამდენი დევნისა და ქარცეცხლის შემდეგ. სხვას რომ არ წაერთმია, ზეპირად სწავლობდნენ და, ალბათ, მაშინაც კი თავის შტრიხს ავლებდნენ პოემაში. სხვანაირად არც შეიძლება თითქოს. ცვლილებების, მხილების, მიკერძოებისა და ახალი სისხლის გადასხმის გარეშე, უბრალოდ, ვერ სუნთქავს ვერც ერთი ტრადიცია, ვერც ერთი ლეგენდა, არც ერთი გიგანტური ნაწარმოები და არც ერთი ცივილიზაცია.

პლანეტა უმნიშვნელოვანეს ეტაპს გადის, აქედან თუ გააღწია, გადარჩება, თუ არა და - სამუდამოდ დაიღუპება.

ამიტომ თავისთავად პროცესად უნდა ჩავთვალოთ ყველაფერი, რაც ასეთი აუტანელი გვეჩვენება: ალექსანდრე კი არ არის ჰომოსექსუალი, - ასეთი გმირის ნახვის სურვილი თვითონ მაყურებელშია. და როგორც ქვეცნობიერში დალექილი, სიზმრად მოდის ხოლმე, დაახლოებით ეგ მდგომარეობაა. უსიამოვნო მაგრამ ბუნებრივი - ისევე როგორც ჩვენი კუზი. ბრაზმორეული თერძი ამბობს: მაგას ხომ ტანსაცმელს ვერ მოარგებო!

ფეხბურთი

"პორტუ" მსოფლიო ჩემპიონია!

2004 წლის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი პორტუგალიის "პორტუ" გახდა. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა გადამწყვეტ შეხვედრაში პენალტების სერიით დაამარცხა კოლუმბიის "ონსე კალდასი" - 8:7.

წლევანდელი Toyota Cup შესამჩნევად განსხვავდება იმისგან, თუ როგორი იყო ის თითქმის ყოველთვის. იმიტომ, რომ საკონტინენტთაშორისო თასი არა მარტო ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდების შეხვედრაა, არამედ ეს არის ორი სისტემის დაპირისპირება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკონტინენტთაშორისო თასზე ევროპის კონტინენტს წარმოადგენდნენ მადრიდის "რეალი" (ორჯერ), "მილანი", "ბაიერნი" და "მანჩესტერ იუნაიტედი". მსოფლიოს უმდიდრესი კლუბები ხვდებოდნენ გუნდებს, რომელთა უმთავრესი სტრატეგია ფეხბურთელების მომზადებასა და შემდეგ მათ ევროპაში სარფიანად გაყიდვაში მდგომარეობს.

ამ დავაში ხუთიდან ოთხ შემთხვევაში ფული იმარჯვებდა. ევროპელებმა ოთხჯერ იმძლავრეს. გამონაკლისი მხოლოდ შარშან მოხდა, როცა "მილანმა" პენალტების სერიით არგენტინის "ბოკა ხუნიორსთან" წააგო.

წლეულს სიტუაცია პრინციპულად სხვანაირია. მართალია, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "პორტუ" G 14-ის შემადგენლობაში შედის, მაგრამ ის მაინც ვერ გაექცა ღარიბი გუნდებისთვის დამახასიათებელ ვარამს. ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ გუნდი, ფაქტობრივად, გაიყიდა და ახალი სეზონი შესამჩნევად მოდერნიზებული შემადგენლობით დაიწყო.

რაღაც მსგავსი "ონსე კალდასსაც" დაემართა. ლიბერტადორესის თასის მოგების შემდეგ კოლუმბიელები ძლიერ შემსრულებლებს დაემშვიდობნენ. ასე, მაგალითად, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გადავიდა შემტევი ნახევარმცველი არნულფო ვალენტიერა. სამაგიეროდ, კლუბს შეუერთდნენ დაცვითი სტილის ჰავბეკი ლეოპოლდო ჰიმენესი და მექსიკის ნაკრების ფორვარდი ანტონიო დე ნიგრისი. უცვლელი დარჩა მხოლოდ ერთი რამ - მცდელობა, შეირჩეს ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც სწრაფი, კომბინაციური ფეხბურთის თამაშს შეძლებენ.

ამ მხრივ "ონსე კალდასს" უპირატესობა აქვს. ორივე კლუბის წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული მწვრთნელებთან. "პორტუ" ჟოზე მოურინიომ შექმნა, მაშინ, როცა ვიქტორ ფერნანდესმა ის საკუთარი გემოვნების მიხედვით მხოლოდ გადააკეთა. თავისი მოურინიო "კალდასსაც" ჰყავს - ლუის ფერნანდო მონტოია. 2002 წელს მან ჩაიბარა კლუბი, რომელმაც ორი სეზონის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 2003 წელს გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი მოიგო, ერთი წლის შემდეგ კი - ლიბერტადორესის თასი. თუმცა, თუ მოურინიო "ჩელსიში" გადაბარგდა, მონტოია ადგილზე დარჩა.

მატჩი, რომელიც იოკოჰამას ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, ევროპელთა იერიშებით დაიწყო. "პორტუს" ისტორიაში საკონტინენტთაშორისო თასი ერთხელ უკვე იყო. 1987 წელს გუნდმა ურუგვაის "პენიაროლი" დაამარცხა.

პორტუგალიის "პორტუმ" მეორე საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა.

თუმცა, "პორტუს" ახალი თაობა სულაც არ იტყოდა უარს კლუბის ჯილდოთა ნუსხა კიდევ ერთი თასით შეევსო. მით უფრო, რომ წლევანდელი გათამაშება ისტორიული იყო. მომდევნო სეზონიდან მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი ექვსი გუნდის პაექრობაში გამოვლინდება.

პირველი საგოლე მომენტი უკვე მესამე წუთზე შეიქმნა, მაგრამ პორტუგალიელი მანიშეს დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. შემდეგ მიგელ როხასმა ბენი მაკარტის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა. საჯარიმოს გათამაშების შემდეგ სამხრეთაფრიკელმა ბურთი კოლუმბიელთა კარის ბადეში გაგზავნა, მაგრამ გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა. სამხრეთამერიკელთა შემადგენლობაში გამოირჩეოდა დე ნიგრისი, მაგრამ ის მუდმივად თამაშგარე მდგომარეობაში ხვდებოდა.

ევროპელები კი, თავის მხრივ, მეტოქეს მძლავრ მარწუხებში აქცევდნენ. მანიშემ 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ კოლუმბიელები მეკარემ იხსნა. ორჯერ ფორტუნამ ლუის ფაბიანოს შეაქცია ზურგი. სიზუსტემ უმტყუნა დერლეისაც. მე-40 წუთზე კოლუმბიელთა საჯარიმოში არეულობა მოხდა, მაგრამ დერლეიმ და მაკარტიმ ვერც ამჯერად შეძლეს კარის აღება. ოთხი წუთის შემდეგ გოლის გატანის შანსი უკვე მეტოქეს ჰქონდა. ვიაფარას დარტყმულმა ბურთმა ხარიხას ჩაუფრინა.

მატჩის მეორე ნახევარში მწვრთნელებმა ორი ცვლილება განახორციელეს, მაგრამ ანგარიში მაინც არ გახსნილა. ზედიზედ მეორე წელია, გუნდებმა გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დროც ითამაშეს. დამატებული ტაიმების მთავარი მოვლენა "პორტუს" მეკარის ვიტორ ბაიას ტრავმა გახდა. ბაიამ ტვინის შერყევა მიიღო და 102-ე წუთზე შეცვალეს. თამაში პენალტების სერიისკენ მიექანებოდა, რაც "კალდასს" აძლევდა ხელს.

ლიბერტადორესის თასის გათამაშების ბოლო ექვსი ფინალიდან ხუთ შემთხვევაში გამარჯვებული პენალტების სერიაში გამოვლინდა. გამონაკლისი 2003 წელს არგენტინის "ბოკა ხუნიორსი" გახდა, მაგრამ მან შემდგომში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში "მილანი" სწორედ პენალტების სერიით დაამარცხა.

პირველი შეცდომა პენალტებში "პორტუს" მოუვიდა. მეოთხე დარტყმა მანიშემ გააფუჭა. თუმცა, იქვე ფაბრომაც ვერ გაიტანა, ხოლო ბენი მაკარტიმ ანგარიში გაათანაბრა - 4:4. ახლა ყველაფერი ერთ შეცდომას უნდა გადაეწყვიტა. ის გარსიამ დაუშვა, ხოლო პედრო ემანუელმა მატჩს წერტილი დაუსვა. ბოლო ორი წლის განმავლობაში "პორტუმ" მოიგო უეფას თასი, ჩემპიონთა ლიგა და ახლა საკონტინენტთაშორისო თასიც. ერთადერთი, რაც კლუბმა წააგო, ეს ევროპის სუპერთასია, რომელიც "პორტუმ" ესპანეთის "ვალენსიას" დაუთმო.

ყველაზე კურიოზული მომენტი კი დიეგუს გაძევება იყო. მან პენალტი გაიტანა და თავს უფლება მისცა, მეტოქის მეკარისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, რისთვისაც მეორე გაფრთხილება მიიღო და მინდორი დატოვა.

ბლატერი - ფეხბურთელების დამცველი

ბოლო დროს ფეხბურთში სიკვდილიანობამ იმატა. სწორედ ეს ფაქტი გახდა ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის ახალი განცხადების მიზეზი. შვეიცარიელი სრულიად მხარს უჭერს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც აწარმოებს გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის პროფილაქტიკას.

ფეხბურთელები მინდორზე ადრეც კვდებოდნენ, მაგრამ ბოლო დროს მათი უეცარი სიკვდილიანობის ფაქტები იმდენად გახშირდა, რომ კატასტროფული ხასიათი მიიღო. ყველაფერი კი კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს გარდაცვალებით დაიწყო. ფეხბურთელი 2003 წელს კონფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის დროს გარდაიცვალა. "პარკ დე პრენსზე" საფრანგეთისა და კამერუნის ნაკრებთა შეხვედრისას ფოე უეცრად მოცელილივით დაეცა. მისი გულის ამუშავება ექიმებმა ვერაფრით მოახერხეს.

ფოეს გარდაცვალების უშუალო მოწმე გახდა თავად ფიფას პრეზიდენტი, რომელიც მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. მატჩის შემდეგ ბლატერმა განაცხადა, რომ ფეხბურთელის სიკვდილი შეიძლებოდა გამოეწვია გადაღლას, რომელსაც მატჩების უაღრესად დიდი რაოდენობა იწვევს.

შემდეგ სიკვდილი გახშირდა. დეკემბერში გარდაიცვალა პორტუგალიის "ბენფიკას" უნგრელი ფორვარდი მიკლოშ ფეხერი. 26 წლის ფეხბურთელმა გაიღიმა, როცა მსაჯის მიერ ნაჩვენები ყვითელი ბარათი დაინახა. თმა გაისწორა, უკან ორი ნაბიჯი გადადგა და მოცელილივით დაეცა. მასაც გულმა უმტყუნა.

ამ შემთხვევების პარალელურად ფეხბურთელები ბრაზილიაშიც კვდებოდნენ. თუმცა, ამ შემთხვევებს ლოგიკური ახსნა მაინც მოეძებნებოდათ. ფეხბურთელები რიოდე-ჟანეიროსა და სან-პაულუს დაბალი ფენების წარმომადგენლებიდან იმის გამო კვდებოდნენ, რომ ბავშვობაში სათანადოდ არ იკვებებოდნენ და არ ჰქონდათ სამედიცინო დახმარება.

გასულ კვირაში კი ერთბაშად ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი გარდაიცვალა - ერთი ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩის დროს, ხოლო მეორე - ინდოეთის ჩემპიონატში თამაშისას. ორივე შემთხვევაში ექიმებმა ერთნაირი დიაგნოზი დასვეს - გულის უკმარისობა. თავიდან კრისტიანო ჟუნიორის (ის ინდოეთის ჩემპიონატში თამაშობდა) ახლობლებმა არ დაიჯერეს, რომ ჟუნიორი გულის უკმარისობით გარდაიცვალა, მაგრამ სამედიცინო დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ გულის გაჩერების მიზეზი ფეხბურთელის გადაღლა გახდა, მაინც მართებულია.

ბლატერი სრულიად მხარს უჭერს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. რომელიც აწარმოებს გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის პროფილაქტიკას.

ნათელი გახდა, რომ ფეხბურთის იმპერიის პრეზიდენტს ამ ფაქტებზე თავისი აზრი უნდა გამოეთქვა. პარასკევს, როგორც იქნა, ბლატერმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ეგრეთ წოდებულ "ლოზანის რეკომენდაციებს", რომელიც შეჯიბრებების დროს გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის პროფილაქტიკას აწარმოებს.

"ჩვენ ფეხბურთში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევების მოწმენი გავხდით, რომელიც გამოწვეული იყო გულსისხლძარღვთა დაავადებებით. ვიმედოვნებთ, რომ ამ მოვლენას ბოლოს მოვუღებთ", - განაცხადა ბლატერმა.

"ლოზანის რეკომენდაციები" თანამედროვე სპორტულ მედიცინაში აბსოლუტურად ახალი გაგებაა. პარასკევს ლოზანაში გაიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომიტეტის სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა რეკომენდაციები სპორტსმენთა ჯანმრთელობის დასაცავად. "სპორტში უეცარი სიკვდილიანობის მიზეზი 90 პროცენტით გულსისხლძარღვთა დაავადებებით არის გამოწვეული", - ნათქვამია დოკუმენტში.

"სპორტსმენების ინფორმირება გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ აუცილებელია", - განაცხადა ფიფას სამედიცინო კომიტეტის შეფმა ირჟი დვორჟაკმა.

პრინციპში, თუ ფეხბურთში გახშირებულ სიკვდილიანობაზე ვისაუბრებთ, გულსისხლძარღვთა დაავადებები არაფერ შუაშია. შეიძლება ფიფა ბოლო დრომდე თავს იკავებდა ანტისადოპინგო კოდექსზე ხელის მოწერისგან, რომელიც WADA-მ (მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტო) შეიმუშავა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ფეხბურთში დოპინგის პრობლემა არსებობს. ბლატერი კი გარკვეულ დრომდე მის არსებობაზე თვალს ხუჭავდა. ფიფას რომ ამ პრობლემაზე რეაგირება ადრე მოეხდინა, შეიძლება ის ამ მასშტაბით არც გამოვლენილიყო.

ახალგაზრდა რეკორდსმენი

ესპანელი ნახევარმცველი ფრანცესკ ფაბრეგასი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვინც ლონდონის "არსენალისთვის" გოლი გაიტანა. 2003 წლის 2 დეკემბერს, როცა მან "ვულვერჰემპტონის" კარი აიღო, ფაბრეგასი 16 წლის და 212 დღის იყო. ამჟამად ფეხბურთელი არცთუ ისე იშვიათად გამოდის "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში და, როგორც ჩანს, მას "ჰაიბერიზე" ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა ელოდება.

ამჟამად "ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი 17 წლისაა. ამ სეზონში ის მინდვრის შუაგულში ხშირად ცვლის პატრიკ ვიეირას. ფაბრეგასი ჩემპიონთა ლიგაშიც მონაწილეობდა და გუნდისთვის პირველი გოლიც გაიტანა. ესპანელმა სამშაბათს ნორვეგიის "როსენბორგის" განადგურებაშიც მიიღო მონაწილეობა. ახლახან ფაბრეგასმა ინტერვიუ მისცა uefa.com-ს. ის ჟურნალისტებს "არსენალში" თავის აწმყოსა და მომავალზე ესაუბრება.

- მოახერხეთ თუ არა პროგრესირება მას შემდეგ, რაც სეზონის დასაწყისში პატრიკ ვიეირას დუბლიორი იყავით?

- მეჩვენება, რომ მას შემდეგ ძალიან მოვუმატე. არსენ ვენგერმა თავის გამოჩენის შანსი მომცა და ამან შედეგი გამოიღო. პროფესიული თვალსაზრისით გავიზარდე. ეს ბუნებრივიცაა. მე ხომ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდში ვთამაშობ. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია ჩემთვის და ჩემი სათამაშო ხარისხისთვის. არ ვნანობ, რომ "ბარსა" დავტოვე, მაგრამ ძველებურად მსიამოვნებს კატალონიელთა წარმატებები.

- როგორია თქვენს წარმატებაში ვიეირას როლი?

- პატრიკი დამეხმარა გავზრდილიყავი როგორც პიროვნება და როგორც ფეხბურთელი. მე მის წინაშე ვალში ვარ. საერთოდ, მისთვის ბევრი რამის გამო მმართებს მადლობის გადახდა.

- "კანონირებს" ახალი თაობა ეზრდება, რომელიც ახლო მომავალში ხმამაღალ განაცხადს გააკეთებს. მზად ხართ თუ არა, საკუთარ თავზე აიღოთ პასუხისმგებლობა და გახდეთ გუნდის წამყვანი ფიგურა?

- მე ყოველ მატჩში ვგრძნობ ზეწოლას. ვფიქრობ, წლების განმავლობაში სიტუაცია არ შეიცვლება, მაგრამ იმ დროისთვის მე უფრო გამოცდილი ფეხბურთელი ვიქნები. შევეცდები, ისევე დავეხმარო ახალგაზრდებს, როგორც თავის დროზე უფრო გამოცდილები მე მეხმარებოდნენ.

- ლონდონელებს ხშირად დაცვაში შეცდომების გამო საყვედურობენ. ეს ფაქტი გუნდს შიგნიდან ძირს ხომ არ უთხრის? თუ ეს უსაფუძვლო თავდასხმაა?

- აბსოლუტურად უსაფუძვლოა - ჩვენ გვყავს შესანიშნავი დაცვა, რომელიც მწყობრში ჩამდგარმა სოლ კამპბელმაც გააძლიერა. თუმცა, მთლიანობაში უფრო ძლიერად თამაშიც შეგვიძლია. მართალია, ამჟამად "არსენალი" ფორმაში არ არის, მაგრამ ჩვენ გვჯერა გუნდის, ერთმანეთის და გვწამს, რომ გუნდი კვლავაც რჩება პრემიერლიგის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად. "არსენალის" ფეხბურთელებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვთ. მათ კარგად იციან, როგორ მიაღწიონ გამარჯვებას. მართალია, ყველა ითხოვს, შარშანდელივით ყველა გუნდს მოვუგოთ, მაგრამ მე მჯერა, რომ "არსენალი" იპოვის მდგომარეობიდან გამოსავალს.

ჩემპიონთა ლიგაში ფაბრეგასმა პირველი გოლი ნორვეგიის "როსენბორგს" გაუტანა.

- ვინ არის თქვენი კერპი?

- ხოსეპ გვარდიოლა. ის ჩემს საყვარელ პოზიციაზე მოქმედებდა - დროთა განმავლობაში სწორედ ასეთი ფეხბურთელი მინდა გავხდე.

- ინგლისში გადმოსვლასთან დაკავშირებით დისკომფორტი ხომ არ გიგრძვნიათ?

- არა. ჩემთან ხომ ჩემი ოჯახი და მეგობრები არიან. ამას გარდა, "არსენალში" თამაშობს ხოსე ანტონიო რეიესი და მე მანჩესტერელ ხერარდ პიკესთან დამეგობრებაც მოვასწარი.

- სეზონის დასაწყისში თქვენ გრძელი თმა შეიჭერით. თანაგუნდელები ხომ არ დაგცინოდნენ?

- ახლა ისინი ჩემს ვარცხნილობას ყურადღებას აღარ აქცევენ. თუმცა, იმ დროს, მართლაც, მიჭირდა. ამით ყველაზე უფრო რეიესი ხალისობდა.

რაგბი

ფინალს ერთი ფინალისტი აკლია

ჰაატა თოთაძე

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

ფინალში გასასვლელი ნახევარფინალი
"იმედი L - აკადემია" - "ლელო" 9:6

წინასწარი ნახევარფინალი
"დათვები" - "ყოჩები" 27:12

"აკადემიამ" "ლელოს" მხოლოდ ჭარიმები აკმარა.

გოგიტა გუხაიძის ფოტო

თბილისსა და ბათუმში შაბათს გამართული მატჩების შემდეგ საქართველოს სარაგბო ჩემპიონატში ორი მატჩიღა დარჩა გასამართი. ერთი ხუთშაბათს უნდა გაიმართოს და მეორე ფინალისტის ვინაობა დაასახელოს, მეორე კი თავად ფინალია.

პირველი ფინალისტი გახდა თბილისის "იმედი L - აკადემია", რომელმაც ნახევარფინალის დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა "ლელო" 9:6. ბრძოლა მართლაც დრამატული იყო -გამარჯვებულის ბედი მსაჯის მიერ წამატებულ დროში გადაწყდა, როცა კიკნაძემ ზუსტად შეასრულა საჯარიმო. ანგარიშიც მანვე გახსნა მე-10 წუთზე. ამის შემდეგ მატჩის უმეტესი დრო უპირატესობას "ლელო" ფლობდა და გასაკვირიც კია, როგორ ვერ მოიგო თამაში. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ აკადემიელები დაცვაში კარგად თამაშობდნენ - დროულად კეტავდნენ ზონებს და, თუ არ ვცდები, ერთი ეპიზოდის გარდა, მეტოქემ ვერც მოახერხა მათი ხაზის გაჭრა. იყო რამდენიმე ისეთი ეპიზოდიც, როცა მსაჯს შეეძლო, საჯარიმო დაენიშნა აკადემიელთა მხრიდან უწესო თამაშის გამო, თუმცა, იყო პირიქითაც. ყველაფრის მიუხედავად, მთავარი დამნაშავე წაგებაში თავად ლელოელები არიან. იმ ორი საჯარიმოს გარდა, რომელიც მცველმა გაიტანა, კიდევ სამჯერ ჰქონდათ გატანის შესაძლებლობა, მაგრამ სამივე ააცილეს. ერთხელაც მაჩხანელმა იხსნა "აკადემია" - ჩათვლის მოედანში შესულ გარემარბს არ დაამიწებინა ბურთი. გარდა ამისა, ვერც "ლელოს" თავისუფალმა ნახევარმცველმა წარმართა გუნდის თამაში მთლად კარგად. იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა მან არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და შედეგად შეტევაც არასწორად წარიმართა. ამან კი, ბუნებრივია, სასიკეთო შედეგი ვერ მოიტანა. შესაძლებელი იყო აგრეთვე შეტევისას პირველი დარტყმა გორგოძეს არ შეესრულებინა. ამ მოთამაშეს გარკვეული სივრცე სჭირდება თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად, ამას კი ვერ ახერხებდა.

ასეა თუ ისე, "იმედი L - აკადემია" ფინალშია და მეტოქეზე მეტ ხანს მოუწევს დასვენება. აკადემიელები მთელი სეზონის მანძილზე კარგ თამაშს აჩვენებდნენ, ამდენად, მათი ფინალისტობა სავსებით ლოგიკურია. მეორე ფინალისტი, როგორც ვთქვით, ხუთშაბათს უნდა გაირკვეს ბათუმის "დათვებისა" და "ლელოს" დაპირისპირებაში. ბათუმელთაგან წლეულს ბევრს არაფერს ელოდნენ, მაგრამ გუნდი, პრობლემების მიუხედავად, მაინც ახერხებს თავისი პოტენციალის ნაწილობრივ გამოვლენას. საინტერესო ისაა, საკმარისი იქნება თუ არა ეს "ლელოსთან" წარმატების მისაღწევად. ისე კი, იმ პოტენციალიდან გამომდინარე, როგორიც ამ გუნდს აქვს, გასაკვირი არც ჩემპიონობა იქნება.

"ლელოსთან" ფინალში გასასვლელ ნახევარფინალში თამაშის უფლება ბათუმელებმა "ყოჩების" დამარცხებით მოიპოვეს. ბათუმში სამი დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა. არც მატჩის დღეს გადაუღია, ამიტომაც მოედანი მძიმე იყო. რამდენადაც შეიძლებოდა, ბათუმელებმა მოედანი მოამზადეს და თამაშიც გაიმართა.

"ყოჩების" მიერ "ლოკომოტივის" დამარცხება და ოთხეულში შესვლა ბევრმა მოულოდნელობად აღიქვა და ამ გუნდისგან მეტს უკვე აღარ ელოდნენ. ასეც მოხდა, ბათუმში ჩასულებმა ვერაფრით გაახარეს გულშემატკივრები - მასპინძლებმა უპრობლემოდ გაიმარჯვეს. აქამდე ბათუმელებს ორივე მატჩში ჰყავდათ დამარცხებული მეტოქე და, ამდენად, არც მესამედ გასჭირვებიათ ამის გაკეთება. შეხვედრის ბედი, ფაქტობრივად, პირველ ტაიმში გადაწყდა, რომელიც "დათვებმა" 27:0 მოიგო. ლელოები გაიტანეს ხონელიძემ, მოქიამ, სულამანიძემ და ხაჟომიამ. ამას დაემატა მაჩიტიძის მიერ გატანილი ორი გარდასახვა და საჯარიმო. მართალია, მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა 12 ქულა მოიპოვეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს და ჩემპიონატიც მეოთხე ადგილზე დაასრულეს.

ქრივი

უკრაინულმა ოპოზიციამ ლას-ვეგასშიც ზეაღწია

გიგა გურასაშვილი

ლენოქს ლუისს ერთხელ მაიკ ტაისონი შემოელახა. "რკინის მაიკი" დენი უილიამსაც უცემია. ლუისი და უილიამსი ბრიტანელები არიან. უკრაინელი ვიტალი კლიჩკო არასდროს შეხვედრია ტაისონს, მაგრამ "რკინის მაიკის" გამლახველებთან ჩხუბში კი უმართლებს. შარშან ლუისს შეხვდა და ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებულად ცნეს, გუშინ, გამთენიისას კი ლას ვეგასის რინგზე უილიამსს შეხვდა და კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) უმთავრესი საჩემპიონო ქამარი ბრიტანელის ხელყოფისგან დაიცვა.

ვიტალი კლიჩკომ უილიამსი ნოკდაუნში ოთხჯერ გაუშვა.

ფედერაციათა შორის ყველაზე პრესტიჟული კრივის მსოფლიო საბჭოს სატიტულო ორთაბრძოლა ისეთი დამაინტრიგებელი არ ყოფილა, როგორც მისი წინამორბედები. მიუხედავად იმისა, რომ WBC ტიტული, მით უფრო, მძიმეწონოსანთა, ორმაგად ფასობს, კრივის სამყაროში გარკვეული ხინჯი მაინც იგრძნობოდა. გაზაფხულამდე, მაიკ ტაისონთან შერკინებამდე, ბრიტანელი უილიამსი კრივის სამყაროს მხოლოდ ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელი დაამარცხა, ბრიტანელისადმი ყურადღებამაც იმატა. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ იმხანად ტაისონი დიდ გაჭირვებაში იყო. "რკინის მაიკის" თავში კრივზე მეტად სასამართლოები, დაკარგული ფეშენებელური ვილები, ჯიბეგაფხეკილობა და მსგავსი რამეები ტრიალებდა. ერთი სიტყვით, ძველი მაიკისგან განსხვავებით, გაუბედურებულ და დაბეჩავებულ მაიკს უწევდა უილიამსთან ჯაჯგური. ბრიტანელს კი, რომელიც ოსტატი პრომოუტერების წყალობით აღმოჩნდა რინგზე, ტაისონთან გამარჯვების შემთხვევაში ბედი უდიდეს პერსპექტივას უმზადებდა. უილიამსს აშკარად გაუმართლა, როდესაც სახელიან, მაგრამ დაჩაჩანაკებულ ტაისონთან შერკინების პატივი ხვდა წილად. თუმცა, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რინგი თავაწეულმა დატოვა. გამარჯვებამ უილიამსი იმას აღირსა, რასაც ყველაზე ტკბილ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა. ერთი ამოსუნთქვით არბენილმა იერარქიულმა საფეხურმა იგი საბჭოს უმთავრეს ტიტულთან ყველაზე ახლოს მიიყვანა. ტიტული კი უფროსი კლიჩკოს საკუთრება გახლდათ.

ლასვეგასური დაპირისპირებისადმი უკმარისობის გრძნობას ამძაფრებდა ისიც, რომ მოკრივეთათვის განკუთვნილი ჰონორარი არნახულად მოკრძალებული იყო. ბრიტანელს ჩემპიონთან შერკინება 300 ათას დოლარად დაუფასდა. თავად ჩემპიონს კი, ზოგიერთი ინფორმაციით, - 50 ათასით მეტი. თუმცა, სხვა ინფორმაციის თანახმად, უკრაინელს გასამრჯელოდ 2 მილიონი ერგო, რაც ბევრად უფრო სარწმუნოდ ჟღერს. თუმცა, არც ესაა ის თანხა, რომლისთვისაც მძიმეწონოსან ჩემპიონებს აჯილდოებენ, რაზეც ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკაც მეტყველებს.

ერთი სიტყვით, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბრიტანელისა და უკრაინელის შეხლა სეზონის ჰიტი სულაც არ ყოფილა. ალბათ, იმიტომ, რომ არც ერთ მოკრივეს ჯერ არა აქვს ის სახელი, როგორიც ევანდერ ჰოლიფილდს, მაიკ ტაისონს, ლენოქს ლუისს... თითოეული, გარდა იმისა, რომ დიდი მოკრივეები იყვნენ თუ არიან, სხვა რამითაც - სკანდალებით, უჩვეულო რეკორდებითა და ტიტულატურითაც გამოირჩევიან. მართალია, ვიტალი კლიჩკოსთან ბრიტანელის შედარება არ შეიძლება, მაგრამ რაღაც რომ აკლია, ფაქტია.

ამ შესავლის შემდეგ თავად ორთაბრძოლაზეც ვთქვათ, რომელიც, ეჭვი არ იყო, უკრაინელის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. კლიჩკოსა (35-2-0, აქედან 34 ნოკაუტით) და უილიამსის (32-4, აქედან 27 ნოკაუტით) ორთაბრძოლამ რვა რაუნდს გასტანა. პირველი გონგიდან ბოლომდე აშკარა იყო უკრაინელის დიდი უპირატესობა ბრიტანელთან შედარებით. მეტიც, პირველივე რაუნდში კლიჩკოს მუშტების კორიანტელმა უილიამსი მწყობრიდან გამოიყვანა და, ვიდრე გონს მოვიდოდა, რინგზე გაიშოტა. მოგვიანებით ბრიტანელს კიდევ რამდენჯერმე მოუხდა რინგზე ხოხვა (ნოკდაუნები მესამე, მეშვიდე და მერვე რაუნდებში). აქედან ბოლო ნოკდაუნი იმის მაუწყებელი აღმოჩნდა, რომ უილიამსის საცოდაობით გულდათუთქულ რეფერის ჯეი ნედის ბრძოლა შეეჩერებინა და გამარჯვებულად კლიჩკო გამოეცხადებინა.

ერთი სიტყვით, უილიამსთან შერკინება უკრაინელისთვის პირველი ორთაბრძოლა გამოდგა, რომელშიც ტიტული შეინარჩუნა. ეს იყო ტიტული, რომელიც 24 აპრილს სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან ჩხუბში დაისაკუთრა, ამასთან, მაშინაც ტექნიკური ნოკაუტით (მერვე რაუნდში).

და კიდევ, ლასვეგასურ მატჩს ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევდა მხარდაჭერა უკრაინის ოპოზიციისადმი. მოგეხსენებათ, კლიჩკოები ოპოზიციის ლიდერის ვიქტორ იუშენკოს მომხრეები არიან. ის კი არა, ერთხანს ვიტალი კლიჩკო იმაზეც კი ფიქრობდა, რომ შინ დაბრუნებულიყო და წინასაარჩევნო კამპანიას შეერთებოდა, თუმცა, ბოლოს გადაწყვიტა, ლას ვეგასში დარჩენილიყო: რინგზე ყოფნით უკრაინის ოპოზიციას მეტ სარგებელს მოვუტან, ვიდრე კიევის ქუჩებში ყოფნითო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ შავი ტრუსები ნარინჯისფერი ნაჭრით ჰქონდა დამშვენებული. გამარჯვებისთანავე კი უკრაინელის კუთხეში იუშენკოს მხარდამჭერი ნარინჯისფერი ლოზუნგი გამოჭიმეს. პოლიტიკური ელფერის მქონე ორთაბრძოლის შემდეგ მოკრივეებს სამედიცინო შემოწმებაზე უხმეს - ვიტალი მაჯების მოტეხილობის წინასწარი დიაგნოზით, ხოლო უილიამსი - თავის ტვინზე ტომოგრაფიისთვის. შემოწმებისა და გამოკვლევის შემდეგ ეჭვი არ გამართლდა - კლიჩკოს მაჯების მოტეხილობა არ აღმოაჩნდა.

ახლა თვალი გადავავლოთ დაპირებულ საპრიზოებსა თუ ჰონორარებს, რომლებიც თანამედროვეობის უდიდეს მოკრივეებს მიუღიათ:

30 ოქტომბერი. 1974 წელი
მუჰამედ ალი - ჯორჯ ფორმენი
ალის ჰონორარი - 5 მილიონი დოლარი
ფორმენის - 5 მილიონი
27 ივნისი. 1988 წ.
მაიკ ტაისონი - ლეონ სპინქსი
ტაისონის ჰონორარი - 22 მილიონი
სპინქსის - 13.5 მილიონი
19 აგვისტო. 1995 წ.
მაიკ ტაისონი - პიტერ მაკნილი
ტაისონის ჰონორარი - 25 მილიონი
16 მარტი. 1996 წ.
მაიკ ტაისონი - ფრენკ ბრუნო
ტაისონის ჰონორარი - 30 მილიონი
7 სექტემბერი. 1996 წ.
მაიკ ტაისონი - ბრუს სელდონი
ტაისონის ჰონორარი - 25 მილიონი
9 ნოემბერი. 1996 წ.
მაიკ ტაისონი - ევანდერ ჰოლიფილდი
ჰოლიფილდის ჰონორარი - 5 მილიონი
ტაისონის - 25 მილიონი
28 ივნისი. 1997 წ.
მაიკ ტაისონი - ევანდერ ჰოლიფილდი
ჰოლიფილდის ჰონორარი - 15 მილიონი
ტაისონის - 20 მილიონი
13 მარტი. 1999 წ.
ევანდერ ჰოლიფილდი - ლენოქს ლუისი
ლუისის ჰონორარი - 10 მილიონი
ჰოლიფილდის - 20 მილიონი
13 ნოემბერი. 1999 წ.
ევანდერ ჰოლიფილდი - ლენოქს ლუისი
ლუისის ჰონორარი - 15 მილიონი
ჰოლიფილდის - 15 მილიონი
8 ივნისი. 2002 წ.
ლენოქს ლუისი - მაიკ ტაისონი
ლუისის ჰონორარი - 35 მილიონი
ტაისონის - 35 მილიონი

ფეხბურთი

საფრანგეთს ევროპის ჩემპიონატი სურს

საფრანგეთი მზად არის იბრძოლოს 2012 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. იმისთვის, რომ მას ჰქონდეს შანსი გახდეს ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი, საფრანგეთმა არა უგვიანეს 16 დეკემბრამდე უნდა შეიტანოს განაცხადი და არა უგვიანეს 31 იანვრამდე თავისი კანდიდატურა დაადასტუროს.

ნებისმიერი საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზაცია საკმაოდ საჩოთირო და ძვირად ღირებული საქმეა. თუმცა, ხარჯები ჯერ კიდევ იქამდე დაიწყება, ვიდრე ქვეყანა გაიგებს, მოიგო თუ არა ტენდერი ამა თუ იმ შეჯიბრების გასამართად. ჯერ ერთი, საჭიროა თანხის გაღება შესაბამისი წინადადების წამოსაყენებლად და მეორეც: უნდა მომზადდეს მნიშვნელოვანი საქმეების მთელი რიგი. ამიტომ ძალიან ძნელია მიიღო გადაწყვეტილება რომელიმე ტურნირის გამართვის შესახებ. მაგალითად, რუსეთი აპირებდა, შეეტანა განაცხადი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე, მაგრამ ბოლოს ვერ შეძლო. როგორც რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა განაცხადა, ქვეყანას ჯერჯერობით არ გააჩნია საიმისო ინფრასტრუქტურა, რომ ამ დონის შეჯიბრებას უმასპინძლოს. რუსეთს, უბრალოდ, სტადიონები არ ჰყოფნის. გეგმა ბევრია, მაგრამ რეალობა ისეთი, რომელიც რუსებს ამ მასშტაბის ღონისძიების მასპინძლობის საშუალებას არ აძლევს. მით უფრო, რომ რუსეთი ადრეც იბრძოდა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებისთვის, მაგრამ უარი მიიღო.

სტად დე ფრანსი - ამ სტადიონზე 1998 წელს საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ანალოგიური მიზეზით მასპინძლობაზე უარის თქმა მოუხდა რუმინეთსაც. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ განაცხადა, რომ ქვეყანას არა აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა იმისთვის, რომ ასეთი მასშტაბის ტურნირს უმასპინძლოს. "ჩვენი ქვეყანა არ ფლობს ასეთ ინფრასტრუქტურას და არ ექნება არც 2016 და არც 2020 წლისთვის", - განაცხადა მირჩა სანდუმ.

რა თქმა უნდა, ორმაგი განაცხადის შეტანის უფლება ჯერ არავის აუკრძალავს. მაგალითად, ასე მოიქცნენ უკრაინა და პოლონეთი. ისინი ვარაუდობენ, რომ ევროპულ ფორუმს ამ ორ სახელმწიფოში უმასპინძლონ. ასეთი ორგანიზაციის გაკეთება კი უაღრესად ძნელია. პორტუგალია მუდმივად განიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს და ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. ამჟამად კი, რაც უფრო ადრეა ცნობილი მასპინძელი ქვეყნის ვინაობა, მით უფრო ძვირი ჯდება მისი ორგანიზაცია. თუ ადრე სპორტსმენთა უსაფრთხოებისთვის ფული არ იხარჯებოდა, ახლა ამ საქმეზე მილიონები მიდის.

თუმცა, როგორც არ უნდა თქვა, ასეთი ტურნირის მასპინძლობა ძალიან პრესტიჟულია ქვეყნისთვის. სწორედ ამიტომ იბრძვიან მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად ქვეყნები. ასეთ სიტუაციაში პლუსი ისევე ბევრია, როგორც მინუსი. მაგალითად, ტურისტების დიდი რაოდენობა, რომლებსაც ნებისმიერი ქალაქის ბიუჯეტის შევსება შეუძლიათ. ამ საქმეში მერკანტილური ინტერესიც არსებობს. საიდუმლო არ არის, რომ ტურნირის მასპინძლთან მსაჯები კეთილგანწყობილნი არიან. მაგალითისთვის შორს წასვლა საჭირო არ არის. საკმარისია გავიხსენოთ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, როცა მსაჯებმა სამხრეთ კორეის ნაკრები ტურნირის ნახევარფინალში გაიყვანეს.

ან მაგალითისთვის 1998 წელი ავიღოთ. მაშინ ჩემპიონატი საფრანგეთში გაიმართა და გამარჯვება მასპინძლებმა - ფრანგებმა მოიპოვეს. მაშინ ემე ჟაკეს გუნდმა უმაღლესი ხარისხის ფეხბურთი აჩვენა. ამჯერად კი ფრანგები ცდილობენ, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლონ. ჯერჯერობით ანალოგიური სურვილი დაებადათ უნგრეთს ხორვატიასთან ერთად, საბერძნეთს და უკრაინა-პოლონეთს.

თუ საფრანგეთი ტენდერში გაიმარჯვებს, მას საშუალება ექნება, მეორედ უმასპინძლოს ამ ღონისძიებას. 1984 წელს ანუ 20 წლის წინათ მას უკვე ჰქონდა პატივი, ემასპინძლა ევროპის ჩემპიონატისთვის. მაშინ ტურნირი მოიგო საფრანგეთის ნაკრებმა, რომესაც გასული საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პლატინი ლიდერობდა. სხვათა შორის, პლატინიმ მოახერხა და დღემდე მოუხსნელი რეკორდი დაამყარა. მან ტურნირზე 5 მატჩში 9 გოლი გაიტანა. სპეციალისტები ეჭვობენ, რომ ამ მაჩვენებლის მოხსნა კიდევ კარგა ხანს შეუძლებელი იქნება.

შეიძლება სწორედ ამ ფაქტმა აიძულა ფრანგები, მობილიზაცია მოეხდინათ და 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოეთქვათ. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ გადაწყვეტილებაზე იმოქმედა გუნდის არცთუ ისე შთამბეჭდავმა გამოსვლამ პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ფრანგები მეოთხედფინალამდე მივიდნენ და შემდეგ გამოეთიშნენ გათამაშებას.

ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში უეფა ევროპის 2012 წლის მასპინძელ ქვეყანას 2006 წლის დეკემბერში დაასახელებს.

TV-სპორტი

ორშაბათი. 13 დეკემბერი

НТВ+ФУТБОЛ
06:30 NBA TV. სეზონი 2000-2001. "GOLDEN STATE WARRIORS" - "LOS ANGELES LAKERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ვოლფსბურგი" - "არმინია"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "რეალ სოსიედადი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "სოშო" - პსჟ
18:00 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან კაეტანო" - "სანტოსი"
20:10 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 იტალიის ჩემპიონატი. "ბოლონია" - "იუვენტუსი"
00:40 00:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:00 NBA TV - დღიური
04:30 NBA TV. "CHICAGO BULLS" - "DALLAS MAVERICKS". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:00 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "PITTSBURGH STEELERS" - "NEW YORK JETS"
13:30 ფიგურული სრიალი. პროფესიონალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი
16:15 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
16:45 საჭადრაკო მიმოხილვა
17:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "UTAH JAZZ". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ვიტალი კლიჩკო - დენი უილიამსი
23:10 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. ვაჟები. სლალომი
00:00 ახალი ამბები
00:15 რუსული ბილიარდი. "აზიის თასის" ფინალი ყაზახეთში

EUROSPORT
10:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში
11:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
14:00 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
14:30 ველოსპორტი. მსოფლიო თასი ველოტრეკში. აშშ
16:00 ფეხბურთი. აფრიკის ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა
17:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
19:15 ფეხბურთი - ევროგოლები
20:15 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 მულტისპორტი
21:30 სუმო
22:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
01:30 ფეხბურთი - ევროგოლები
02:30 ახალი ამბები
02:45 კარტინგი. იტალიის ჩემპიონთა თასი
03:15 ახალი ამბები

ყოჩაღი კაჭკაჭი, პოლიგლოტი და პატრიოტი მალხაზა ფოთში მიემგზავრება

გზა თბილისიდან ქუთაისამდე

დადგა ნანატრი დღეც. ოლმურის დედამ, ქალბატონმა ქსენიამ სამჯერ შემოატრიალა, მერე პირჯვარი გადასახა და ქუთაისელ რეისავიკ მძღოლს კვაჩი დათეშიძეს ჩაუსვეს "ვოლგაში". კვაჩი უხვად მოლაპარაკე გახლდათ და მალხაზამაც ბევრი რამ გაიგო. კისერზე ჩამოკიდებულ ფოტოაპარატში ფირი ჩადო და კვაჩის რამდენიმე შეკითხვას გასცა პასუხი.

- გევიგე, ინდოეთიდან ყოფილხარ, კაი მამა გყოლია, თუთიყუში, მაგრამ შენ მაინც კაჭკაჭის იერი გამოგყვა. გევიგე, მაგრად გიბრძოლია ოჩამჩირეში, სოხუმში. ჩვენი შპიონი ყოფილხარ. მარა რას იზამ... ვითომ აფხაზებთან გვქონდა საქმე, სინამდვილეში რუსი დაგვხვდა თავისი ტანკებით და ავიაციით. მაშინ მათთან ჩახუტებული ჩეჩნები რაებს სჩადიოდნენ, ან ეს გაუგებარი კაზაკები და სხვა ჩრდილო ტომები... ეხ, ძალა აღმართს ხნავს. ჩვენც ბევრი სისულელე გავაკეთეთ... ის მითხარი, ჩემო იმანო, ჩემო მალხაზა, ცოლ-შვილი თუ გყავს?

მალხაზას ამ ნათქვამში განსაკუთრებით მოეწონა, კვაჩიმ "შპიონად" რომ მოიხსენია. მაშინაც ასე ჰქონდა ფოტოაპარატი კისერზე ჩამოკიდებული და მტრის შენაერთების დამაფიქსირებელი ფოტოები მაიორ მორჩილაძესთან მიჰქონდა.

- მყავს, როგორ არა, აქაც მყავდა, ზუგდიდთან გაუქმებული ტანკის ლულაში გვქონდა ბუდე. ინდოეთში ყოველ წელიწადს გადასარევი კაჭკაჭუნები მყავდნენ ცოლად. მაგრამ ჩვენში სეზონური ცოლ-ქმრობაა... შენს ნაიმასქნარ კვერცხებს ბუდეში დებს. მერე გამოჩეკავს. შენ მამა ხარ, ეხმარები ბარტყების დაზრდაში. დაზრდილები სხვადასხვა მხარეს გაფრინდებიან. ის ცოლიც სხვისი ცოლი ხდება მეორე სეზონისთვის და შენც ასე შვრები. ესაა და ეს.

- აუ, რა წესი გქონიათ? სეზონური არა? მალადეც, მალადეც, - თავს გადააქნევს მოწონების ნიშნად კვაჩი.

იმ ადგილს გასცდნენ, რატომღაც ხურდა ფულებს რომ ყრიან მანქანის ფანჯრებიდან. ლამის ორ ბორბალზე დამდგარმა დიდი სისწრაფით მიმავალმა რაფმა დაუდევრად ჩაუქროლათ. კაჩი რაფის მძღოლს კეთილების ძალდატანებით ეროტიზმს სთავაზობს...

- მეიცა, ეს მითხარი, შენი კაჭკაჭუნა სხვა ფრინველმა ან სხვა კაჭკაჭმა რომ დაპეპლოს, მერე, მერე რა მოხდება?

- გაუძალიანდება, შეეცდება აიცილოს ეს საქმე დედალმა კაჭკაჭმა, მარა შენი ნათქვამის არ იყოს, ძალა აღმართსა ხნავს. რა მოხდება და არაფერი... ქმარს კი ეტყვის, ამან და ამან ასე და ასე მიქნაო. ბოლოს და ბოლოს, მეც ასე არ ვარ გაჩენილი? სად კაჭკაჭი და სად თუთიყუში. ისინიც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს... ამის გამო მე მამა კაჭკაჭისგან არაფერი ცუდი არ მიგრძვნია.

- ახლა თუ დარდობ შენს შვილებზე?

- არა, ჩვენ ასეთი დარდი არ ვიცით, - ამ დროს კვაჩიმ "ბარდაჩოკიდან" ორი შავტუხა ბიჭის სურათი ამოიღო, აკოცა და ისევ შეინახა.

- ხო, ჩვენ დარდი არ ვიცით, - გააგრძელა მალხაზამ, - მაგრამ ბოლო ჟამს მე ვიგრძენი, რომ არაჩვეულებრივი კაჭკაჭი ვარ. უფრო ადამიანური შეგრძნებები მაქვს, ვიდრე ფრინველისა... ადამიანები უფრო ახლობელნი არიან, - უცებ ვარდივით გადაშლილი, გაღიმებული ინგა გრიგოლია წარმოუდგა თვალწინ და ისე ამოიოხრა, ლამის გულიც ამოაყოლა. კვაჩი შეკრთა, თავის თავზე გაბრაზდა, ეს რაები გავახსენე ამ კაცსო.

კვაჩიმ რადიო ჩართო. ყველა არხი ერთსა და იმავეს იმეორებდა... კადრების ცვლა. ის იქ გადაყავთ, ის აქეთ გადმოყავთ, იმას ხსნიან, იმას აწინაურებენ...

- გადამრევენ ეს ჟურნალისტები, - გაცხარდა მალხაზა, - ნუთუ მეტი არაფერია საინტერესო, ნუთუ ეს არის ყველაფერი? კაცო, აგერ არაა ეს რუსეთი? აქ რო კადრების ცვლაა, ისეთს სად ნახავ. პატარა ინფორმაცია და მორჩა! ესენი...

- აბა კაცო, - ჩამოართვა კვაჩიმ, - თუ სადმე ვინმე მოკლეს, ხომ სულ ჭკუას ჰკარგავენ, გაჩვენებენ სისხლს, კუბოს, მგლოვიარეთა დახოკილ ლოყებს, ჩაგიშვებენ მიწაში კუბოსთან ერთად. რუსეთი ხომ მეიტანე მაგალითად მალხაზა, მეც რუსეთს მევიტან - წელიწადში 35 ათასი მკვლელობაა... ეს რო თავის ეკრანებზე აჩვენონ, ხო წარმოგიდგენია. ერთი სიტყვით, მკვდრის უნახავივით იქცევიან.

ცოტა ხანს გორის ხილეულ-ტკბილეულის ბაზართან გააჩერა მანქანა. კვაჩი ყველას აგინებდა. თბილისში ორჯერ იაფია ვაშლი, მსხალიც, ზღმარტლიც, კარტოფილიც, "წერეთლის მწვადიცო". მალხაზამ ორი სურათი გადაუღო ქორვაჭრებს. გზას დაადგნენ. კვაჩი მსხალს მიირთმევდა, მალხაზა - "წერეთლის მწვადს".

მერე ჩუმათელეთი გაიარეს. პურის საცხობები, რესტორნები, დუქნები, კაფე-ბარები...

- რაც ეს კომერციული დუქან-რესტორნები გაიხსნა, საცხობ-სამწვადეები, ვინ გამოიანგარიშებს, რამდენი ხე მოიჭრა ამ ტყეებში? ჩვენ, მე, ნუგზარამ, თემურამ და ბუთავამ ვიანგარიშეთ იმ დღეს... 49 ათასი ძირი ხე ვიანგარიშეთ... აბა! არ არის ეს განუკითხაობა? როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? - დასვა შეკითხვა და თვითონვე



უპასუხა - მანამ, სანამ სულ არ გადაბელავენ ამ სერებს, ამ მთებს, სანამ უკანასკნელ ბუჩქსაც ცეცხლში არ ჩაუძახებენ.

წიფის გვირაბთან მისულები შედგნენ. კვაჩიმ ლარიანი გაუწოდა - არა, ფულს აღარ ვიღებთო. - იქვე იდგნენ ავტომატიანი ბიჭები. გვირაბი კარგად იყო განათებული.

- ამათი ვერაფერი გევიგე, - ბურდღუნებდა კვაჩი, - გეივლი, ფულს იღებენ შლაგბაუმთან, გამოივლი, არა! რაღაცაშია საქმე.

ზესტაფონი ისევ ძველებური პენის შენარჩუნებამ ცდილობდა. კვაჩიმ ქუჩაში ვიღაცა დაინახა, მანქანა შეუჩერა.

- რავა ბრძანდები, თავადო ლევან? რა ხდება საზანოში? - ლევანი ვისაც უწოდეს, შემობრუნდა თუ არა, უცებ დაიწყო - ახლა გული არ მატკინოთ, წამოდით, სულ 20 წუთით, აგერ, აქვე... უჰ, ჩვენი მალხაზაც აქ ყოფილა, შენ გენაცვალე, ახლავე უნდა ჩამოხვიდოთ. აგერ გია და ტატოა, ჩვენი იგივე მალხაზი, შენი სეხნია, ჩვენო პატრიოტო, ვაჟკაცო ფრინველო. - წუთით ყურადღება გვერდით მოდავეებს მიაქციეს. ვიღაც იძახდა, "მე ზესტაფონელი მამუკა საყვარელიძე არ ვიყო, თუ ეგ შენ შეგარჩინოო". - როგორც იქნა, დაუსხლტნენ ლევან აბაშიძეს. გზა განაგრძეს. მალხაზას ძალიან მოეწონა თავგამოდებული, გულწრფელი მასპინძელი ლევანი. თუმცა, ვინმე ტატო, იგივე მალხაზას გაცნობაც ძალიანაც უნდოდა, მაგრამ კმაყოფილი იყო, რომ გზა გააგრძელეს.

ვიდრე ქუთაისში ჩავიდოდნენ, მალხაზამ ხმამაღლა თქვა - "359".

- ეგ რას ნიშნავს? - გაუკვირდა კვაჩის.

- თბილისიდან აქამდე, ტრასაზე მარჯვნივ და მარცხნივ 359 რესტორან-დუქანი დავთვალე. ალბათ არც ესაა საკმარისი. მალე 2-ჯერ მეტი იქნება, ვჭამოთ და ვსვათ ქართველებმა, მეტი რა დაგვრჩენია? - მალხაზას ხმაში ირონია იგრძნობოდა. თავისი თავი ქართველად კი უკვე სრულიად ბუნებრივად მოიხსენია.

კვაჩი აფიცებდა, მივიდეთ ჩემთან, ერთი მამა-პაპურად ჩავუჯდეთ. მეორე დილაზე ხაშით გამოვიდეთ, დავათვალიეროთ გელათი, მოწამეთა, მერე ჩარდახი და "ვენეცია-გეგუთს" ვეწვიოთო. მალხაზამ დიდი მადლობა მოახსენა, ათასი საქმე მაქვსო. ქუთაისში იანვრის ბოლოსთვის უნდა მელოდონო... - ეს უთხრა კვაჩის და კვახჭირის გასაყარიდან აიჭრა ცაში. ფოტოაპარატის საათი 14 სთ და 50 წთ-ს უჩვენებდა.

კვახჭირის გადასახვევიდან ფოთამდე

ამ გზაზე სულ ომის დღეები აგონდებოდა მალხაზას. მაშინ გზებზე სულ რეკეტები იყო, სად საბურავების შავწითელი ალი ადიოდა ცაში, სად შეშის და სად ცეცხლწაკიდებული შენობისა.

- უბედური დრო იყო, უბედური - გულში გაივლო და ქუთაისის გზებს დახედა. - "რა ჩათლახი გაიშნიკები იდგნენ ამ გზებზე, როგორ აწიოკებდნენ ხალხს"...

სამტრედიიდან იკლო მანქანებმა. აბაშა-სენაკის გზაზე ორიოდ მანქანა თუ გამოჩნდებოდა. ველოსიპედისტთა რაოდენობა კი მატულობდა, რაც ასე მტკივნეულად აგონებდა ჩვენს ყოჩაღ კაჭკაჭს, პოლიგლოტს და პატრიოტს მშობლიურ ინდოეთს.

მალხაზა ქალაქში რომ შეფრინდა, ღამე იყო. ღამე ნაბადივით ჩაეცვა მთელ ფოთს. ალაგ-ალაგ ჭიატობდა ერთი-ორი სახლის სარკმელი. "დვიჟოკები" გრუხუნებდა...

- ესეც შენი ფოთი! - თავის თავს უთხრა მალხაზამ და ლამპიონებით აციმციმებულ ნავსადგურს გახედა. რეიდზე იდგა სამიოთხი გემიც, საიდანაც ასე ლამაზად გამოდიოდა ჭარბი ელექტრონის სინათლე. ფოთს კი, როგორც ვთქვით, მწუხრის ზეწარი ჰბურავდა.

მალხაზა მალთაყვის სასტუმროსკენ გაფრინდა. იქ უკვე ელოდა დირექტორი თაზო, დედამისი, ქალბატონი ჟორჟოლა და თანამშრომელი, რომელსაც რატომღაც "კუპონას" ეძახდნენ. სანთლები აუნთეს და მესამე სართულზე, მეათე ნომერში მოათავსეს. ყურადღება არ მოაკლეს, თან გაოცებით ათვალიერებდნენ პოლიგლოტ და პატრიოტ კაჭკაჭს.

ფოთი

- ეს რა არის? - ინტერესით იკითხა მალხაზამ, როდესაც ოთახში ზრდილობიანად შემოსულ თეზიკოს და კუპონას მოჰკრა თვალი. კაჭკაჭმა იქვე, მაგიდაზე დადებულ კრამიტზე მიუთითა.

- ოჰ, ეს კრამიტია ბატონო მალხაზა, კრამიტი, - მიუგო კუპონამ.

- მერე რას ნიშნავს, აქ რომ წამოგიჭიმიათ?

- რა და, - ახლა თეზიკო იწყებს ახსნას, - აქ მელიას მერობის დროს ფილოლოგი თამაზი ცხოვრობდა, 480 დღე იყო აქ, გვერდით, მეცხრე ნომერში კი ცნობილი ხუროთმოძღვარი ბატონი შოთა ყავლაშვილი... დიახ, ეს კრამიტი თამაზმა ჩამოიტანა ლაგოდეხიდან, აფენ-ანანურიდან, - მალხაზას გაახსენდა თავისი აფენში ყოფნა, მამლების და ძაღლების ჩხუბს რომ დაესწრო.

- მერე, მერე, - დაინტერესდა კაჭკაჭი.

- მერე ის, რომ ამ კრამიტით უყვარდა ხოლმე თამაზს საქართველოს სადღეგრძელოს დალევა. ბატონი შოთაც სვამდა, ბაწროც... მერე მთელმა ფოთმა მოინდომა.

- უჰ, ამით როგორ უნდა დალიო? - ცნობისმოყვარეობას ვერ ფარავს მალხაზა.

- ა, ასე, კრამიტს მარცხენა ხელით პირთან მიიდგამ, მარჯვენათი კი ზეიდან ასხამ ღვინოს, ღვინოც ნიაღვარივით მოექანება ყელისკენ... დიდი დაკვირვებაა საჭირო, რომ...

კარებზე დაკაკუნებამ შეაწყვეტინა თეზიკოს საუბარი. ვიღაც 20-ოდე წლის ყმაწვილი დიდი ბოდიშებით შემოვიდა ოთახში, ყველას მიესალმა... მალხაზასაც და თქვა: - საშა წულაიამ სასამართლო პროცესი მოიგო, დღეს ბანკეტი აქვს და სულ ერთი დღით გვინდა კრამიტი, თუ შეიძლება...

- აჰა, - გაუხარდათ თეზიკოს და კუპონას, - წაიღეთ, მაგრამ ხვალვე მომიტანეთ. არავის ათხოვოთ, თუ არა, მიჭირს ხოლმე პოვნა. ხან ის გადაიტანს თავისთან, ხან ის და სულ ხელიდან ხელში გადადის... იკარგება ხოლმე.

- არა, მე თვითონ მოვიტან! - ბატონო მალხაზ, მთელმა ფოთმა იცის, რომ აქა ხართ. თქვენც უნდა გვეწვიოთ.

- ვნახოთ, ბევრი საქმე კი მაქვს, - და მალხაზამ სამჯერ დააცემინა, - ვშიშობ, გრიპმა არ შემიბრუნოს...

მალხაზა მალთაყვას გაჩანაგებული ტყე-პარკს თავზე დაფრენს... ახსოვს ომის დროს ჯერ კიდევ რა მოვლილი იყო აქაურობა. გული წყდება. მერე დიდების მემორიალთან მიიფრენს და ქედს მოიხრის ომში დაღუპული ვაჟკაცების წინაშე.

(შემდეგ ორშაბათს წაიკითხეთ, თუ რა შთაბეჭდილება შეექმნა ფოთში პატრიოტ კაჭკაჭს, მალხაზას).

მოამზადა
დავით ანანაურმა

ფოტოგალერეა

ელდეპო

ვახო ბესელიას ფოტო

TV პროგრამა

13 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** პატრული **19.45** ქართ. ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სერიალი "ენტერპრაიზი" **23.00** დოკ. ფილმი "გარდაცვლილებთან მოსაუბრე მედიუმები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" (18) (ვეი ლინსანგი) **02.00** პატრული

პირველი არხი

ორშაბათი **08.00, 09.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "ტურ დეფრანსი" **09.20** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.00** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "ნათლისღება" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** კონცერტი - ტრიო "თბილისი" **14.15** დოკ. ფილმი "სათამაშოები, რათა გავიზარდოთ" **15.20** დოკ. ფილმი "სევილია" **16.15** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" 1-ლი ს. **16.40** ფრაგმენტები სურათისათვის **17.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.35** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "კანის ფესტივალი" **19.10** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ნაზი კანი" (გ)

კავკასია

11.00 ვარსკვლავები გვამცნობენ **13.00** საბავშვო პროგრამა "ინკოგნიტო" **14.00** ინდ. მხ. ფილმი "გაბრაზებული ქალის მრისხანება" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუნ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ქართული მუსიკა **22.30** "საქმე და ეკონომიკა" **00.30** ტუნ-ემ

მზე

08.30 მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". თენგიზ სიგუა. **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ამაზონები და გლადიატორები" (18) (პატრიკ ბერგინი)

მეორე არხი

19.00 საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ)

18.00 მხ. ფილმი "5 წლის ვიყავი, როცა თავი მოვიკალი" (გ) **19.30** დოკ. ფილმი **20.30** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "ალვარი და პოლუქსი" (15)

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკლათბურთო ასოციაცია **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" მე-7ს. **17.10, 02.20** იმედის მელოდიები **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მგლების ხორუმი" მე-4ს. **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" მე-19ს. **23.15** "არ იდარდო" **00.15** სპ. პროგრამა "გოლი" **01.45** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 "სხივი" **10.00** კომედია "ძლიერი ქარი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ბოევიკი "დევნა" **13.30** დოკ. ფილმი **14.45** მხ. ფილმი "თილისმის წყევლა" **16.15** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ფანტასტიკა "უცხოპლანეტელებზე მონადირე" **20.20** მუსიკა **21.00** კომედია "რისხვით მართვა" **22.45** მუსიკა **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მელოდრამა "წინადადება"

ОРТ

06.00, 10.00, 13.00 Новости. **06.10** Сериал "Кошки-мышки". **06.40** Алексей Грибов в комедии **"ДОРОГА К МОРЮ" 08.20** Служу Отчизне! **08.50** Дисней-клуб: "Команда Гуффи". **09.10** "В мире животных" **10.10** "Непутевые заметки" **10.30** Пока все дома. **11.00** "Пестрая лента". Георгий Вицин. **12.10** Живая природа. "Правда об акулах". **13.00** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.30** Арнольд Шварценеггер в боевике **"БЕГУЩИЙ ЧЕЛОВЕК" 15.20** Двойной праздник. Александр Масляков и "КВН-2004". **18.00** Мы делаем "Ералаш". **18.30** Хит Леджер в комедии **"ИСТОРИЯ РЫЦАРЯ". 21.00** Время. **21.45** Владимир Машков в боевике **"В ТЫЛУ ВРАГА". 23.50**Патрик Стюарт в боевике **"ЗВЕЗДНЫЙ ПУТЬ: ВОССТАНИЕ". 01.40** Зизи Тзанг в фильме **"ДОРОГА ДОМОЙ". 03.20** Акулы не дремлют в фильме **"ГОЛУБАЯ ВОДА, БЕЛАЯ СМЕРТЬ"**.

НТВ

05.15 Мультфильм "Веселая карусель". **05.20** Александра Захарова в детективе **"КРИМИНАЛЬНЫЙ ТАЛАНТ". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Серебряное копытце". **08.25** Сергей Мигицко в комедии **"МОЙ МУЖ - ИНОПЛАНЕТЯНИН". 10.20** Чарльз Гродин в приключенческом фильме **"КИНГ-КОНГ" 13.20** Чистосердечное признание. **13.55** Вивьен Ли в фильме **"УНЕСЕННЫЕ ВЕТРОМ" 16.20** Худ. фильм **"УНЕСЕННЫЕ ВЕТРОМ"**. (продолжение). **19.40** Игорь Костолевский в боевике **"ШПИОНСКИЕ ИГРЫ". 21.40** Уильям Дэфо в фильме **"ВЗВОД". 00.10** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.15** Джеймс Спэйдер в фильме **"СЕКС, ЛОЖЬ И ВИДЕО" 04.10** Эрни Хадсон в детективном сериале **"10-8". 05.25** Профессия - репортер. "Замри. Умри. Воскресни". Фильм Вадима Такменева.

სკანვორდი



ორმაგად ბრილიანტი



მომღერალი შანია თვეინი პლანეტის ყველაზე პოპულარული არტისტების კლუბში დამკვიდრდა. როგორც ამერიკის ხმისჩამწერი წარმოების (Recording Industry Association of America) ასოციაციის მონაცემებიდან ირკვევა, მომღერლის 1997 წელს გამოცემული ალბომის ტირაჟმა მიმდინარე წლის ნოემბრისთვის 20 მილიონი ეგზემპლარს მიაღწია. რაც ნიშნავს, რომ დისკმა "ორმაგი ბრილიანტის" სტატუსი დაიმსახურა. ამას გარდა, Come on Over შოუბიზნესის ისტორიაში ყველაზე პოპულარულ ქანთრი-ალბომად იქცა.

მთლიანობაში, ყველა ჟანრის მიხედვით სულ ხუთი დისკი გაიყიდა მსგავსი ტირაჟით. ესენია: "იგლსის" 1976 წლის ნაკრები (Their Greatest Hits 1971-1975), მაიკლ ჯექსონის "თრილერი", "პინკ ფლოიდის" "კედელი", "ლედ ზეპელინის" რიგით მეოთხე ალბომი (IV) და ბილი ჯოელის Greatest Hits, Vol. I & II.

ოქტომბრის სხვა მიღწევებს შორის აღსანიშნავია Evanescence-ის Fallen, რომელიც მეექვსედ გახდა "პლატინის" დისკი, რეი ჩარლზის Genius Loves Company (მეორედ მოიპოვა პლატინის სტატუსი), ხოლო რეპერი ნელის Suit მეორედ, Sweat კი პირველად გახდა "პლატინის" სტატუსის.

ტელესერიალის გმირი

ალანის მორისეტი არ იშლის მასკულტურის დაცინვას. ცნობილი კანადელი მომღერალი მთავარ როლს შეასრულებს ფსევდოდოკუმენტურ კომედიურ სერიალში, რისთვისაც გადაღებები გამოგონილი საკონცერტო ტურნეს დროს მიმდინარეობდა.

ჯგუფის წევრებს ფილმში - We're With The Band მსახიობი-იმპროვიზატორები შეასრულებენ. ისინი გადაღების დროს თავად შექმნიან სხვადასხვა გასართობ სიტუაციას.

ავტორები გვპირდებაინ, რომ ფილმში სხვა ვარსკვლავებიც გაიელვებენ. ისინი ალანისის მითიური ტურნეს დროს "გამხურებლების" როლში წარდგებიან.

ჯენიფერ ლოპესი „საპნის ოპერებმა" გაიტაცა

ჯენიფერ ლოპესი სატელევიზიო პროდიუსერობით დაკავდა. ვარსკვლავს გადაწყვეტილი აქვს "საპნის ოპერის" გადაღება, სადაც მოქმედება განვითარდება მისთვის საყვარელ დასასვენებელ ადგილას - South Beach-ზე, მაიამიში. თავად მსახიობი და მომღერალი არ აპირებს სერიალში მონაწილეობას. სერიალს სატელევიზიო არხი UPN იღებს.

აღსანიშნავია, რომ ლოპესი აქამდეც იყო სატელევიზიო ბიზნესთან დაკავშირებული. ამერიკელ მაყურებელს ტელეეთერიდან ჯერ კიდევ ახსოვს კომედიური მინისერიალი, რომელმაც ჯენიფერს წარმატებებისკენ გაუხსნა გზა.

იყიდება უნიკალური პალაცო დი ვერდი

ოპერის მოყვარულებს, რომელთაც რამდენიმე მილიონი დოლარის დახარჯვა შეუძლიათ, ერთი სარეკლამო განცხადება აუცილებლად დააინტერესებთ. იყიდება სახლი, რომელშიც ჯუზეპე ვერდიმ "რიგოლეტო" დაწერა.

განცხადება გაყიდვის შესახებ სახლის ამჟამინდელმა პატრონმა საბა სებადინი ორლანდიმ გაზეთ "ფაინენშლ თაიმსში" განათავსა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი ნამდვილი იტალიური ინგლისურით იყო დაწერილი, გამგებმა შინაარსი მაინც გაიგო: "ჩვენ ვყიდით ბუსეტოს ისტორიულ ცენტრში... უნიკალურ პალაცოს - მე-18 საუკუნისას, რომელიც ჯუზეპე ვერდის ეკუთვნოდა".

ორლანდი პარმასთან ახლოს, ბუსეტოში მდებარე სახლს 6.6 მილიონ დოლარად აფასებს. ახალ მეპატრონეს შენობის შესაკეთებლად კიდევ 3.3 მილიონი დოლარის დახარჯვა მოუწევს. ახლანდელი მეპატრონე კი ისტორიულ პალაცოს იმიტომ ყიდის, რომ რემონტის ფული არა აქვს და თანხის ვერც სხვა წყაროებიდან მოზიდვა შეძლო. "არც ერთმა საზოგადოებრივმა ინსტიტუტმა არ მოგვაქცია ყურადღება. თუ ადგილობრივ ხელისუფლებას სურს სახლის შეძენა, ახლა მათ პრიორიტეტიც აქვთ", - აცხადებს სებადინი ორლანდი.

ხელისუფლების წარმომადგენელი მარკო ბარბიერი კი აცხადებს, რომ მთავრობა უკვე ეძებს გზებს დასახელებული თანხის შესაგროვებლად.

ჯუზეპე ვერდიმ ბუსეტოში პალაცო 1848 წელს შეიძინა და 1888 წელს გაყიდა. იქ მან თავისი ცნობილი შედევრები შექმნა, მათ შორის, "ლუიზა მილერი" და "რიგოლეტო". წლების განმავლობაში ამ ორსართულიან შენობაში კომპოზიტორთან დაკავშირებული ექსპონატები იყო გამოფენილი. სახლი გუმბათოვანია, ხოლო სასადილო ოთახი ფრესკებითაა მორთული.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.